

ჯანსუღ კორძია

ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი

რომანი

თბილისი
2005

ხვამლი იმ გაზაფხულზეც ქვიშისფერი იყო.

ვარდობისთვის საფირონისფერ, მაღალი ზეცისკენ იდუმალ ოცნებად წასულ მთებსა და კლდეებზე მარადქამულ, მრისხანე მდუმარებად გადამდგარი მწვერვალი შეუცნობელი ძალით კვლავ თავისკენ მიხმობდა, მაგრამ მზითა და სიზმრებით ავსებულ მის ტინებს მაინც ვერ მივეახლე, მის თხემზე ფეხი მაინც ვერ დავადგი და სიყრმიდან წამოყოლილ ოცნებას იმ დღესაც მხოლოდ უქიმერიონიდან შევაველე თვალი.

ნარიჟრაჟაღზე რძისფერი ნისლით შებურული ხვამლი წმინდა გიორგის თეთრი ეკლესიის ცაცხვიანიდან იმ დღესაც, ისევე როგორც ჩემს ყრმობაში, ტალღებზე ატორტმანებულ, აფრებაშლილ ხომალდს მიაგავდა და მეჩვენებოდა, თითქოს მის იალქნებს სადღაც მოუბრუნებლად მიჰქონდათ ჩემი ცხოვრების ოქროსფერი დღეები, შორეულის ხილვისა და მიუწვდომლის დაუფლების მტანჯველი სურვილი, ბავშვობის ზმანებანი, ფიქრი და ოცნება.

გარდასულ სიზმრებსა და ოცნებებს გარდა ირგვლივ ყველაფერი ისევ ყრმობისდროინდელი იყო. უქიმერიონიდან ისევ იდუმალი სიღურჯით ახასხასებული ჩანდნენ ტყემლის ყვავილობით დათოვლილ ვარციხესა და ბებერ, ჟრუნ, დაღეწილ გეგუთზე გადამდგარი ვანისა და ბაღდათის მთები, ისევ ისე ბრწყინავდნენ კაკასიონის შორეული, ნანისლარი, ყინულოვანი მწვერვალები, ისევ მტრედისფერი პერანგი ეცვა ირგვლივ შემოწოლილი ტყიდან უეცრად ამოზიდულ გელათს, ისევ მწვანედ ხასხასებდა აჯამეთის ტყის თვალი, ისევ ზეთისხილისფერი ეკრათ ირგვლივ გორმახებს, მთებიდან დაძრული გაზაფხული ახმაურებულ და ამოდრავებულ ქალაქში ისევ მარჯნიფრად, იისფრად და ზურმუხტისფრად ფეთქავდა და ისევ ქვიშისფერი იყო ხვამლი.

უქიმერიონიდან ვეზიარე ბუნების იდუმალ თრთოლვას, რძისფერ რიჟრაჟებს, რიონის ველზე თაკარის ლივლივს, ვარდობისთვეში მთების, ზვირთებისა და ზეცის ფერისცვალებას და მწუხრის იდუმალ სიმშვიდეს. ბაგრატის ტაძრის ნანგრევებიდან დანახული ხვამლი მოგზაურობის ჟინს მიღვიძებდა და ოცნებითა და ნატვრით მავსებდა.

გაცეკვროდი ხვამლს და მის გადამიდან ჩემი წინაპრების, ძველისძველი ლეგენდების, აყვავებული ვაზების, ბექობებზე გაგლებული ბეწვა ბილიკების, გაუვალი მყინვარების ქვეყანა, მბორგავი ლაჯანური, გოროზი კლდეკარები, მურის ციხე და ცხენისწყალი მეძახდა.

უქიმერიონიდან ხვამლი მკლავის გაშლაზეა, მაგრამ სიჭაბუკე და სტუდენტობის წლები სამხრეთ საქართველოში, ვოლგის ტრამალებზე, შუა აზიაში, ბალტიისპირეთსა და იტალიაში მოგზაურობას შევალე და ხვამლისკენ ვერასოდეს მოვიხედე, მისი ძახილი მაინც ყველგან მესმოდა, ნისლში ფრთააშლილი მისი აფრები სიყრმიდან წამოყოლილ ოცნებად მდევდნენ და მისი ქვიშისფერი ტანი ჩრდილოეთის თეთრ ღამეშიც მეზმანებოდა, პომპეის ცხელი მზის ქვეშაც მეძახდა და ტაშაუზის უდაბნოშიაც მირაჟებად და ჩვენებად დამყვებოდა.

შარშანდელ გაზაფხულზეც კვლავ იდუმალი ძალით მიხმობდა ხვამლი, მაგრამ მე მაინც ვერ გავყევი რიონის ხეობის დაკლაკნილ გზებს, მზითა და მთვარით ავსებულ ხვამლის ტინებს მაინც ვერ მივეახლე, მისი თხემიდან ცეცხლისფერი რიჟრაჟების ხილვა მაინც აუხდენელ ოცნებად დამრჩა.

შემოდგომაზე აფხაზეთში მივიდიოდი დასასვენებლად. დამქანცა თბილისის მზემ. სექტემბრის მთვლემარე ზღვა, აფხაზეთის მთებში ხეტიალი, კვიპაროსების, ნაძვებისა და კედრების სუნით გაჟღენთილი ჰაერით სუნთქვა, გულრიფშის ოქროსფერ მწუხრზე ტალღების ჩუმ შრიალს აყოლილი ფიქრი, აგვისტოს თაკარით მოდუნებული სისხლის ფერისცვალება, ზღვით, მზითა და ზღვაურით სულის აყვავება მეოცნებებოდა.

განზრახული, მოფიქრებული და გადაწყვეტილი გეგმა გამგზავრების წინა საღამოს შეიცვალა. წინა დღეს წვიმდა, საღამომდე ვწერდი. დაღლილობისაგან იოგები ყრუდ ამტკივდა, მთელი სხეული უჩვეულოდ და უცნაურად მომიდუნდა, საწერ მაგიდას გავეცალე და სარკმელთან მთაწმინდის თხემს გაგხედე.

წვიმა ალიონზე ერთბაშად დაიწყო და მერე მთელი დღე აგვისტოსათვის უჩვეულოდ, გადაუღებლად წვიმდა. ახლაც ისევ და ისევ ხვავრიელად წვიმს. გარეთ რუხი, მწუხარე ნათელი დგას და გადაუღებელ წვიმაში ყველაფერი ცახცახებს. მამადავითი ნისლს შეხიზვნია და მის ტინებს ზემოდან მოწყენილი თვალებით მზირალი თეთრი ეკლესია უცნაური სევდით მავსებს. წვიმა, ნისლი და დაღლილობა სიცივედ და გულგრილობად შემოდის ჩემში, ახლა საწერ მაგიდაზე გაშლილი ხელნაწერებისკენ გახედვაც აღარ შემიძლია, აღარ ძაღმიძს კვლავ ვახტანგ გორგასლისა და ვარსკენ პიტიახმის გზებზე ვიფიქრო (გათენებიდან გორგასლის ჯვარცმულ ცხოვრებაზე ვწერდი), ახლა ჩემს სულს ფერისცვალება სჭირდება და რამე უნდა ვაკეთო, გარდასულ ლანდებს უნდა გავეცალო.

ქუჩაში გასვლა გადავწყვიტე. საწვიმარისთვის შემოვბრუნდი და ანახდად თაროზე შავყდიანი ტომეულების ზემოთ შემოდებული პატარა წიგნი მომხვდა თვალში. გადმოვიღე. გურამ გელოვანის „ნოველები“ აღმოჩნდა. აღარც მახსოვდა, ასეთი წიგნი თუ იყო ჩემს ბიბლიოთეკაში. გადავფურცლე და ვიღაცამ ზარი დარეკა. გაშლილი წიგნი ხელნაწერებზე დავდე და დერეფანში გავედი.

მამაჩემის ფრონტელმა მეგობარმა დავით დუდაურმა მომიმწვევია გოლიათის მკლავებში.

დავითის დანახვა ყოველთვის სიხარულით მავსებს. ათი წლის წინ, როცა მამაჩემის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მე და დავითი მის საწოლთან გატარებულმა მტანჯველმა, უძილო და ელდიანმა ღამეებმა დაგვამეგობრა. სიკვდილის შიშით ავსებულ ამ ღამეებში დავითის გასაოცარი ბუნება იყო ჩემი ერთადერთი იმედი. მამა სიკვდილს ებრძოდა. გაფითრებული, გაღეული სახე ჟამიდან ჟამზე შეირხეოდა, ავადმყოფი თვალს ახელდა და შეეკლას მთხოვდა. მე მამის შეხედვას, მის მიღეულ ხმას და ვედრებას ვეღარ ვუძლებდი. ცრემლი მახრჩობდა, წონასწორობას ვკარგავდი და ავადმყოფის ოთახიდან გავდიოდი. დავითის გასაოცარი სიმშვიდე, მისი ღიმილი, მისი შეხმანება და გამოწვდილი ხელი მაღამოდ ედებოდა სწეულს. მამას დაამშვიდებდა და მერე სიკვდილის სიახლოვით ელდანაცემ ღამეებში ჩემს დაბნევას, სასოწარკვეთასა და ცრემლს ებრძოდა. სიკვდილის მოლოდინი და ხანგრძლივი მდუმარება ათასგვარ უკუჩვენებელ წყლულს აჩენს. მამის სარეცელთან დავანებულ მძიმე დუმილში დავითი საკუთარ მოგონებებს უხმობდა მწვედ და მაშველად. მიყვებოდა ათასნაირ შემთხვევებზე მისი ცხოვრებიდან, ფიქრს მიფანტავდა და ცრემლს მიშრობდა. სასოწარკვეთილ ღამეებში დავითის საუბარი მზისთვალს მიბრუნებდა სულში. იმ ღამეებმა დაგვაახლოვა, დაგვამეგობრა და შემდეგ დავითის ყოველი ნახვისას, მასთან ყოველი შეხვედრისას იმ მზისთვალის გაელვებას ვგრძნობ ჩემში და სიხარულით ვივსები.

– მობრძანდით, ბატონო დავით! – სიხარული ზარის რეკვასავით გაკრთა ჩემს ხმაში.

– როგორ ხარ, მტრის ეკალო? – ხელახლა მომეხვია დავითი და მზით დამწვარ სახეზე ღიმილი აისახა.

– „მტრის ეკალო“ ისევ გახსოვთ?

– ცხადია, მახსოვს, ჯერ შორსაა სიბერე. – გაიცინა დავითმა და საწვიმარი გაიხადა. – ახლაც თვალწინ მიდგას შენი დაბნეული სახე, „მტრის ეკალი“ რომ ვერ გაუგე ჯავახელ მეცხვარეს. როგორ ჰკითხე, – მტრის ეკალო რას ნიშნავსო?

. . . სამი წლის წინათ იყო. დავითსა და მის მეგობარ გეოლოგებს ვახლდი ჯავახეთში.

– ოჯახის მერამდენე ვაჟი ხარო?

– პირველიც მე ვარ და ბოლოც-მეთქი.

მტრის ეკალი ყოფილხარო. – თვალი გამისწორა მოხუცმა, არყიანი ყანწი ასწია და დამლოცა.

ეს „მტრის ეკალი“ ვერ გავიგე და თამადას ახსნა ვთხოვე.

– ეჰ, – ამოიოხრა თეთვწვერა სარქალმა, – დრო აღმა მიაბიჯებს, მაგრამ ხანდახან თავქვე მქროლავ ქარსაც ჰგავს, ბევრი რამ მიაქვს, მაგრამ ყველაფერს ნურც გაატანო და ნურც დაჰკარგავო. ჩემს სიჭაბუკეში „მტრის ეკალს“ ოჯახის უფროს ვაჟს ეძახდნენ.

იმ დღის შემდეგ „მტრის ეკალს“ მეძახის დავითი. . .

– მამა როგორაა? – მოსასხამი შემომაჩენა დავითმა.

– ქედს არ იხრის. გელოდათ, გელოდათ, მერე გადაუწყდა იმედი. . .

– გამასწრო?

– წუხელ წავიდა. ქუთაისში გაატარებს ზაფხულის დარჩენილ დღეებს.

– ეჰ, როგორი ხალისით მოვდიოდი, – ხელი ჩაიქნია დავითმა.

– თქვენი ბარათი რომ მიიღო, მთელი კვირა კარებს შესცქეროდა.

– ვეღარ ავიშვი, ათასი საქმეა. უკანასკნელი ჭაბურღილი გუშინწინ ჩავაბარეთ.

– კვირასაც რომ აღარ გამოჩნდით, გადაწყვიტა, ალბათ, ისევ უარი უთხრეს შევბულებაზეო.

– ფეხი აწვალებს?

– უხსენებს, მაგრამ ახლა ასატანია ტკივილები.

სამუშაო ოთახში შევედი.

– ხელი ხომ არ შეგიშალე? – დავითმა ხელნაწერებს დაადგა თვალი.

– არა, რას ბრძანებთ, – თავი გავიქნე, – წერამ მომიქანცა და ახლა აღარ ვიცოდი რა გამეკეთებინა.

– ვარსკენზე იძიე შური?

– არა, ჯერ არა. შუშანიკის წამება დასრულდა, ახლა სპარსეთიდან უნდა მობრუნდეს გორგასალი.

– მერე, ალბათ, ხმლით გადავალთ ცურტავში. . .

– გადავალთ. დარეკავენ შურისგების ზარები.

– რამდენი ხანია აქ აღარ ვყოფილვარ, – დავითი სავარძელში ჩაეშვა, – მენატრებოდა მამაშენთან ბაასი.

მეორე ოთახში გავედი. არაყი და ხილი გამოვიტანე. ჭიქები შევაგესე, მაგრამ დავითმა ხელები გაასავსავა.

– ნუ დამაძალებ. მთებში გადავეჩვიე და არ მინდა ხელახლა გავუსინჯო გემო. . . – სასმისი გვერდზე გადადგა და ხელნაწერებზე გადაშლილი გელოვანის წიგნი აიღო. ყდას დახედა და ერთბაშად გადაფითრდა. მე დავიბენი.

– კითხულობდი? – გურამ გელოვანის წიგნზე მანიშნა.

– არა, წელან შემთხვევით გადმოვიღე თაროდან და თქვენც დარეკეთ ზარი. ისე, ოდესღაც გადამიკითხავს, დიდი ხნის წინათ.

დავითი წიგნს უხმოდ ჩასცქეროდა. მე ჭიქა მეჭირა ხელში და სტუმარს თვალს არ ვაშორებდი. ვხედავდი: როგორ დაეძაბა სახე, ყბა ნერვიულად აუცახცახდა და უპეებში ცრემლმა გამოჟონა.

– იცი, რა ბადებს რწმენას? – მოულოდნელად მკითხა დავითმა.

მხრები ავიჩეჩე. ვერ მივხვდი რატომ მეკითხებოდა ამას.

– რწმენას?

– ჰო, რწმენას.

– ბევრი რამ.

– მაინც?

– დიდი სიყვარული.

– კიდევ?

– თუნდაც. . . დიდი სიძულვილიც, დანგრევით კი, დანგრევით. . . – ჩემთვისაც მოულოდნელად დავითის მიერ დასმულ პრობლემას სხვა კუთხიდან მივუღექი, სხვა კუთხიდან გავაცნობიერე.

– დანგრევით რა? – დავითმა უცნაურად შემომხედა და პიჯაკის ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო.

– რწმენას გაცრუება ანგრევს, – წამოვიწყე მე, – იმედებისა და ნაოცნებარის გაცრუება. . .

დავითმა თავი გააქნია, მერე უეცრად წამოენთო.

– რწმენას ვერაფერი ვერ ანგრევს. . . გესმის, ვერაფერი. რწმენა ადამიანის მიერ შინაგანი სისრულის ბაზაზე მოპოვებული გარკვეულობაა. იგი ჩნდება, ყალიბდება. მერე კი აღარ ინგრევა. არ კვდება. ვერც კლავენ.

დავითმა პაპიროსს მოუკიდა, საფერფლე მიიწია, მერე ერთბაშად მომიბრუნდა

– იცი, ვახტანგ, ხშირად ადამიანები ერთს ვამბობთ, ცხოვრებაში კი სწორედ ნათქვამის საპირისპიროს ვაკეთებთ. აქ ბზარია, მოუნელებელი ბზარი. ყოველი ადამიანი გარკვეული რწმენით, სრულიად თავისებური პრინციპით არსებობს, ცრუობს, საქმიანობს, იბრძვის. ეს რწმენა და პრინციპი შეიძლება შენ თვითონ შეიმუშაო, შენ მოიპოვო, შენ თვითონ იწამო, მაგრამ ადამიანები ხშირად სხვა ადამიანებს იხდიან თავიანთი ცხოვრების ეტალონად, სხვა ადამიანებს აქცევენ საკუთარი ცხოვრების მაგალითად. ასეთ შემთხვევაში სამაგალითოდ ქცეული ადამიანის რწმენა და ცხოვრებისეული პრინციპი მათი რწმენაც და მათი პიროვნული პრინციპიც ხდება, – დავითი მაგიდაზე დადებულ გურამ გელოვანის წიგნს მიუბრუნდა. ხელში აიღო და განაგძო, – ამ კაცმა ჩამინერგა რწმენა, დიდი რწმენა. . . მე და გურამი ერთად ვიბრძოდით, მამაშენიც. გურამი საოცრად მთლიანი კაცი იყო. ფსიქოლოგიაში არსებობს მთლიანი პიროვნების ცნება, ესაა კაცი, რომლის შესახებ წინასწარ იტყვი, როგორ სიტუაციაში როგორ მოიქცევა. ამ ადამიანის ფიქსირებული განწყობა ისეთია, რომ შენ წინასწარ შეგიძლია განსაზღვრო მისი საქციელი. გურამი საოცრად მთლიანი კაცი იყო. უბრალო, ძლიერი ნებისყოფის მქონე, თუმცა მის გარეგნობაში სრულიად არ მჟღავნდებოდა ძლიერი ნება და ნერვები, პირველი შთაბეჭდილებით ის ნაზიც კი იყო.

– ვიცი, მინახავს მისი სურათი – ჩაუვრთე მე.

– მამაშენის ფრონტულ სურათებში, არა? იქ, გერმანიის ფრონტზე ყველას რაღაც გვქონდა დაკარგული, იქაურ ფოტოებზე სხვა დადი გვაზის, შრაპნელიანი, დანადგული, აოხრებული

გზების, სიკვდილის გზებისა და სიკვდილზე ფიქრის დაღი, – დავითმა მოულოდნელად შეწყვიტა ლაპარაკი რამდენიმე წამი დუმდა, მივხვდი, რომ რაღაცაზე ფიქრობდა, არა, კი არ ფიქრობდა, ცნობიერებაში მის მიერვე დასმულ პრობლემას წყვეტდა, მერე თვალი გამისწორა და მითხრა: – გურამზე რაღაც უნდა ვიამბო, რაც ჯერ არავისთვის მითქვამს, გურამმაც მხოლოდ მე გამანდო ის ამბავი ფრონტისპირა ჰოსპიტალში, სიკვდილის წინ. მე რაღაც არ მეყო, გული არ მეყო თუ ნებისყოფა, კარგად არ ვიცი, არ მეყო, რათა ორბელში ერთხელ კიდევ ავსულიყავი და გურამის დედისთვის მიმეტანა ის ფურცლები, რომლებზედაც მისი ვაჟის უკანასკნელი მონათხრობი ჩავიწერე. შენ ყველგან და ყველაფერში ზნეობას ეძებ და ამიტომაც დღეს რომ არც მენახე, შეიძლება ოდესმე მაინც მხოლოდ შენთვის მეჩვენებინა ის ხელნაწერი

– რა ხელნაწერებია? – ისე ვიკითხე, რომ ინტონაციაში მთელი სისრულით გამოჩნდა ჩემი დაინტერესება გურამ გელოვანის პიროვნებით და ხელნაწერებში მოთხრობილი კონკრეტული ამბითაც.

– ამ ხელნაწერებში თითქოს შეჯამებულია, არა, ასე არ ვგების, თითქოს კი არა, მართლა შეჯამებულია გურამ გელოვანის მთელი ცხოვრება, აქ მოთხრობილი ამბავი უკანასკნელი აკორდია მისი ცხოვრების ძირითადი პრინციპებისა. მის გადმოცემას მხატვრული სახეები ესაჭიროება, რასაც თვითონ გურამმა შესანიშნავად გაართვა თავი, მე ვიწერდი. ასე შეიქმნა ეს ხელნაწერი, სადაც გურამ გელოვანი უადრესად ნათლად, გამჭვირვალედ ჩანს. მას შეიძლება მიაწერო „აი, ასეთი იყო გურამ გელოვანი“. ანდა ასე: „აი, ვინ იყო გურამ გელოვანი“ შენ ეს წიგნი წაიკითხე, გურამს კიდევ აქვს თუ ჰქონდა დაბეჭდილი ნაწარმოებები. მერე შევიყაროთ და ჩემი ჩანაწერები ვნახოთ, გავსინჯოთ, შევამოწმოთ, მხოლოდ მაშინ ვიამბობ იმ ეპიზოდზე, რომელშიც გურამ გელოვანი ზუსტად ჩანს. მის წინაშე ბევრნაირ ვალში ვარ. ქვეყანას უნდა ვამცნო, როგორი შვილი ჰყავდა და ამ საქმეში შენც უნდა მომეხმარო, ახლა ისე მომერია ჟინი იმ ხელნაწერის ჩვენებისა, რომ ძნელია მისი დაოკება. მაგრამ ამ თავსხმაში როგორ გითხრა ჩემთან წავიდეთ მეთქი, ამინდის ტყვეები ვართ და რადგან დაგვატყვევეს, ადამიანურად გავუძლოთ.

– ძალიან კარგი! – დავეთანხმე დავითს, – მაგრამ გურამ გელოვანის საიდუმლოს თუ ქმედების გაცნობა თქვენზეა.

– ჩემზე იყოს. ისე ვერ მოფყვები, როგორც იქ წერია, თორემ ახლავე შეგუდგებოდი ვალის გადახდას. ვალი ვალია! – დუდაურმა მარჯვენა შეაგება ჩემს მარჯვენას, არაყი მაინც არ დალია. გვიან დაარღვია დუმილი:

– მამას ვინ გაჰყვა ქუთაისში?

– მისი ძმა, ბიძაჩემი ვალოდია

– კარგია, რომ მამა ქუთაისშია, დები არაფერს მოაკლებენ. შენ სად აპირებ დასვენებას? – მკითხა დავითმა

– ხვალ სადამოს აფხაზეთში მივდივარ სამი კვირა ზღვაზე ვიქნები, გუდაუთაში.

– მეც ხვალ სადამოს ლაჯანურის ხეობაში გეოლოგიური პარტია მიმყავს, – თქვა დავითმა. ლაჯანურის ხსენებაზე ჩემს ცნობიერებაში ერთბაშად აღდგა უქიმერიონიდან დანახული ხვამლი და სიყრმის ოცნებებმა წამოჰყვეს თავი.

– დიდი ხნით მიდიხარ? – და ჩემში უკვე მთვლემარე ზღვა და გოროზი ხვამლი ებრძოდნენ ერთმანეთს

– დიდი ხნით. ჰესის მშენებლობას იწყებენ, გეოლოგიური დასკვნებისათვის გვაგზავნიან.

– ოო, მაშინ მთებისთვის ვერ მოვიცლით, მე კი ლაჯანური და ხვამლი ოცნებად მაქვს გადაქცეული.

– ხვამლზე არ ყოფილხარ? – დავითი გაკვირვებით შემომჩერდა.

– არა.

– საირმის უღელტეხილზე?

– არა. – ისევ თავს ვაქნევ და ვიციინი.

– არც ბარაკონის ციხე გინახავს? არც ნიკორწმინდა?

– არა.

– არც მურის ციხე? – ახლა თვითონაც ეცინება დავითის.

ისევ თავს ვაქნევ.

– არც ცხენისწყლის ხეობა, არც ბარდნალა, არც დეხვირის ტყეები . . . – და პასუხს აღარ დაელოდა, ერთბაშად მკითხა: – წამოხვალ?

მე უკვე ვყოყმანობდი.

– მეგზური? თქვენ ხვამლისთვის ვერ მოიცლით.

– მოვიცილი. არა, ხვამლი უნდა ნახო. უსათუოდ უნდა ნახო. გადაწყდა. მოდიხარ. . .

. . . ჩემთვისაც გადაწყდა. შვებულებას ღეხუშში გავატარებ, უქიმერონზე ნაოცნებარ გზებს გადავივლი, კლდეკარებში ჩავიკარგები, ბეჭობებიდან კავკასიონზე ამოწვერილ სისხლისფერ ალიონებს შევეგებები, მურის ციხესა და სვანეთის კარიბჭეს მოვივლი, ცივი და ჯანმრთელი ჰაერით ვისუნთქებ, მზისფერი ვაზით სულს გავილაღებ და ხვამლიდან ქარვისფრად გადაქცეულ ქვეყანას გადავხედავ.

. . . კარები ალპანაში, საირმის უღელტეხილის პირაქეთურ სამანთან გავშაღეთ. დავითი მოძალებული სამუშაოების მოთავეებს უცდის, მერე მპირდება მთებში მეგზურობას და მეც რამდენიმე დღე გეოლოგებთან უნდა გავატარო.

სექტემბრის თბილი, წყნარი საღამოები სულს ახალისებს. ყოველ მწუხრზე წყაროსთან გამართული სახელდახელო ვახშმისა და ორიოდე ჭიქა არყის შემდეგ, დაბალი მელოტი თენგიზ ნებიერიძის მიერ ჩამორიგებული აფხაზური თუთუნის კვალდაკვალ, იწყება „გარდასულ დღეთა მოგონების ღამეები“, როგორც დავითმა შეარქვა ალპანაში გატარებულ საღამოებს.

უსაშველოდ მაღალ, ყბებჩაცვენილ მალხაზ შონიას დონის ტრამალები, ჩრდილო კავკასია და თურქმენეთი ფეხით აქვს შემოვლილი. მალხაზი თავის გრძელ ხელებს იშველიებს და ხავერდოვანი, მკერდისმიერი ხმით ჰყვება უდაბნოს ცხელი, ქვიშიანი ქარებისა და შხამიანი გველების ამბებს, ჯემალ ჩართოლანი პამირის მთებს, აქლემებით ყანყალსა და კუმისს იგონებს, მერე გივი წერეთელი წამოიწყებს თავის თავგადასავალს და ბოლოს და ბოლოს, გვიან, როცა საუბარი „მესამეულზე“ და „მეოთხეულზე“ გადადის, მე უკვე აღარაფრად მეჭაშნიკება „ძირითადი ქანები“ და პირველი ვეძებ საძილე ტომარას.

– სანთლის ჩაქრობა არ დაგავიწყდეს, იცოდე, – ყოველ საღამოს საგანგებოდ მახსენებდა დავითი. ვაივაგლახით მოვიწყობდი სასთუმალთან ანთებულ სანთელს, მერე გივი წერეთლის „საველე ბიბლიოთეკაში“ რაიმეს გამოვჩხრეკდი, სანახევროდ ჩახსნილ საძილე ტომარას მოვირგებდი და მარტო შევრჩებოდი სიფხიზლეს. გვიან მოდიოდა ძილი, მაგრამ ვინ გაცლიდა ძილს . . . მალხაზი თამბაქოს ღამითაც ეწეოდა, მამის სიკვდილის შემდეგ დარჩენოდა ჩვევად, ყოველთვის ჩემს გვერდით წვებოდა და ყოველი გაბოლებსას ორიოდე სიტყვით მაინც გამომეხმაურებოდა, დილით კი თვითონაც მზეს ასწრებდა და ყველას ერთად წამოგვეყრიდა ფეხზე.

– მაგას მაინც მოეშვი, იძინოს, – მესარჩლებოდა დავითი, – ხვამლზე წასვლის საშველი არ დაფუყენეთ, აქედან დანახვას კი შუადღის მერეც მოასწრებს.

– არა, აქედან მაინც ხვამლის სხვა ფერდობს ხედავს, – თავს წამოყოფდა გივი წერეთელი, – ასე არაა, ვახტანგ? – მეტყოდა და მერე ჩემს ბუზღუნს აღარ აქცევდა ყურადღებას, გადაიცვამდა და წყაროზე გაროდა.

. . . დავითის მოცლას მაინც არ დაადგა საშველი. ბიჭვინთა დავთმე და ველარც ხვამლზე ამადლებას ველირსე. დღეები მიდიან და თავისუფალი დრო მეწურება.

ბოლოს, თხუთმეტი სექტემბრისათვის დავთქვით ხვამლზე ასვლა, მაგრამ წინა საღამოს დუდაური საველე ბურღებისთვის მოულოდნელად ქუთაისში გამოიძახეს და ჩვენი „კალმასობა“ ისევ გადაიდო, მე აღარ ვუცაღე დავითს და მეორე დილით, ნაალიონარზე ცაგერისაკენ მიმავალ მანქანას უმეგზუროდ გავყევი. მინდოდა: ეს დღეც ამაოდ არ დამეკარგა და დუდაურის ჩამობრუნებამდე ცაგერი და მურის ციხე მაინც მენახა.

. . . მურის ციხის ნახვამ უცნაური სევლით ამავესო.

ცხენისწყლის ნაპირისკენ დაცოცებულ ნარინჯისფერ გორმახებზე, საირმის უღელტეხილის თხემიდან, მურისციხე ნაცრიფერ ტალეხად მოჩანს. თხემიდან ძირს ვეშვები და ნაცრისფერი ტალეხი თანდათან მუქდება, ხელ-ფეხს ისხამენ, ერთფეროვანი მასიდან ლოდები და სურო იკვეთება, კონტურები იხაზებიან და ნანგრევებად და ნაოხარად იქცევიან.

ჩამონგრეულმა ლოდებმა გული მატკინეს. სურომ და ხავსმა ორბელის მწვერვალთან დანახული მთებით, ხეობებით და ფერებით გამოწვეული აღტაცება ჩაკლეს, მიწასთან გასწორებულმა ციხემ პირქუშ, სისხლიან წარსულში გადამახედა და ამაფორიაქა. დავცქერი ჩამოქცეულ, დაშლილ ქვებს და მათი მღუმარების იქეთ ლეგენდებისა და ვნებების ძახილი მესმის.

ტიროდა დაფერფლილი ციხე.

ნანგრევებში დიდხანს ვიხეტიალე.

უკან მობრუნებული მანქანამ გვიან მწუხრზე ჩამომიყვანა ორბელში. უღელტეხილის გადმოვლისას ვხედავდი როგორ დაიძრნენ შორიდან, კავკასიონის კალთებიდან, ტყვიისფერი ღრუბლები, იისფერი ზეცა მზემომდგარი ნახამთრალი მდინარის ყინულოვანი სარკესავით

დაიბწკალა, დასკდა, ბაზრები გაუჩნდა, იისფერს თანდათან ობისფერი შეერიო, ზეცა დამძიმდა, ჩამოშვავდა და ჩამოიძენდა. სვანეთის მწვერვალები დაითალხნენ, ჰაერი შეიხუთა და ორბელში ჩამოსვლისთანავე წვიმაც დაიწყო.

უკანასკნელმა ავტობუსმაც გამასწრო, სხვას ველარაფერს გადავეყარე, ზეცამ პირი მოიხსნა, მე კი ცისქვეშ ვდგე და ვილუმპები.

ირგვლივ უცნაურად თრთის და ცახცახებს ყველაფერი. ყნოსვას ნაწვიმარი მიწის სუნი სწვდება. მოუკირწყლავი ქუჩა ღვარებმა დაფარეს.

დაღამდა.

ქუჩაში არავინ ჭაჭანებს.

სიცოცხლე ჩაკვდა, ჩაილია, ავდარს გაექცა და სადღაც სიბნელის მიღმა მიიმაღა.

ახლა ალპანაში, ალბათ, კარავში არიან შეფარებული ჩემი გეოლოგი მეგობრები, კარვის კალთაზე მოწყენილად ტკაპუნებენ წვიმის წვეთები, კარავში თამბაქოს ბოლი და სიცილი დგას, ალბათ, მიგონებენ და ვინ იცის, მათ სად ვეგულები.

იმედი გადამიწყდა.

ვინმეს უნდა შევეხიზნო.

წკვარამში ალაღაბედზე მივიკველე გზას. დაგუბებულ წყალში მივტოპავ. ატალახებულ ორღობეს მივაკვლიე და პირველივე ჭიშკარი შევადე. სადაც ძაღლი აყევდა, შევეყვირე, მაგრამ არ შემეპუა, უკან გამობრუნებას ვაპირებდი და სწორედ ამ დროს: ვიდაცამ ოთახიდან აივანზე გამომავალი კარი შესხნა და წამიერად სინათლე გაერთა, ქალის ბებრული ხმა ძაღლს შეუწყრა და მერე იკითხა:

- რომელი ბრძანდებით?
- უცხო ვარ. შემომადამდა. თუ შეიძლება . . .
- მობრძანდით.

სიბნელეში ავუყევი კიბეს და აივანზე ავედი. მასპინძელი ოთახში უხმოდ შემიძღვა. ლამპის შუქზე დანახულმა მოხუცის სახემ შემადრწუნა. წლებს მოეხარა, დანაოჭებულ სახეზე მკედრისფერი ეღო. თვალბში საოცარი ნაღველი ჩაგუბებოდა. მთელ ოთახში თითქოს რაღაცნაირი სევდა და გლოვა იყო დავანებული, ვიგრძენი, რომ სახლში ქალის მეტი არავინ იყო. მომეჩვენა, თითქოს მის მწუხარებაში შემოვიჭერი და სიწუმე დაგურღვიე. შემოსვლა ვინანე.

მაგიდაზე ლამპას ადგილი მოუნაცვლა, მერე მომიბრუნდა და არაფრის მოქმელი მზერით ამათვალიერა.

- მომკვდარხარ, - მითხრა და ჩემს სველ ტანსაცმელს დაადგა თვალი. ანაზღეულად დრმად და გულმწარედ ამოიოხრა, - ნუ გამამტყუნებ, მარტოობამ ლაპარაკს გადამაჩვია . . . ჩემს ღუმილს ვერ უძლებენ. . .

ბუხრის წინ პატარა სამფეხა სკამი დამიდგა. თვითონ სადღაც გავიდა. ოთახი მოვათვალიერე. ბუხრის მკრთალი შუქი ალმაცერად მიდგომოდა კედლებს. მაგიდაზე ხელნაწერები ეწყო. გადაშლილ გვერდზე დაუკეცავი სათვალე იღო. მივხვდი, რომ ჩემ შემოსვლამდე ქალი ამ ფურცლებს კითხულობდა. კუთხეში წიგნებით სავსე კარადა და ძველებური განჯინა იდგა, მათ პირდაპირ, ნოხგადაფენილი ტახტის თავზე ახალგაზრდა ვაჟის პორტრეტი ეკიდა.

უნებურად ხელნაწერების თავფურცელს დაეხედე. გაკრული ხელით ნაწერში ძლივს ამოვიკითხე: „გურამ გელოვანი“. გულმა დარეკა. ოდესღაც, რომელიღაც ჟურნალში მისი მოთხრობა წამეკითხა. დავით დუდაურამდე გელოვანზე არასოდეს არაფერი მსმენოდა ახლა ასე მოულოდნელად ჩემს წინ მისი ხელნაწერები ეწყო. „იქნებ მისი სეხნიაა?“ - გავიფიქრე და სურათს ავხედე. მოხუცი შემოვიდა. შეშა შემოიტანა, პორტრეტისკენ მიპყრობილი ჩემი მზერა დაიჭირა. თვალი ამარიდა, ბუხრის წინ ჩაიხარა და მკითხა:

- საიდან მოდიხარ?
- ცაგერიდან. ალპანაში მინდოდა ჩასვლა.

მეტი არაფერი უთქვამს. ბუხარს შეუკეთა. მერე უხმოდ აფათურდა განჯინაში. მე ცეცხლს ჩავცქეროდი. ვგრძნობდი, რომ ამ უცნობი სახლის უცნაური სევდა თანდათან მეუფლებოდა და მბოჭავდა. განჯინიდან პირსახოცი გადმოიღო და მომაწოდა.

- თმა მაინც შეიმშრალე. . . ნურც შენ გაიკვირვებ ჩემს ღუმილს. . .

ეჭვი არ მასვენებდა.

- შეილია? - ვკითხე და პორტრეტზე ვანიშნე.

- შეილია. აღარ მობრუნებულა. არც არაფერი ვიცი. არც ვიძიებ. მწარე სიმართლეს გულმა მოლოდინი ამჯობინა. - მერე ისევ დადუმდა. მჭადი, ყველი, ხმელი ხილი და არაფი გამომიტანა.

მე ისევ ცეცხლს ჩავცქეროდი და ხელნაწერთა თავფურცელზე ამოკითხულ „გელოვანზე“ ვფიქრობდი.

– უკაცობაა . . . ბედი ყოფილა. – არაყი დამისხა – დაილოცე, – მითხრა და ჭიქა შემომამჩენა – ალბანაში მუშაობ?

– არა. გეოლოგებს ვახლაფარ. ვმოგზაურობ.

– ქვეყანა პქონდა შემოვლილი, – სურათს შეხედა და ისევ ამოიოხრა.

ეჭვის შემოწმება ვცადე.

– წერდა?

ჩემი შეკითხვა არ გაჰკვირვებია.

– წერდა. მისგან მეტი არაფერი დამჩნა. – მცირე ხანს დუმდა, – ყველაფერი გადაყოლილი იცოდა: მეგობრობაც, მეტოქეობაც, წერაც და ხეტიალიც. ნულარაფერს ვიტყვით. გული აღარ მიძლებს. სიკვდილსაც აღარ ვაგონდები.

მის თვალეში უსაშველო სევდა ამოვიკითხე. ენა ვეღარ მოვაბრუნე. ვდუმდით. რაღაცნაირი უხერხული დუმილი იყო. ვგრძობდი: შვილზე ფიქრობდა, გამოუთქმელი, ხელშეუხებელი, მწარე და მაინც იმედიანი ფიქრით.

გვიან წამოდგა. ხელნაწერები კარადაში შეინახა. ლოგონი გამიშალა და ძილინებისა მისურვა

მთელი ღამე წვიმდა. არ მეძინებოდა. მდუმარედ მგლოვიარე ქალზე და ხელნაწერების თავფურცელზე ამოკითხულ „გურამ გელოვანზე“ ფიქრი არ მასვენებდა.

ცნობისწადილმა მძლია. ფეხაკრეფით მივედი კარადასთან და ფურცლები გადმოვიღე.

11

გურამ გელოვანის დღიურები

1940 წელი, 18 მაისი. ბათუმი.

დღიურების წერა ჩემს სიცოცხლეში რამდენჯერმე დავიწყე.

ყოველთვის ჩემი ცხოვრების რაღაც მნიშვნელოვანი ხლომილების გამო.

მერე დრო გადიოდა და ის ამბავი, რომელმაც დღიურების წერა დამაწყებინა თანდათან დავიწყებას ეძლეოდა, მეც დღიურების სისტემატურ წერას ვწყვეტიდი, თავს ვანებებდი, ვივიწყებდი. და ასე შემდგომ მნიშვნელოვან ამბამდე.

დღესაც კალამი რომ ამადებინა ხელში და დღიურების წერა დამაწყებინა, ისაა, რომ აჭარაში ამ ჩამოსვლისას ისეთ უცნობ და ღამაზე ქალიშვილს გადავეყარე, რომელიც დიდხანს არ დამავიწყდება.

შესაძლოა, არასოდეს დამავიწყდეს

უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი: შესაძლოა ვერასოდეს ვერ დავივიწყო.

ვერასოდეს.

ეს მხოლოდ ინტუიციური დასკვნაა.

ყველაფერი კი დღევანდელ დღეს ასე მოხდა:

ოდესისკენ გემი საღამოს 8 საათზე გადის, მანამდე ჩემი საყვარელი მწვანე კონცხის მონახულებასაც მოვასწრებ.

მაისისთვის უჩვეულო სიცხეა. ზღვისპირზე ქვიშა ვარვარებს, ქალაქს აღმური ასდის, სუნთქვა ჭირს. მე და ჩემი სტუდენტობის დროინდელი მეგობარი ლიანა ალანია ერთად მივდივართ სახეტილოდ.

ლიანასთან შეხვედრა ყოველთვის მახარებს. იგი სიცოცხლეს ეტრფის, უშუალოა, უყვარს პოეზიაზე საუბარი, მწვანე კონცხი ჩემზე უფრო მეტად იზიდავს და როცა ბათუმში ჩასული ლიანას მოვინახულებ, საკითხავი აღარაა სად მივდივართ. მახინჯაურამდე ყოველთვის მანქანით ვმგზავრობთ, მერე რკინიგზას ფეხით მივყვებით და გვირაბის ჩამობნელებულ თაღს ზემოდან მზისფრად და სმარაგდისფრად შემოგვანათებს მწვანე კონცხის ღიმონარი, ნაძვის, სოჭის კედრის და ბზის ტევრები. დღესაც მახინჯაურს გავცდით თუ არა, მატარებელმა ჩაგვიქროლა, ორთქლმავლის კივილმა ყველაფერი დაჰფარა, ზანზარით ჩაიარეს ვაგონებმა, როცა ისევ ღიანდაგზე ავედით, ლიანა გაწყვეტილ საუბარს მიუბრუნდა:

– ახლა რაზე მუშაობ, გურამ?

– ახლა – „რევოლუციებზე“. ეს იქნება ვრცელი ტრილოგია. დრო 1905 – 1917 წლები, ფონი – რუსეთის სამი რევოლუცია. მოქმედების ადგილი – ბათუმი, ოდესა, პეტერბურგი. მიზანი –

ადამიანის სულის კათარზისის, ზნეობრივი განწყობის ჩვენება, – ერთგვარი არტისტიზმით ვპასუხობ

– რა პედანტიზმია. . . – ასეთი პასუხისთვის ლიანა დამცინის და იღიმება.

– სხვა რა უნდა გითხრა, – მიუხედავად ღიმილის, – დაუწერელ ქმნილებაზე მხოლოდ ასე თუ შეიძლება ლაპარაკი. იცი – ლიანას ხელს ვკიდებ და ვაჩერებ, – ზნეობაზე ფიქრი მომიწევს. ხელოვნებას თუ რაიმე ქადაგება შეუძლია, დიდი ზნეობისაკენ სწრაფვა უნდა უქადაგოს ადამიანებს. სიყალბე უნდა ჩაკლავდეს ადამიანების სულში, სიყალბე და სიმდაბლე, მხოლოდ ამის შემდეგ იწყება დიდი სიცოცხლე, როცა მზე და სიწმინდე გვახარებს. „რევოლუციებმა“ ეს უნდა თქვან. მისი გმირი საკუთარი სულის ნანგრევებზე უნდა დავაყენო და წინ ადამიანობის და სიცოცხლის უსაშველო ასპარეზი უნდა გადავუშალო, ჯვარს უნდა ვაცვა და უზნეობას ისე უნდა მიუუხლო ვატერლო.

– ოდესაში დიდხანს უნდა ქექო არქივები?

მე მხრებს ვიჩეჩავ.

– ენახოთ, ალბათ დიდხანს.

– „ადამიანები“ სულ დასრულდა? – ლიანა ჩემი მოთხოვნების ციკლს მახსენებს.

– შეიძლება ორიოდე ნოველა კიდევ დავუმატო. ისე კი სამება რაღაც უფრო პოეტურია. მე მგონია, სამივე მოთხოვნაში ერთად შევძელი ნაფიქრალის გამოთქმა.

ლიანდაგის ქვაყრილზე ხელიკი მზეს ეფიცება. ზღვა საოცრად წყნარია და მშვიდი. საიდანღაც კატარღის ძრავის ყრუ გუგუნე მოისმის. ჰორიზონტზე შორეული გემის ანძები ჩანს.

– მე მგონია, „შურისგება“ მაინც ყველაზე ძლიერია, – კვლავ ჩემს ნოველას მახსენებს ლიანა, მაგრამ მე აღარ მინდა საუბარის გაგრძელება. მთელი წელია აჭარაში არ ვყოფილვარ და ყველაფერს აღტაცებით შევცქერი, ყველაფერი მალფრთოვანებს, ყველაფერში ვიჭრები და ახლა საუბარი და მოსმენა აღარ შემიძლია, ახლა მხოლოდ უნდა ვუცქირო, უნდა ვუცქირო ამ ლაინისფერ ზღვას, ლურჯად მოსარკულ ზეცას, მზენასვამ, ზეთისხილისფერ მთებს, გორმახებზე შეფენილ თაფლისფერ, სადაფისფერ, ენდროსფერ ყვავილებს, უზარმაზარ, ვარჯოვან ნაძვებს და უცნაურად დაღრავნილ, ახლად ამოყრილ ეკალიპტებს, ბექობზე ჩაყოლებულ ტუნგის პლანტაციებს.

ამ ხედვამ დამანელა. მწერლობა, – მე თუ მკითხავთ, – ხედვის უნარია. უნდა ხედავდე: როგორ ჩნდებიან, როგორ მოძრაობენ, როგორ სუნთქავენ, როგორ ედებათ სიკვდილის ფერი, როგორ ისახება თვალის უპეებში ცრემლი, როგორ ეკიდებათ სინანულის მქენჯნავი სიწითლე; უნდა ხედავდე: როგორ ფითრდებიან, როგორ ინთებიან, როგორ იბრძვიან, ჩრდილებსაც და ლანდებსაც, ფერებს, უთვალავ ფერებს. აქ, ამ ხედვასთან ისახება პირველი განცდა და წერის პირველი, მტანჯველი სურვილი, მერე კი გატკობს და გაწვალებს რაღაც და მხოლოდ მაშინ დასრულდება ყველაფერი, როცა ხელახლა ააცრემლებ, როცა შენს მიერ განცდილ ტკობასა და წვალებას სხვასაც გადასდებ სენივით.

მწვანე კონცხზე ვართ. ლიმონარი უკვე ყვავილობს. ნაძვნარში გახლართული მზე შტოებს ათასგვარ ფერებად წაჰკიდებია. კედლების, მუხებისა და ბამბუკების ფონზე ზღვა ლივლივებს და სულში უცნაურ სინათლედ იღვრება.

ადრიდანვე ამოჩემებული ძელსკამზე ვსხდებით. ჩვენი სკამის ირგვლივ მაისის ვარდები ყვავილობენ და გამაბრუებელი სურნელებას აქმევენ. ზღვაზე გადამდგარი ტინები ერთმანეთზე გადახლართული სურთით და რბილი, ხასხასა ხავსითაა დაფარული.

ლიანა მაინც „შურისგებაზე“ ლაპარაკობს და საუბარში მითრევს:

– მე მგონია გაორებული გმირების დრო წავიდა, – ვამბობ და არ მინდა ჩემი გმირები ვახსენო, – ყოყმანის დროც წავიდა, დანდობის დროც, ახლა შუა გზაზე არ უნდა მიატოვო გმირი, სხვის გასაკითხავად. გმირს უნდა მოერიო, უნდა გასწვდეს, ან ფარზე უნდა ასწიო, ან უნდა გასრისო. ჩვენ ადამიანები ვართ და უზნეობის გასრესვისას ვალერიანის წვეთები არ უნდა დაგვკვირდეს გულის მოსაბრუნებლად. მშვიდი უნდა ვიყოთ ამ გასრესვისას, მშვიდი, ხელი არ უნდა აგვიკანკალებს. . . .

– „შურისგება . . .“ – მაინც არ ეშვება ჩემს ნოველას ლიანა.

– „შურისგება“, – ვაწყვეტინებ მე, – უზნეობის მიტევება თვითონ არის ყველაზე დიდი უზნეობა. „შურისგება“ ესაა და მეტი არაფერი.

. . . ტროპიკებს შევუდექით, ბამბუკის ტვერი გავიარეთ, აქედან უკვე ბოტანიკური ბაღის ქვედა სადგურისაკენ ეშვება გზა.

– მოვბრუნდეთ? – მეკითხება ლიანა.

– ჩავიდეთ, მერე მატარებელს გავყვებით . . .

- „დიალოგებს“ როდის წამიკითხავ?
- როცა გინდა, თუნდაც ამ საღამოს.
- ისე დარჩა, როგორც მიაბზე?
- ისე.
- სხვისი სიყვარულის განკითხვა ყოველთვის ადვილია, საკუთარ სიყვარულს კი არც ეძებ
- ...
- ვბერდები?
- ლიანა იცინის და თავს მიქნევს.
- სიყვარულის ძებნაშიც არის, ლიანა, რაღაც უზნეობა. ზიზღს მგვრის ეს ამბავი: შეგხვდება ვინმე და მერე იწყება თვალთვალი და სულში ფათური და იმის ნაცვლად, რომ ყველაფერ ამას ნამდვილი სახელი ეწოდოთ, დაახლოებას ვეძახით. ნამდვილად კი . . .
- ნამდვილად რა?
- ნამდვილად ამ თვალთვალს ანგარება ჰქვია.
- შენ მუდამ ასეთი უცნაური იყავი.
- სიყვარულს თავისი გზები აქვს.
- ამ გზებსაც ყოველთვის გაუბოდი.
- წამოგეწევა. არავინ იცის, პირველ გრძნობას რა შობს და ამიტომაც რაღაც დამამცირებელია, რაღაც არაადამიანურია სულში ფათური.
- სიყვარულის შემდეგ მიტევებული მანკი ყოველთვის მიტევებული რჩება გულს კი, გულს, ბზარი უნდება და მერე საიდანდაც მოდის სევდაც და გაბზარული ღიმილიც, – თითქოს რაღაც მოაგონდა ლიანას, მოულოდნელად მკითხა: – შარშან აქ, მწვანე კონცხზე ქერათმიანი ლამაზი გოგონა რომ ვნახეთ, მერე აღარ გინახავს, არ შეგხვდებოდა?
- არა, არსად. ისე მინდოდა, რომ შემხვედროდა. რაღაცნაირი ბუნდოვანი სურვილი მტანჯავდა. გახსოვს, მთელი დღე გვხვდებოდნენ ის გოგონები, ჯერ მწვანე კონცხზე მერე გზაზე, ბოლოს ბათუმში, რესტორანში, სადაც სახელმწიფო უნივერსიტეტმა ბანკეტი გაგვიმართა. მისი თეთრი ხელები, მისი ქერა თმები და თაფლისფერი თვალები სიზმარივით გამეფა, მერე დაიწმინდა, ხელახალი ხილვის ბუნდოვან და მტანჯველ სურვილად გადამექცა.
- მერე?
- მერე არაფერი.
- არც გიძებნია?
- არა.
- მჯერა, რომ არ მოძებნიდი.
- არა, რაიმე სახელს ნუ დაანათლავ. საერთოდ ვერაფერს ვერ ვივიწყებ, – ქვიშაზე წაბორძიკებულ ლიანას ხელი შევაშეველე და განვაგრძე, – წერის უნარი, ალბათ, ხედვის უნარია. ახლაც, ამ წუთშიც ჩემში უცნაურად იღვრება ამ მშვიდი, წყნარი ზღვის სილურჯეც, აგერ, ამ გორმასებზე შეფენილი ყვავილების უცნაური ფერებიც, ზღვისპირა ნაძვების კონტურებიც, მერე, ოდესმე, ყველაფერს დაუდგება ჟამი და ეს დალექილი ფერები და სხეულები უცნაურად ამოძრავდებიან, ხელფეხს შეისხამენ და ისევ ცოცხლდებიან.
- რატომ ისევ უკან?
- ვერ გავიგე.
- ხედვის უნარი ხედვის უნარია, მაგრამ ყოველთვის ხომ არ სტანჯავს ადამიანს ხელახლა ხილვის ბუნდოვანი სურვილი.
- გამიცინა. აღარაფერი ვთქვი. გზაზე გადმოგორებულ ლოდს გვერდი აუქციეთ.
- ავტობუსს დაველოდოთ?
- არა, წყაროდ მივიდეთ. მერე რაღაც წამოგეწევა, – მითხრა ლიანამ, მიწაზე დაგდებული ჯოხი აიღო, გამხმარ კანს აცლიდა და ფშვნიდა.
- რატომ არ ეძებდი იმ ქერათმიან გოგონას?
- რატომ უნდა მეძებნა.
- ხომ გტანჯავდა სურვილი?
- ბუნდოვანი.
- სულერთია.
- სრულებითაც არ არის სულერთი.
- რადგან გტანჯავდა, ალბათ გენატრებოდა კიდევაც, ხოლო თუ გენატრებოდა . . .
- მაშინ რა?
- უნდა მოგეძებნა.

– მე არ მიგვრძენია, რომ უიმისოდ არ შემეძლო.
– ამის უამიც მოაწევდა, – ლიანამ შემომხედა და შეცბა, – რატომ გადავირბინა ჩრდილმა?
– ასეთ ძებნაშიც არის რაღაც ზიზღის მომგვრელი, უზნეობა. შეგხვდება ვინმე და მერე იწყება თვალთვალი და სულში ფათური. და იმის ნაცვლად, რომ ყველაფერს ამას ნამდვილი სახელი ვუწოდოთ, წელანაც გითხარი და გაგიმეორებ, დაახლოვებას ვეძახით. ნამდვილად კი. . .

– ნამდვილად რა?
– ანგარებაა.
– შენ მუდამ ასეთი ახირებული იყავი.
– სიყვარულს თავისი გზები აქვს.
– წამოგეწევა. არვინ იცის პირველ გრძნობას რა შობს და ამიტომაც დამამცირებელია ეს სულში ფათური. მე არ მიგვრძენია, რომ იმ ქერათმიანი ქალიშვილის გარეშე არ შემეძლო, თორემ ვიპოვიდი.

– დაუწმენდავი სურვილი?
– ეს ჯერ კიდევ არაა ყველაფერი.
წყაროსთავამდე ათიოდე ნაბიჯი გვიკლდა, როცა მსუბუქმა მანქანამ გადაგვისწრო. მანქანა წყაროსთან შედგა და ორივე მარჯვენა კარი ერთად გაიღო. უკნიდან ორი ქალიშვილი გადმოვიდა, წინა კარიდან კი სპორტულ სვიტერსა და რეიტუზში ჩაცმული ვაჟი. ვაჟი წყაროსთან მივიდა და სურა შეუდგა.

– წამოგეწევა. – ლიანამ ხელი მომიკიდა და მომაბრუნა. მთელ სახეზე უცნაური ღიმილი წაჰკიდებოდა.
– ამ მანქანას გავეყვით? – ერთბაშად ვერ მივუხვდი ვერც მის ღიმილს და ვერც მის ნათქვამს.

ქალიშვილების სიცილი შემომესმა.
– ვერ იცანი?
გაკვირვებით შევხედე, მერე ქალიშვილებზე გადავიტანე მზერა და ვიგრძენი, რომ გაუფითრდი.
– გახსოვს, უკანასკნელად რომ ვიყავით მწვანე კონცხზე. . . მაღალი, ქერა, გამხდარი – საიდანღაც, შორიდან მესმოდა ლიანას ხმა.

ნამდვილად ის იყო.
შარშან ნანახი ქალიშვილი ახლა მანქანის უკანა მარჯვენა კარიდან პირველი რომ გადმოვიდა, ისაა.
– ხედავ, რა ნათელი გოგოა. არც ამას მიუტყვებდი? – კითხვა მახვილივით მომაბჯინა ლიანამ.

– უზნეობას – არასოდეს.
– მე ზოგად პრინციპს არ გეკითხები. კონკრეტულად ამ ქალიშვილზე გეკითხები, იმაზე, ახლა შენს პირდაპირ რომ დგას და რომ იცინის, არც ამ გოგონას მიუტყვებდი?
– მეც სწორედ ამ გოგონაზე გპასუხობ, უადამიანობას – არასოდეს.
– შენ მუდამ ასეთი ახირებული იყავი, – მაინც თავისას ამბობს ლიანა. და მე ლიანას დასკვნა და სიცილი რაღაცნაირად მიხარია, გაცნობის შემდეგ სულ ვკამათობთ და მისი ეს ფრაზა ყოველთვის ჩემს გამარჯვებას ნიშნავს.

უკან, ბათუმში, მატარებელს მივეყვებით.
მატარებლის სარკმლიდან უკანასკნელად გავცქერი ჩემს საყვარელ მწვანე კონცხს. სადღაც გარბიან ტერასებზე გადმოჩრდილული ჭადრები, თვალს ეფარებიან ჩამავალი მზის უკანასკნელ სხივებზე ოქროსფრად ქცეული ეკალიპტები.

ლიანას ოჯახში სუფრაზე დავყოვნდით. გემზე ლიანამ გამაცილა. ნავსადგურში ქერათმიან გოგონას ხელახლა გადავაწყდით. სამნი იყვნენ. შავგვრემანი თეთრკაბიანი ქალიშვილი მის გვერდით გრძელ სკამზე ჩამომჯდარ შუახნის მანდილოსანს ელაპარაკებოდა. ქერათმიანი მაღალი, გამხდარი, თეთრი, თაფლისფერთვალემა მათ თავზე ადგა, საუბარში არ ერეოდა, სანაპიროზე ჩამომდგარ უზარმაზარ გემს და აფუსფუსებულ ხალხს შეჰყურებდა.

– ხედავ, რა მშვენიერი გოგონაა? – მეუბნება ლიანა, – უფრო მშვენიერი, ვიდრე შარშან გვეგონა, როგორ დამშვენებულა.

– მეც შევამჩნიე, დიდებული თანამგზავრი მეყოლება. ლიანას თვალები გაუბრწყინდა. მის ღიმილსა და გამოხედვაში უცნაური, გამომწვევი შტირხები დავიჭირე
– არც ამას მიუტყვებდი?
არაფერს ვამბობ. უხმოდ ვიციანი.

- მიუტყვევებდი? - ჩამციები ა ლიანა.
- ოცნებისდარი ქალიშვილია, მისატყვევებლად. . .
- არ ექნება საქმე, არა? რომ გაუხდეს?

გემის საყვირები ახმაურდნენ. ბაქანზე დარჩენილ უამრავ ხალხსა და ხელების ტყეში ლიანას აწვდილი ხელი არ მეკარგება. ბათუმი ერთ ხანს ჩვენს ირგვლივ ტრიალებს, მერე პატარავდება, შორეული ხდება და იძირება.

ბედისწერამ მწვანეკონცხელ ქალიშვილებს გემის ამოძრავებიდან მოკლე დროში შემახვედრა.

ჩემი კაიუტა მეორე სართულზე მდებარეობდა. ყველაზე მაღლა, მეხუთე სართულზე ავედი და იქიდან დავიწყე გემის დათვალიერება. ნაცნობ გოგონებს მესამე სართულზე შევხვდი, ქერათმიანს ხელში ჟურნალი ეჭირა. როცა გზა დაუთმე, შევამჩნიე, “ა“-ს 1940 წლის მე-3 ნომერი იყო. არ ვიცი, რატომ გაყვევი უკან. “ა“-ს მესამე ნომერში ჩემი ნოველა „სიკვდილი უდაბნოში“ იყო დაბეჭდილი და იქნებ ამან დამაინტერესა და მიბიძგა.

გემბანზე გავიდა. იმდღევანდელი მისი თანმხლები ქალიშვილი შევიცანი. შავგვრემანი გოგონა გადასახსნელ სკამზე იჯდა. ქერათმიანიც მის გვერდით ჩამოჯდა. მე ზღვას შეყურებდი. მალულად ქერათმიან ქალიშვილს ვუცქერდი. ხმადაბლა საუბრობდნენ. ჩემამდე სიტყვები კანტიკუნტად აღწევდნენ. როცა უკანასკნელად შევხედე, ჟურნალს ფურცლავდა. მერე ჩემი სახელი და გვარი გავიგონე.

ინსტინქტურად მათკენ წავედი. ქერათმიანს „სიკვდილი უდაბნოში“ გადაეშალა. პირველი სტრიქონი გადაიკითხა და შევაწყვეტინე:

- თუ შეიძლება, მეც მოგისმენთ, - ორივემ გააკვირვებით შემომხედა. წამიერად უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, ისევ მე ვიხსენი ჩემი თავი და გადაშლილ გვერდზე მივუთითე. - თბილისიდან წამოსვლის დღეს დავიწყე კითხვა, ველარ დავასრულე.

შავგვრემანმა გოგონამ ქერათმიანს შეხედა, მან სკამზე ოდნავ მოინაცვლა, ადგილი დამითმო და ხმადაბლა სთქვა:

- სიამოვნებით, დაბრძანდით.

დავჯექი. უსალმოდ. გაუცნობლად. ახლა რომ მკითხოთ, ვერ გეტყვით, რატომ მივედი მათთან. იქნებ, ქერათმიანი გოგონას ბრალი იყო, იქნებ, ჩემი ავტორისეული თავმოყვარეობისაც. მინდოდა: სხვის ბაგეთაგან მსმენოდა ჩემს სულში დაბადებული ჩემივე გმირების ბედი.

მერე კი მოვიხიბლე.

იგი ისეთი ინტონაციებით კითხულობდა ნოველას, როგორც მე წავიკითხავდი. შეიძლება იმ წუთში მისი საამო, წკრიალა, გაუზზარავი ხმა მსიამოვნებდა, შეიძლება, მაგრამ იგი ისევე კარგად გრძნობდა ჩემი ნოველის ნიუანსებს, როგორც მე განვიცდიდი წერის დროს. მოვიხიბლე. ვგრძნობდი, რომ მათ მარტოობაში ჩემი უცხოობით უხერხულობა შევიტანე, მაგრამ რაღაცნაირ სიახლოვეს განვიცდიდი ამ ქერათმიანი ქალიშვილის მიმართ. კითხვის დროს არც ერთს ჩემთვის თვალი არ გაუხწორებია. მიკვირდა, რატომ მთვლიდნენ ასე უცხოდ.

კითხვა რომ დაასრულა, წამიერად ორთავეს შეგვაველო თვალი, მერე შავგვრემან გოგონას მიუბრუნდა და ჰკითხა:

- მეთანხმები წელანდელ განკითხვაში?

წამოვდექი. ბედნიერებით ვიყავი ავსებული და განკითხვა და განსჯა ახლა სისულელედ მეჩვენებოდა. ჩემს ცნობიერებაში კვლავ ქერათმიანი გოგონას ხმა ირხეოდა და მსურდა: არაფერი შემოჭრილიყო მისი ხმის წკრიალა, გაუზზარავ ჟღერაში.

- მაპატიეთ. დიდად გმადლობთ, დიდად. - ვთქვი და ორივენი გემბანზე დავტოვე.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ჟურნალ „ა“-ს 1940 წლის მე-3 ნომერი მოვძებნე და „სიკვდილი უდაბნოში“ გადავიკითხე.

გურამ გელოვანი
სიკვდილი უდაბნოში
ნოველა
ციკლიდან „ადამიანები“

დუმილი აღარ შეეძლო. თვალწინ უდაბნოს ცხელ, ვარვარა ქვიშაში გათხრილი საფლავი ედგა. გულზე ლოდვიით აწვა რაღაც. ყველაფერი სტკიოდა. რაღაც ახრჩობდა და გრძნობდა, რომ დუმილი შემწვია. უნდა ეთქვა, ნათელასთვის ყველაფერი უნდა ეთქვა, იქნებ გულიდან სიმძიმე ახსნოდა, იქნებ ამოესუნთქა, იქნებ მოშვებოდა. გუშინაც აშფოთებდა ეს შინაგანი სიცარიელე, ეს უცნაური, გამოუთქმელი ვარამი. ათასჯერ გადიწყვიტა, მაგრამ სიტყვის დაძვრას ვერ უძლებდა. დაღამება მოეფონა, მაგრამ მარტობაც წამებად ექცა. ახლა ეს სიბნელეც, კარავში დაგანებული სიბნელეც ზარავდა, ეს სიბნელეც ქვიშაში გათხრილ საფლავს აგონებდა.

წამოიწია, ბნელში ხელის ფათურით კარვის მეორე კუთხეში ჩაძინებული ქალი მოძებნა.

– ნათელა!

ყრუდ ჩასძახა და ოდნავ შეანძრია.

– ნათელა!

ქალიშვილი შეკრთა, მაგრამ ერთბაშად კახას ხმა შეიცნო და გამოერკვა.

– არა, არ მინდა. – და უკვე აღარ იცოდა რა ეთქვა, – ნათელა . . . – ისევ უბიძგა ყველაფრის თქმისა და გამჟღავნების შემწვლელმა და მტანჯველმა სურვილმა, მაგრამ უმაღვე მოდუნდა, მოეშვა, ენა ველარ მოაბრუნა, გრძნობდა, რომ გულს ვერ მოერეოდა, – არაფერი, დაიძინე, დაიძინე.

თვითონაც მიწვა. წამიერად ისევ აღსდგა უდაბნოს ცხელ, ვარვარა ქვიშაში გათხრილი საფლავი და ისევ შემხუთავად შემოაწვა დუმილი. კარვის კარს თასმა ჩაუხსნა და გარეთ გავიდა. ბნელი უდაბნოს მდუმარება კარვის სიჩუმეზე საშინელი ეჩვენა. უფერული ციდან გადმომდგარ ქერჭისფერ მთვარეს გაუსწორა თვალი და შეშფოთდა. . . იმ ღამესაც, იმ ბოლო ღამესაც უდაბნოს ქვიშაში გათხრილ საფლავში უკუბოლდ ჩასვენებულ შალვას გაღეულ, ჩონჩხადქცეულ სახეზე უკანასკნელად მიაღება მთვარე. თვითონ ვერ გაუძლო მიცვალებულის ცქერას, მის უსიცოცხლო სახეს, ვერ გაუძლო და პირველად სახეზე გადააყარა ქვიშა და მერე, როცა სახეზე გადაყრილ ქვიშას მიეშუქა ქერჭისფერი მთვარე, მოეჩვენა, თითქოს შალვა ისევ უცქერდა. ჩამქრალი, ჩაფერფლილი თვალებით. მეტი ველარ შეძლო, საფლავს გაეცაღა, გვიან, მთვარის ჩასვლის შემდეგ ქვიშით ამოავსო სამარე, ნიში დატოვა, წამოვიდა და უკან აღარ მიუხედა. მთვარემიმდგარ სახეს მაინც ვერ იცილებდა. უსიცოცხლო, ჩამქრალი თვალები კვლავ უცქერდნენ, რაღაცნაირად, შემზარავად უცქერდნენ და აფორიაქებდნენ.

გაოგნებული მიაბიჯებდა – უნდოდა ჩქარა გასცლოდა ქვიშას, მაგრამ ჰორიზონტამდე ყველგან მაინც ვარვარა ქვიშა ჩანდა. სიბნელეს მოჰყვებოდა, გზას აღარ უყურებდა, ქვიშა ზარავდა, ირგვლივ ყველაფერი სიკვდილის გაფითრებულ ფერად ქცეულიყო და ასე ეჩვენებოდა, თითქოს საფლავებზე მიაბიჯებდა.

უნდოდა: ნათელას რამე ეკითხა, რამე ეთქვა, იქნებ, აღარ ეფიქრა უდაბნოში მიტოვებულ საფლავზე, იქნებ, აღარ ეცქირა გადაფითრებული ქვიშისთვის, მაგრამ ქალიშვილი რაღაც დაჟინებით და მწარედ, გლოვის მძიმე და აუტანელი დუმილით დადუმდა.

უდაბნოც გლოვის დუმილით დუმდა, აღარ ტკაცუნობდა სიცხე. კახა ვერაფერს გრძნობდა გაბრუებული, დამძიმებული თავისა და მოკვეთილი მუხლების გარდა. თავბრუ ეხვეოდა, წონასწორობას კარგავდა, ფეხს ძლივს დგამდა, უდაბნოს ქვიშნარი მთვარემიმდგარ, ჩამქრალი თვალებით მოფენილ სივრცედ ეჩვენებოდა და ფეხის ყოველ გადადგმეზე ფორიაქობდა სული, ელანდებოდა, რომ ამ თვალებს სრესდა, ჩაცვენილ, გაყინულ თვალებს სრესდა. მირაჟებს ნატრობდა, მაგრამ ჰორიზონტამდე ყველგან უსიცოცხლო თვალები ჩანდა.

შუადამისას სიარული ველარ შეძლო და ჩაიმუხლა. მოეჩვენა: არაფრისმთქმელი მზერით შეჰყურებდა წინ მიმავალი ნათელას ზურგს. ქალიშვილი ნელა მიდიოდა, დაღლილი, დაცლილი, გამოფიტული, მძიმე ნაბიჯებით. მერე ნათელას ზურგიც გაქრა სადღაც, უსიცოცხლო თვალებიც გაქრა, ჰორიზონტიცა და გადაფითრებული ქვიშაც, უაზროდ დაშტერებოდა კარავს

. . .

ნათელას ხმამ გამოარკვია:

– კახა!

შეკრთა და მიიხედა.

ქალიშვილი გამოსულიყო კარვიდან.

თავზე ადგა.

უაზროდ ახედა.

– კახა!

– აღარ შემიძლია . . . – რაღაცნაირად უმწეოდ თქვა. ნათელას გამოწვილ ხელს მოეჭიდა და მაშინ იგრძნო პირველად, რომ დუმილი შეშლიდა. ერთბაშად შეიპყრო მტანჯველმა სურვილმა, რომ ნათელასთვის ყველაფერი ეთქვა. „უნდა ვთქვა, ყველაფერი უნდა ვთქვა, – წამიერად გაუელვა გონებაში, – იქნებ . . . “ იქნებ ისევ ნაცრისფრად ქცეულიყო ქვიშა, იქნებ სადღაც გამქრალიყვნენ უსიცოცხლო თვალებიც და ამოსუნთქვაც.

– ნათელა . . . – თქვა და უმაღვე უჩვეულო მოდუნება იგრძნო: რაღაცას ვერ გადააბიჯა. დადუმდა და ისევ თვალებად გადაიქცა ქვიშა.

. . . ახლაც, ამ ქერეჭისფერი მთვარის დანახვისას, ისევ უმზერდნენ შალვას ჩამქრალი თვალები.

ქვიშაში ჩაემხო და თვალები დახუჭა.

ერთბაშად მოეჩვენა, რომ საფლავზე იწვა. შეძრწუნდა. ვეღარ წამოდგა წელი ვერ აიტანა. კარვისკენ გაფორთხდა. მძინარე ქალიშვილამდე ძლივს მიიტანა სხეული. მთელ ტანზე უდაბნოს ცხელ ქვიშას გრძნობდა და ცახცახებდა. სიბნელეში ქალიშვილი იგრძნო. ხელი მოჰხვია, მკლავზე აკოცა, მერე თმებზეც, თვალებზეც, ყვრიმალეებზეც.

– ნათელა!

– რა იყო კახა?

– მომეფერე, მომეფერე, ნათელა, მეტი აღარ შემიძლია. მაკოცე . . . ასე, ასე, ყველგან, ყველგან, – სახეზე ხელები შემოაჭდო, – გიყვარვარ? მითხარი, ბევრჯერ მითხარი, ბევრჯერ.

სიბნელეში ქალიშვილის სახეს ვერ ხედავდა. მაინც გრძნობდა, როგორი ალერსით და სითბოთი შემოჰყურებდნენ მისი თვალები.

– გიყვარვარ?

ნათელამ ხელები ყელზე შემოჰხვია.

– ყველაფერზე მეტად, ყველაზე მეტად, სიცოცხლეზე მეტად.

ერთბაშად უცნაური სიმშვიდე შეიგრძნო. წამიერად გულზე მოეფონა. მერე კი საიდანდაც ისევ აღსდგა ჩამქრალი, უსიცოცხლო თვალები და მობრუნებული, წედანდელი შეშფოთება ყინულივით ჩაეღვარა მთელ სხეულში. ქალიშვილის სახესთან მიუტანა სახე.

– რას შესძლებდა ჩემთვის? ჩემი სიყვარულისათვის?

– ყველაფერს, შეუძლებელს.

– თქვი, ნათელა, თქვი, რამე თქვი. შენი ხმა მინდა, თქვი რამე, მე მოგისმენ, – ქალს გულში იკრავდა, თმებზე ხელს უსვამდა, – თქვი რამე, – მერე დადუმდა, სახეზე მიუალერსა – გახდი, ამ დღეებში გახდი, განახევრდი.

– ნუღარ მომაგონებ.

– არა, თქვი, გაიხსენე, ვითომ სხვაზე ჰყვები, ვითომ მე არც ვყოფილვარ უდაბნოში.

ხმა გაეზარა. ანაზღაურად შეიცნო, რომ რაღაცას გადააბიჯა, იმას, იმას, რაც აქამდე ხმას უსწავდა. აწი უკვე მდუმარება აღარ შეიძლებოდა. მისი უცნაური მღელვარებისაგან გააკვირვებულმა ქალიშვილმა მხოლოდ ახლა შეამჩნია ვაჟის ყინულივით ცივი ხელები. კახას გაბზარულმა ხმამ გამოარკვია.

– რა დაგემართა, კახა?

– მოჰყევი, ჩემი სიყვარულისათვის, მე გთხოვ, შენი ხმის გაგონება მინდა, მოჰყევი, – შეეშინდა, რომ ქალს მეტი არაფერი ეკითხა, ყველაფერს ერთბაშად ვერ ეტყოდა, სადღაც დამძიმებულ სულში ნაგრძობობ საკუთარ სიმართლეს ერთბაშად ვერ დაანახებდა, – მოჰყევი. . . ჰო, თქვენ სამნი იყავით, ტაშაუზიდან მთებში წახვედით, უწყლო ადამიანისათვის წყაროს თავებს ეძებდი, მოულოდნელად შალვა ავად გახდა, მოულოდნელად შალვა ავად გახდა, მთავარ ბანკთან კავშირი დაჰკარგეთ, ავადმყოფი წამოიყვანეთ, მერე გზა დაგებნათ და ოაზისის ნაცვლად. . .

– ჰო, ოაზისი განზე დაგვრჩა, – განაგრძო გაოგნებულმა ქალმა, – უდაბნოს თაკარასა და ხვატში კარვის, ერთი დღის საგზაალისა და ორიოდ ლიტრი წყლის ამარა დაგვრჩით. . .

– მეორე დღეს შალვამ სიარული ვეღარ შესძლო, მოტყდა, – კახა ვეღარ ითმენდა, ახლა ძალა აღარ ჰყოფიდა დაწვრილებით მონათხრობი მოესმინა, საფლავთან, უდაბნოს ცხელ ქვიშაში გათხრილ საფლავთან უნდოდა ჩქარა გაეღწია, მერე იტყოდა, უკვე გადაწყვიტა და ყველაფერს იტყოდა, იქნებ ლოდი ჩამოხსნოდა გულიდან, იქნებ ამოესუნთქა, იქნებ . . .

– მოტყდა, დაეცა, ივლისის ბოლო კვირას გარიჟრაჟზე გაეშალეთ კარავი . . .

– შალვა კარავში იწვა, – განაგრძო ქალმა – სიცხისგან დამძიმებული, გაოგნებული თვალებით ჭერს მიშტერებოდა. დაწვებზე ყვითელი ფერი დაედო. საჭმელი აღარ იყო. გარეთ

უდაბნოს ხვატი იდგა. ქვიშნარი ვარვარებდა. უდაბნოს ცხელი სუნთქვა კარავშიაც გვხუთავდა. შალვას ძლივს ჩაეძინა, მე შენს გვერდით ჩამოვჯექი და გითხარი:

„წამოწევა რომ შეეძლოს, იქნებ ორიოდ დღეში გაგვეღწია.“

შენ არაფერი თქვი. უხმოდ გახვედი გარეთ. მე ვფიქრობდი და გამოსავალი ვერ მომენახა. კარავში შენი შემობრუნება არც გამიგია. შენმა ხმამ გამომაფხიზლა:

„წყალი რამდენი დაგვრჩა?“

„ორიოდე ჭიქა. დუღს.“

ქალი დადუმდა. კახამ გულზე მიიკრა მისი ხელი და ახლა თვითონ განაგრძო:

– მე ხელი მოგხვიე და შემოგაჩერდი. შენმა სახემ შემაძრწუნა. გადაღლილი, გაფითრებული იყავი. მეორე დღე გათავდა წყლის გემო არ გენახა. ავადმყოფს ვუზოგავდით და ორივენი ვგრძნობდით, რომ გამოსავალი არ იყო.

– „რა ვქნათ?“ – მე დავარდვიე დუმილი პირველად. – ალბათ, მე უფრო ადრე მომხარა შიშმა, – ვგრძნობდი, რომ შენ დიდხანს ვეღარ გაუძლებდი, ვერ გაუძლებდი, კიდევ ერთი დღეც და ვეღარც შენ შესძლებდი სიარულს.

– „უნდა ვიაროთ“ – მითხარი შენ. ღამით გავაგრძელებთ გზა. შალვა შენ მოგყავდა ზურგით. მე კარავი ავიკიდე. მთავრის შუქს მივყვებოდით, უხმოდ, ალაღბებზე. . .

მთვარის ხსენება სამსჭვალავით მოხვდა კახას. ისევ გაიელვეს უსიცოცხლო, ჩამქრალმა თვალებმა. ანაზღად ქალიშვილს ბაგეზე მიაფარა ხელი.

– იგი წყალს თხოულობდა. განთიადისას წყალი უკანასკნელ ყლუპზე დადგა. შენ ფეხები გტკიოდა. ვგრძნობდი, რომ წყურვილისაგან იწვოდი. წყალს მაინც არ თხოულობდი. მე ქამრით მივიმაგრე შალვა. ცალი ხელი მოგაშველე. წონასწორობას მაინც კარგავდი.

– დილით ისევ დავდგი კარავი, – განაგრძო ქალმა, – შალვა თითქმის ვეღარ ლაპარაკობდა.

– მე ფიქრს გავეუბნობდი. შენ ერთი ღამის მეტს ვეღარ ივლიდი. ამას იქით უკვე ყველაფერი ამაზრზენი იყო, – ესა სთქვა და ერთბაშად იგრძნო რომ აქ, სწორედ აქ უნდა დაანახოს ქალიშვილს მის დამძიმებულ სულში ბუნდოვანი სიმართლე, იგრძნო, რომ აქამდე ნათქვამი ყველაფერი ამაო იყო, აქ, აქ იყო გადასალახავი მიჯნა. . .

– გესმის ნათელა, ამას იქით ყველაფერი ამაზრზენი იყო. . . გესმის ნათელა? შენ ერთი დღის მეტს ვეღარ გაძლებდი. . .

მოეჩვენა, რომ რაღაც რჩებოდა უთქმელი. არა, ეს არ კმაროდა. ამით ვერ ჩაახედებდა სულში. „ვერ გაძლებდა“ კი არა, აღარ ეყოლებოდა. აღარ იქნებოდა. . . მწარედ ეტკინა გული. . . აღარ ეყოლებოდა, უდაბნოს ცხელ ქვიშას დარჩებოდა სამუდამოდ, სამარადჟამოდ, . . . აქ იყო, აქ, სიმართლე. . . გაძლებაში კი არა, სიკვდილში. ამას გრძნობდა, მაგრამ ხმამაღლა მაინც წელანდელი სიტყვები გაიმეორა.

– შენ მეტს ვეღარ გაძლებდი!

ენა ვერ მოიბრუნა, სიკვდილი მაინც ვერ უხსენა.

– ვიცოდი, – უპასუხა ქალმა, – იქნებ მეც ვერ მოვერიე ჩემს გულს. გახსოვს, რომ გკითხე, უკანასკნელ დღეს რომ გკითხე: „გავაღწევო?“ ახლა ვგრძნობ: შიში კითხულობდა, სიკვდილის წინაშე უცნაური შიში. შენ აღარაფერი თქვი და შალვას შეხედე.

მაინც ითქვა, რისი თქმაც თვითონ ვერ შეძლო. ჰო, თურმე ნათელა თვითონაც გრძნობდა მოახლოვებულ სიკვდილს, თურმე თვითონაც უხმოდ იტანჯებოდა. –

– იმ საღამოს ან შენ უნდა მეტარებინე, ან შალვა. . . გესმის, ან შენ, ან იგი. – თქვა ვაჟმა და როცა საკუთარი სიტყვები შემოესმა, მიხვდა რომ ეს იყო ყველაზე მთავარი. წუხელ ამაოდ უფიქრია, რომ მთავარი პირველი სიტყვის დაძვრა იყო. არა, არც პირველი სიტყვის დაძვრა, არც სიკვდილის წინაშე შიში, არა, ეს ყოფილა მთავარი. . . კახას ან ერთი უნდა ეტარებინა, ან მეორე. „ან ერთი უნდა. . .“ მეტის გაფიქრებაც ვერ გაბედა და ხელახლა წელან ნათქვამი განიმეორა: – ან შენ უნდა მეტარებინე, ან იგი. . . გახსოვს, უკანასკნელად რომ მოიბრუნა შალვამ ენა. შენ კარვიდან გასვლა განიშნე, მე ახლოს მივედი და თავზე დავადექი. შემომხედა. ძლივს სუნთქავდა. ავადმყოფი, გაბრაზებული და განწირული გული ხრიალებდა, იბრძოდა მის სუნთქვაში. იწვალა, სანამ სიტყვას დაძვრავდა. „ნათელას უშველე“ – ძლივს მითხრა და დაუმატა – „უშველე, გამოგეცლება ხელიდან. . .“

– მეტს ნუღარაფერს ვიტყვით, – ხმა აუკანკალდა ქალიშვილს, კახას უფრო ძლიერად შემოაჭლო ხელები და ვაჟმა იგრძნო, რომ ნათელას ცრემლები ქუთუთოებზე ადგა, – მეტს ნუღარაფერს ვიტყვით. . . რატომ იწამებ თავს, რატომ? გუშინდელი დღეც გეყოფა. . . ძლივს მოდიოდი, ამ ქვეყნად აღარ იყავი. . . გიცქერდი და. . . – კახას თვალები და სისხლი

გაეყინა, – მეტს ნურაფერს ვიტყვით, – კიდევ გაიმეორა ნათელამ, შენ ორი ღამე კიდევ მატარე და ბოლოს გამოვადწიეთ ოაზისში . . .

– არა, ვთქვათ, ბოლომდე ვთქვათ, რაღაც მახრჩობს, ნათელა, რაღაც მტანჯავს, შენ უნდა იცოდე, შენ ყველაფერი უნდა იცოდე . . . შენ მეტს ვეღარ გასძლებდი, – ხელახლა გაიმეორა ეს კახამ, ჟინიანად, ჩაგონებით, – გესმის, შენ მეტს ვეღარ გაძლებდი, – მერე უცნაურად შეანძრია ქალიშვილი, – აღარ მეყოლებოდი, აღარ მეყოლებოდი . . . – ამოისუნთქა, – ან შენ უნდა მეტარებინე, ან იგი . . . უდაბნოში საფლავი რომ არ გათხრილიყო . . . აღარ მეყოლებოდი, აღარ მეყოლებოდი, – და მერე სულ ახლოს მოიხიდა გაოგნებული ქალი, – აღარ მეყოლებოდი, – უეცრად მოიცილა, – თვითონ წამოდგა და ქალიშვილის ხელი ხელში შეიტოვა.

– კახა. – ნათელამ სიბნელეში ისევ მოძებნა ვაჟი, – მეტი აღარ გინდა, მეტს ნურაფერს იტყვი, საზარელია, ამის გაგონებაც საზარელია. . .

– დუმილი შემშლის, შემშლის, გესმის. . . შემშლის. . . შენ მეტს ვეღარ გასძლებდი – ახლა უკვე უაზროდ გაიმეორა ეს სიტყვები. მერე დადუმდა. წამიერად ვეღარ მიაგნო სათქმელს და ანაზღად მოეჩვენა, რომ საერთოდ ვერაფერი თქვა, რომ ნათელა ვერაფერს მიახვედრა, რომ ისევ თავიდან უნდა დაეწყოთ ყველაფერი. – აღარ მეყოლებოდი . . . შენზე ფიქრი მტანჯავდა, ფიქრი და შიში მაწამებდა. . . ახლა ისუნთქე, ახლა ნურაფრის გეშინია, – ესა სთქვა და ცნობიერებაში წელან გაწყვეტილი დაუმთავრებელი ფიქრიც ბოლომდე მიიყვანა: „ან ერთი უნდა მეტარებინა, ან მეორე. . . ან ერთი უნდა გადაამერჩინა, ან მეორე.“

ქალიშვილი გაოგნებული იყო

– რა მოგდის კახა?

– მიყვარხარ. მიყვარხარ. მეტი არაფერი არ მომდის. მეტი არაფერი არ მომსვლია. შენ უნდა იცოცხლო, გესმის, ნათელა, შენ უნდა ისუნთქო. . . – მის ხმაში უსაშველოდ დაჭიმული ნერვები მუღავნდებოდა.

– კახა! – სიბნელეში ცივად ჩაიღვარა ნათელას ხმა.

– გაჩუმდი! მაცალე! – ანაზღად იყვირა, ქალიშვილს ხელით ბაგე მოუკუმბა. – მე არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი. . . რაღაცამ მიბიძგა, გამიგე, ნათელა, გამიგე, რაღაცამ მიბიძგა . . . „ნათელას უშველე“ – ძლივს სთქვა ეს სიტყვები შალვამ, მე კარვიდან გამოვედი, „უნდა ვიაროთ, მეოქი“ – გითხარი, შენ თავი დამიქნიე, ვბორგავდი, ისევ კარავში შევედი და შალვა აღარ იყო. ამბობდა ამ სიტყვებს და ქალის ბაგეს მაინც არ ეშვებოდა. აღარ უნდოდა შეჩერება, უნდოდა ყველაფერი ერთბაშად დაესრულებინა, უნდოდა: საფლავამდე, უდაბნოს ქვიშაში გათხრილ საფლავამდე მისულიყო, – ნურაფერს ნუ მეტყვი, – უფრო უჭერდა ქალს ბაგეებზე ხელს, – ნუ მეტყვი . . . შალვა აღარ იყო, მისი ჩამქრალი თვალები შემომცქეროდნენ . . . სახეზე კი, სახეზე, ჰო სახეზე . . . პატარა ბალიში ეფარა და უეცრად ყველაფერი მომაგონდა . . . რაღაცნაირად განათდა და შეშლილივით აკივლდა გონება . . . წუთის წინ ის პატარა ბალიში მე მეჭირა ხელში . . . ზმანებასავით ჩამრჩა ცნობიერებაში . . . სახეზე მივაფარე, მაინც ხელში მეჭირა, მის სახესთან მეჭირა, – კახას ხმა ჩაუწყდა, – მის სუნთქვასთან მეჭირა . . . – შეჩერდა, უცნაურად შეიგრძნო, რომ აქამდე ნათქვამი ყველაფერი ამაო იყო, რომ სიმართლე სადღაც ამის იქით იყო, „სუნთქვასთან დაჭერილი ბალიშის“ იქით, – შენ მეტს ვეღარ გაძლებდი, – ისევ ეს სიტყვები წამოიძახა და მერე ხელახლა გაიმეორა: – შენ მეტს ვეღარ გაძლებდი . . . ის კი, ის თვითონ მთხოვდა სიკვდილს, თვითონ მთხოვდა, – და მხოლოდ ახლა გაბედა ხმამაღლა ეთქვა: – ან შენ უნდა გადაამერჩინე, ან იგი. – ახლა უკვე სჭირდებოდა ამის თქმა, ყველაფერზე მეტად სჭირდებოდა, აქ ამ გადარჩენაში, იყო სწორედ ბუნდოვნად ნაგრძნობი სიმართლე . . . – ან შენ უნდა გადაამერჩინე, ან იგი . . .

– მოჰკალი? – ნათელამ გაიბრძოლა და ვაჟის ხელი მოიცილა. მის ხმაში გაკვირვება და შეშფოთება ისმოდა.

. . . კახა შეიძრა.

– შენ მეტს ვეღარ გაძლებდი.

– მოჰკალი? – ისევ გაიმეორა ქალმა. კახამ სახესთან იგრძნო მისი სუნთქვა.

– შენთვის, შენი სიყვარულისთვის . . . ჩაიხოქა. გაოგნებულ, შეძრულ ნათელას მუხლებზე მოეხვია. – მაინც მოკვდებოდა, – ხმა ვედრებად ექცა, თვითონ მთხოვდა სიკვდილს, თვითონ მთხოვდა . . . მაინც მოკვდებოდა, მაგრამ მაშინ იქნებ შენც დამეკარგე, იქნებ შენც აღარ მყოლოდი.

– გაჩუმდი! – არაადამიანური ხმით წარმოსთქვა ქალმა. სულ ნელა, ჩურჩულით სთქვა.

– შენთვის . . .

– გაჩუმდი! – ვაჟი გამოერკვა. ქალიშვილის ხმამ აგრძობინა, რომ მის სიმართლეს დასშული გული და ბრმა თვალები დახვდა და შეშფოთდა.

– შენი სიყვარულისთვის . . . – საკუთარ სიმართლეს შეეშველა, მაგრამ, უმაღლ დადუმდა, იგრძნო, რომ ქალი მას აღარ უსმენდა. ნათელა გარინდებული იჯდა. თავი ჩაეხარა. ქალიშვილმა ანაზდად შეიგრძნო, რომ ეს მკვლელობა იყო, დაუძღურებული, დაცემული ადამიანის უტიფარი მკვლელობა, ჰო, ჰო, უტიფარი მკვლელობა და. . . უდაბნოს ცხელი სუნთქვასავით აღმურად წაეკიდა რაღაც.

კარავში დუმილი იდგა. გუშინდელი მტანჯველი დუმილივით გლოვის და წამების დუმილი.

ქალიშვილმა ხელზე კახას ხელი იგრძნო და გამოერკვა.

– არ მომეკარო! – შეაგება, მაგრამ კახა მაინც ერთბაშად მიეტანა, სახე დაუჭირა, კოცნიდა: ყელზე, თმებზე, თვალებზე და თან ერთსა და იმავეს იმეორებდა: – შენთვის, შენი სიყვარულისთვის.

– არ მახსენო, – გაიბრძოლა ქალმა, – არ მახსენო!

– მომიტევებ? – უცნაურად გაისმა ეს სიტყვა ჩამობნელებულ კარავში და ანაზდად აფეთქდნენ ვნებები.

ვაჟმა მთელი სიცხადით იგრძნო, რომ ეს იყო სწორედ მთავარი, არც სიკვდილი, არც გადარჩენა, არა, მიტევება იყო მთავარი. ამას ეძებდა მისი აწრიალებული სული, ამ მიტევებას, მიტევებას და სიმშვიდეს. ქალს კი რაღაცნაირად ამაზრზეხად ჩაესმა ეს სიტყვები.

– მომიტევებ? – თითქოს რაღაცამ უბიძგა, ხელახლა გაიმეორა კახამ და ერთბაშად მიხვდა, რომ წელანდელი სიმართლე გამოეცალა, შიშველი, ცარიელი დარჩა და მოეჩვენა, რომ ახლა ნათელაზე ეკიდა ყველაფერი.

– მომიტევებ? – რაღაცნაირი უმწეო, მიუსაფარი გაუხდა ხმა.

– ეს გტანჯავდა?

– მომიტევებ?

– ელოდი მოტევებას? – კახას მოეჩვენა, რომ ნათელას მაგიერ ვიღაც სხვა ლაპარაკობდა კარავში.

– ახლაც მჯერა, ახლაც მწამს. – ისევ მოძებნა ნათელა ვაჟმა, მაგრამ ხელი გაუშეშდა, გახევებულ ქალიშვილს ვეღარ შეჰბედა და შემკრთალმა უკან დაიხია.

ორივენი დადუმდნენ. აფეთქებული ვნებები კი მტანჯველად აფორიაქდნენ.

„უტიფარი მკვლელობა . . . უტიფარი მკვლელობა“ – ნათელას ბუნებაში ამ ძახილად იქცა აფეთქებული ვნება, რაღაც შემშლელად აკივლდა, ურჩხულივით წამოიძარტა და მთელ ცნობიერებას მომწუსხველად გადაეფარა. . . სხვას ვერაფერს გრძობდა . . . სხვა არაფერი აღარ იყო, არაფერი აღარ არსებობდა . . . „უტიფარი მკვლელობა, უტიფარი მკვლელობა“ – ბნელი ტალღასავით ირწეოდა ეს სიტყვა გონებაში და ქალიშვილი ანაზდად მიხვდა, რომ უდაბნოში გათხრილი საფლავი ყველაფრის დამსხვრევა იყო, წლობით ნააღერსალი ოცნებების, იმედების და ზმანებების დამსხვრევა.

„უტიფარი მკვლელობა, უტიფარი“ – თანდათან რაღაც საშინელი აზრი ეძლეოდა ამ სიტყვას და მერე თვითონაც აღარ უგრძნებია, როგორ გადალექა ამ ბნელმა ტალღამ ყველაფერი. „მეც გამიმეტებდა, მეც, რომ დასჭირვებოდა, რომ ვერ გამოგვეღწია, მეც დამტოვებდა უდაბნოს ქვიშაში, – თითქოს რაღაცას ეჯიუტებოდა ქალიშვილი, – იზამდა! გაურკვეველ, ამაზრზეხ მომავალზე ფიქრს ვერ გაუძლო და ვიღაც შესწირა, მეგობარი შესწირა, უბრძოლველად, სულმდაბლად გაიმეტა, რომ ვერ გამოგვეღწია, მეც გამიმეტებდა, მეც . . .“ ანაზდად უდაბნოს ცეცხლის შეხებაც იგრძნო. გველნაკბენივით შეკრთა, გაიწია, ხელი გააქნია, მოულოდნელად საძილე ტომრის ჯიბეში ჩადებულ რევოლვერს გადააწყდა და ისევ აფეთქდნენ ვნებები.

კახა რაღაცას ეუბნებოდა, მაგრამ ქალიშვილი აღარ უსმენდა.

„შენთვის, შენი სიყვარულისთვის . . .“

მხოლოდ ეს სიტყვები მისწვდა მის სმენას და რაღაც უცნაურ ვარამად ჩაეღვარა სულში.

„არა, ეს სიყვარული არაა, ეს არც სიყვარულისთვის შეწირული მსხვერპლია . . . ეს რაღაც უფრო ბნელია, უფრო ბნელი . . .“ მერე აღარაფერი აღარ ესმოდა . . . სულს უხუთავდა რევოლვერის სიცივე და მეტს აღარაფერს აღარ გრძობდა, მეტი აღარაფერი აღარ იყო . . . მხოლოდ ცივი, ყინულივით ცივი, ამაზრზეხად ცივი რევოლვერი აწვალებდა . . . ახლა ყველაფერი ამ სიცივედ ქცეულიყო და ახლა ეს აწვა მაჯლაჯუნასავით.

ერთბაშად იგრძნო, რომ სისხლზე ფიქრობდა და შეცბუნდა. – „არ შემიძლია, – საკუთარ ფიქრს ებრძოდა და ამ სიტყვებით თითქოს რაღაცას ინანიებდა, – არ შემიძლია, არ შემიძლია“, ხელახლა გაიფიქრა და კახას ხმამ გააწყვეტინა ფიქრი:

– მომიტყეებ?

ქალიშვილისთვის ეს სიტყვა ახლა წედანდელი უმწეო ვედრება აღარ იყო. ისევ აირწა ბნელ ტალღებად რაღაც და ისევ აფეთქდნენ ვნებები. მოეჩვენა, რომ სულმდაბლობის მღვრიე მორევი დაახრჩობდა, გადაქლავდა, წაღეკავდა და გაიტანდა. იგრძნო, რომ ეს მღვრიე მორევი ხუთავდა და საშინლად მოუნდა სუნთქვა. უნდოდა: ამ მღვრიე მორევს გასცლოდა, გაქცეულიყო, წასულიყო. სუნთქვა უნდოდა და ახლა ამ სუნთქვის ნატვრად ქცეულიყო ყველაფერი. ახლა სხვა აღარაფერი არსებობდა . . . არც ყინულივით ცივი რევოლვერი, არც სისხლი, არც შემოსეულ ფიქრებთან ბრძოლა და სინანული. . . ახლა მხოლოდ სუნთქვის ნატვრა და სულში აღმდგარი გაქცევის, წასვლის ძახილი აწამებდა . . .

ქალიშვილის ამ ხანგრძლივი დუმილისას კახა უცნაურ სურვილად იქცა, უნდოდა, რაღაცნაირი იდუმალი ძალით ნათელას ფიქრს მისწვდენოდა. შემდეგ კი საოცარი გამოფიტვა და გულგრილობა დაეუფლა და ამ დუმილში უკვე აღარაფერზე ფიქრობდა, ჩვენებები აღარ მოსძახოდნენ და გარინდებული და თვალდახუჭული ელოდა მდუმარების დარღვევას.

ჩქამმა გამოარკვია. ქალიშვილის ლანდს კარვის კარებთან დააწია მზერა.

– ნათელა!

ქალი ხმას არ იღებდა. სინელეში ხელის ფათურით ეძებდა კარის თასმას.

– ნათელა, სად მიხვალ?

– მივალ.

კახა წამოიჭრა

– სად?

ქალმა ხმა არ გასცა.

– სად მიხვალ?

მკლავში ხელი წაავლო და მოატრიალა.

– სად მიხვალ?

– შიშს გაურბივარ.

ქალიშვილის ხმა ვეღარ იცნო.

– რის შიშს?

– მეშინია, – მერე ჩურჩულით განაგრძო – მეშინია, მეშინია არ მოგკლა, მე თვითონ ვერ ავიტან სისხლს, მე თვითონ . . .

– ნათელა! – კახას სახე მოექცა, ერთბაშად მოსწია და ქალიშვილი საძილე ტომარაზე დასვა.

ქალმა წამოიწია.

– გამიშივი! მე წავალ, ესეც მოტყევება . . . მე კი, მე იქნებ ეს მდუმარე წასვლა არასოდეს არ მომიტყეონ. . .

– ნათელა! – კახა წამომდგარ ქალიშვილს აჰყვა.

– არ მომეკარო! – შეაგება ქალმა, მაგრამ კახამ ისევ გაიწია მისკენ, ხელში სწვდა და ერთბაშად რევოლვერის სიგრილე იგრძნო.

– ესაა განკითხვა? – რევოლვერიანი ხელი შეურხია და მთელი სიცხადით იგრძნო, რომ არ მიუტყევეს, არ აპატიეს, რომ ნათელას სამუდამოდ ჰკარგავდა, და რომ ამის ატანა არ შეეძლო.

– ნათელა! – განწირული ხმით დაიყვირა და კარვის კარამდე მისულ ქალიშვილს წამოეწია – ნათელა, მოგკლავ, გესმის, მოგკლავ . . .

ანაზღად შემობრუნებულმა ქალიშვილმა მზერა გაუმართა აჩრდილივით წამოჩონჩხილ ლანდს, წამიერად ასე იყო გარინდებული და საშინელი სიცხადით შეიგრძნო, რომ ამაოდ გარბოდა, რომ მიტყევა არ შეეძლო. თვალები დახუჭა. არ უგრძენია, როგორ გაისროლა და მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა ფეხებთან ჩაკეცილი ვაჟის მოშვებული სხეული იგრძნო.

IV

გურამ გელოვანის დღიურები
20 მაისი გემი „საქართველო“

ბაღს იქით ნახევრად შიშველი ადამიანებია, მერე ღორღიანი ვიწრო ზოლი, და იქით ზღვა. ვწევარ შიშველი, უცნობი ადამიანების გვერდით და ლილისფერ ზღვას გავცქერი. ზღვაზე ყოველთვის ასე მემართება ხოლმე: წყლიდან ამოსული ქვიშნარზე გავიშობები, სველ ტანს

მზეს მიუშვერ და მერე მოდის უცნაური გარინდება. ხედვას არაფერზე არ ვაჩერებ და არც არაფერზე ვფიქრობ. ვწვეარ და თითქოს თვალგახელილი ვთვლემ. ვგრძნობ როგორ თანდათან შრება ჩემი სხეული და ქვიშას მხურვალეობა ემატება.

თავზე ვიღაცის ჩრდილი დამეცა, ჩრდილს ავხედე და ქვიშაზე ბორძიკით მიმავალ ჩასუქებულ მამაკაცს გავაყოლე თვალი. კაცი ანახდად შედგა და ზღვას გახედა. წამიერად რაღაცას აკვირდებოდა, მერე ირგვლივ მოატარა მხერა და მის ფეხებთან გაწოლილ ჭაბუკს ხმამაღლა უთხრა:

– ვიღაც ისრხოდა.

წამოვიწიე.

შორს, ზღვაში, აწვდილი ხელი დავლანდე. ხელი წამით ქრებოდა, მერე ხელახლა ჩნდებოდა და უცნაური მოძრაობით ჰაერს კვეთდა. ვიღაც მშველელს უხმობდა, რაღაცას ყვიროდა, მაგრამ ნაპირამდე ხმა არ აღწევდა.

შიშველი ადამიანები აფუსფუსდნენ. სხვების კვალდაკვალ მეც ზღვაში შევედი და ნაპირს მოვხედე, მთელი სანაპირო ფეხზე იდგა, სადღაც შორს, ზღვაში ასავსავებულ ხელს უთვალავი ხელი ეხმაურებოდა და აიძვლებდა.

მივცურავდი. ხელი რომ არ დამკარგვოდა, დროდადრო წყლიდან მალლა ვიწვედი და ტალღებში სწორ გზას ვეძებდი. ჩემს მხარმარცხნივ ვიღაც მოცურავდა, ჩემს წინაც ვხედავდი ვიღაცის თავს. რატომღაც სურვილი მომეძალა ხელთან პირველი მე მივსულიყავი, მერე ამ სურვილმა ერთიანად გამთანგა, მარტო ამ სურვილად ვიქეცი, ერთხელ ამოვიწიე ტალღებს ზემოთ და მერე დიდხანს აღარ ამიღია თავი. მხარმარცხნივ მცურავი სადღაც გაქრა, ბოლოს ჩემს წინ მოძრავი თავიც ჩამოვიტოვე და ისევ მოვხედე ნაპირს. სადღაც შორს იყო, ადამიანები დაპატარავებულიყვნენ. – „მიშველეთ!“ მომწვდა ძახილი და მე ოდნავ ვიცვალე მიმართულება. ხმას მივყევი. „მიშველეთ!“ – მეორედ, შემომესმა და ისევ ამოვიწიე წყლიდან. ერთი წამით ვერაფერი გავარკვიე. ვიღაც ცალი ხელით მოცურავდა. ხელახლა ამოვიწიე წყლიდან და მივხვდი, რატომ არ ხმარობდა მეორე ხელს, მეორე ხელით მას სხვა მოჰყავდა. რამდენიმე წამში ერთმანეთს გავუსწორდით, წყალში შემოვბრუნდი და როცა მარჯვენა განწირულის თმებს წავავლე, წამიერად ცალი თვალით მცურავს შევხედე. გულმა დარეკა. განწირული თითებით მოვხიდე, თავი ავუწიე და ქერათმიანი ქალიშვილი ვიცანი. ცალი ხელით მცურავი მისი თანმხლები გოგონა იყო.

მოვეშვი, ხელი მომიდუნდა, შიშისაგან დავრეტინდი, ენა ვვლარ მომებრუნებინა. ქერათმიან გოგონას სიცოცხლის ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა. არ შემეძლო რაღაცა მეკითხა მისი მეგობარი ქალიშვილისათვის. ეს ყველაფერი ერთ წამში მოხდა. როცა გამოვერკვიე, მაშველი ნავისგან აშლილმა ტალღებმა ამარწიეს.

– სად ხართ აქამდე? – მთელი ხმით ვუყვირე ნავის ქიმზე პირქვე მწოლიარე ახალგაზრდას, რომელსაც ხელები ჩვენსკენ გამოეშვირა, თან ნიხბებთან მჯდომს რაღაცას ანიშნებდა.

– მისი ხელი მომაწოდე. – ისე გამომეპასუხა, ჩემთვის არც მოუხედავს.

ქერათმიანი გოგონა ნავზე აიყვანეს, ნავი მობრუნდა, ახლა მე და ქიმზე წამომჯდარი მენავე მხარდამხარ ვიყავით.

– მეორე? – ვუთხარი მე.

– შენ თვითონ მოეხმარე. აქ რომ ამოვიყვანოთ, ვვლარ გავინძრევით.

გოგონას მივუბრუნდი.

– შეგიძლია იცურო?

თავი დამიქნია.

ოდნავ წინ გავუსწარი და მოვხედე.

ზურგზე მომეჭიდე, – ვუთხარი და თან მისი სუნთქვის დაჭერას ვცდილობდი – ჰო, ასე, მარტო ფეხებით იცურე. – მიმედ სუნთქავდა. მე იმ ნავს მივუბრუნდი. ქიმზე მჯდომი უცნაურად ისრებოდა და იმართებოდა. მივხვდი, რომ ქერათმიან ქალიშვილს ხელოვნურად ასუნთქებდა.

– როგორაა?

ქიმზე მჯდარმა ჭაბუკმა თავი მოაბრუნა.

– ნუ გეშინია.

– სად იყავით აქამდე?

– რა გაყვირებს?

ნავმა გამასწრო, ტალღებს გავხედე, ნაპირიდან ჩემთან ერთად წამოსულნი ახლა მარქაფად მომყვებოდნენ. ვიღაცამ დახმარება შემომთავაზა, მაგრამ ვიუარე.

– როგორ ხარ? – თავი ოდნავ მოვაბრუნე გოგონასაკენ.
– ახლა უკეთ.
– თუ გინდა ვინმეს დაუძახებ.
– არა, ნაპირამდე გავიქცე.
– ძარღვი გაენასკვნა? – გოგონა მიხვდა, რომ ქერათმიან ქალიშვილზე ვეკითხებოდი.
– არა, ნავით ვსეირნობდით. ნავიდან გადახტა და ნავი გადაბრუნდა. მე მგონი, რაღაცას მიატყვა თავი.

ისევ ვიგრძენი წელანდელი მოშვება. ვგრძნობდი თანდათან როგორ მიპყრობდა შიში.
– თქვენ რომ არ მოგესწროთ, ნავის მოსვლამდე, ალბათ, ვერ გავიქცებდით.
როცა ნაპირზე გავედით, ქერათმიანი ქალიშვილი ჯერ კიდევ არ იყო გონზე მოსული. მასთან ჩაჩოქებულ ექიმს მხარზე ხელი დავადე და მოვაბრუნე.
არაფერი მიკითხავს. შემომხედა და თვალები გაუფართოვდა.
– ნუ გეშინიათ, მალე ყველაფერი გაივლის. – მერე ისევ შემხედა და არ ვიცი რატომ, მკითხა:

– თქვენი რაა ეს ქალიშვილი?
– მაგრად მოხვედრია?
– მაგრად. მაგრამ ბედი ჰქონია. თავის ქალა არაა გატეხილი. ნუ გეშინიათ, ყველაფერი გავაკეთე, გონს სულ მალე მოვა.

ეს იყო გუშინ. სადამოს გემი სოჭის ნავსადგურიდან გავიდა თუ არა, გოგონების კაიუტაში შევედი და ავადმყოფი მოვიკითხე.

– ნანა უკეთაა! – სიხარულით შემეგება მზია.
ნანას ეძინა, მე და მზია ხმადაბლა ვსაუბრობდით. მაგრამ მე ცალი ყურით ვუსმენდი გოგონას. რაღაცნაირად მიხაროდა, რომ სოჭში ჩასვლის შემდეგ გემზე არ დავრჩი და საბანაოდ გავედი, მიხაროდა, რომ ნანას ნავი გადაუბრუნდა და ჩემი შეშველება დასჭირდა, მიხაროდა, რომ მენავეებმა დაიგვიანეს და მათზე ადრე მივედი ასავსავებულ ხელთან, მიხაროდა, რომ ნანა ისევ სუნთქვდა და მე იმ წუთში მის კაიუტაში ვიჯექი და მის მშვიდ სუნთქვას ვისმენდი.

წინა ღამეს წვიმდა. ნისლისფრად გადაქცეული ზღვიდან სუსხი მოდიოდა. გემბანზე არავინ ჭაჭანებდა. მე მთელი საღამო ჩემი ნოველის წაკითხვის შემდეგ ქერათმიან ქალიშვილს ვეძებდი, მაგრამ ვერსად გადავეყარე. ვნახობდი, რომ მათ უხმოდ გამოვეთხოვე. უცნაურად ვწრიალებდი. მთელი საღამო ნანას წკრიალა, გაუბზარავი ხმა ჩამესმოდა და, მათ კაიუტაში ჯდომისას, მიხაროდა, რომ ჩვენი ახალი შეხვედრა არც ერთში არ გამოიწვევდა უხერხულობას. „ნეტავ „მესამედ წამოწევა“ ხომ არ იყო ნავის გადაბრუნება?“ ვინ იცის, ღიანა ალანია რომ იყოს ახლა აქ, სწორედ ასე ეთქვა და მერე გამომწვევი ღიმილით შემოეხედა.

იმ წვიმიან ღამით დავეძებდი ქერათმიან ქალიშვილს, მაგრამ მაინც არ მეგონა მისი ნახვა ასეთი სიხარულით თუ ამავსებდა, გუშინ, პლაჟზე, როცა გონება დაუბრუნდა, შემომხედა, მომეჩვენა, რომ გამიღიმა და ჩემ თავს აღარ ვეკუთნოდი.

დღეს ისევ მოვიკითხე ქალიშვილები. ნანა ფეხზე დამხვდა. მარტო იყო. მე მისი დანახვისას დავიბენი, ანაზღად დამეკარგა სიმშვიდე და სკამზე დაჯდომის შემდეგ აღარ ვიცოდი რა გამეკეთებინა.

– არაფერი აღარ გტკივათ? – ვკითხე და ამოვისუნთქე.
– ცოტათი. აღარ ვაქცევ ყურადღებას.
– მზია სადაა?
– სადღაც გავიდა. ალბათ, ყირიმის სანაპიროს ათვალიერებს, ჩვენ წუხელაც გელოდით, მზიამ მითხრა, მენავეების მოსვლამდე ვერ გავიქცებდით.

ერთხანს ორივენი ვდუმდით.
– ჰო, მართლა, გონს რომ მოვედი, მითხრეს ისევ მოგიძებნიათ მენავეები.
თავი დაგუქნიე.
– ეჩხუბეთ?
– ამდენ ხანს სად იყავით მეთქი.
– რა თქვეს?

- ვიცვლებოდითო, და სიცხეში თითო კათხა ლუდს შეჰყოლოდნენ. კიევში დიდხანს დარჩებით? (წუხელ მზიამ მითხრა, რომ ორთავენი კიევში მიდიოდნენ მცირე ფორმის მუსიკალურ ნაწარმოებთა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად).

- არ ვიცი, ალბათ, ათიოდე დღე.

- ხომ არ გაგვეარა? - შევთავაზე ქალიშვილს და წამოვდექი, გემბანზე გამოვედი. რკინის ვიწრო კიბეებს აყვევით, გემის ბოლო სართულზე ავედით და დაწულ სავარძლებში ჩავსხედით. ზეცა მოსარკული იყო, ზღვა მოლივლივე და მშვიდი, შორიასლო თოლიებით დაფარული ყირიმის ნაპირი მოჩანდა. ზღვის ფონზე ლურჯად ხასხასებდნენ ყირიმის მთები.

- გუშინწინ მთელი საღამო დაგეძებდით ვუთხარი, - ნანას და გაცვებისაგან აფახულეულ მის თაფლისფერ თვალებს გავეუსწორე მზერა, - გახსოვთ, იმ დღეს ჩემს ნოველებს რომ კითხულობდით? - არ მინდოდა ჩემი ვინაობის გამხელა, მაგრამ წამოცდენილ სიტყვებს უკან ვეღარ დავიბრუნებდი. ნანას სახეზე გაკვირვებამ იფეთქა და მერე მომხიბვლელმა სიცილმა აიტანა.

- და თქვენ მაინც ისმენდით?

- ნოველის გამო არა.

- მაშ?

- თქვენ გამო. - ვუთხარი და თვალი არ მომიშორებია. აილეწა. უხერხულობისგან აღარ იცოდა რა ეთქვა.

- ნუ შემოსწყრებით ჩემს გულწრფელობას, მე თქვენ პირველად არ გხედავთ.

- მე არ მახსოვხართ.

- ეს ერთი წლის წინ იყო. ნუ გამიგებთ ცუდად რასაც ვამბობ, იმას იქით არაფერს ვმიზნავ ხოლმე . . . ხომ არ გეწყინათ ჩემი გულახდილობა? - არაფერი მითხრა და მე გავნაგრძე - შარშან სწორედ მაისში მწვანე კონცხზე მოულოდნელად შევეყარეთ ერთმანეთს.

- მწვანე კონცხზე?

- მწვანე კონცხზე. . .

- მწვანე კონცხზე კი ვიყავით, ბევრნი ვიყავით ერთად, მაგრამ ჩვენი შეხვედრა არ მახსოვს

. . .

- ცნობიერების ველი ყოველთვის შემოფარგლულია. . .

- ვერ მიგიხვდით. . .

- აღამიანებს საერთოდ ის რჩებათ მეხსიერებაში, რაც ყოველდღიურობისაგან, ჩვეულებრივისაგან ამოვარდნილია . . . თქვენ ჩამიარეთ და ვერ შემამჩნიეთ, მე ჩაგიარეთ და ბუნდოვან ტკივილად გამყვა თქვენი სახე, რადგან ჩვეულებრივისაგან . . .

- მეტს ნუღარ იტყვით.

- არა, ესეც გულწრფელობაა, ქათინაურები საერთოდ არ მიყვარს.

- არა თქვენ არა ხართ გულწრფელი . . . რატომ გგონიათ?

- თქვენი ვინაობა რომ არ გეთქვათ, შესაძლოა მართლაც არ გამჩენოდა ასეთი აზრი. „ბუნდოვანი ტკივილი“ პროფესიულისაგან განსხვავებული მეხსიერების ამბავია.

ჩემი და ლიანა ალანის საუბარი გამახსენდა

- საერთოდ, ჰო, წერის უნარში ყველაზე მომეტებული მაინც ხედვის უნარია, მაგრამ ყველაფერი, რაც მეხსიერებას გაჰყვება, როდი გეტანჯავს „ბუნდოვანი ტკივილით“ . . . იმ დღეს ჩვენ მეორეჯერაც შევხვდით ერთმანეთს გზაზე მწვანე კონცხიდან დაბრუნებისას.

- ვერც გზას ვიგონებ

- მერე ბათუმში, ვახშობისას. მე თქვენი სუფრიდან ხელმარცხნივ ვიჯექი. პროფილში გიცქერდით და ჩემთვის იმ საღამოს არაფერი არ არსებობდა, არც კინოდარბაზი, არც მუსიკის ხმები, არც მოცეკვავე წყვილები, არც ბროლის სასმისები, არაფერი, თქვენი პროფილის გარდა.

შევხედე, ქალიშვილი არ მიყურებდა, შორეულ მთებს უცქერდა იგი ახლაც პროფილით იჯდა ჩემსკენ. მე დავდუმდი და მერე ამ პროფილმა დაფარა ყველაფერი. გემი აირწა. . . საღამო ისევ უკრავდა დიდ, გაჩირადლებულ დარბაზში მუსიკა, ისევ ცეკვავდნენ წყვილები და მე ისევ შევცქეროდი ქერათმიანი ქალიშვილის მომწუსხველ პროფილს . . .

- მას შემდეგ ერთი წელი გავიდა, სამი დღის წინ კვლავ გნახეთ მახინჯაურთან თქვენ, მზია და ვილაც უცხო ყმაწვილი. თქვენი მანქანა უეცრად დაიძრა და მე ვნანობდი, რომ ვერ მოგისწარი.

ისევ დავდუმდით ორივენი.

ანაზღად უხერხულობა ვიგრძენი. მისი სიახლოვე სიხარულით მავსებდა, ეს იყო და მეტი არაფერი. ამიტომაც უკვე აღარ ვიცოდი ამის შემდეგ რა უნდა ეთქვა . . .

– თქვენ ვინ გიამბოთ ის ამბავი?
– რა ამბავი? – ვკითხე ნანას და მივხვდი, რომ ისიც უხერხულობის გაფანტვას ცდილობდა ამ წუთში.

– უდაბნოში მომხდარი ამბავი.
– მე და კახა ბავშვობის მეგობრები ვიყავით.
– ნათელასაც იცნობდით?
– რასაკვირველია.
– არ უნდა დაგეწერათ.
– ყველასაგან ერთი და იგივე მესმის.
– სხვებსაც უთქვამთ?
– უთქვამთ. ბევრს უთქვამს, თითქოს რაღაც დავაშავე
– კახა უნდა დაგენდოთ.
– დანდობაზე თუ მიდგება საქმე, შალვას უფრო სჭირდებოდა დანდობა.
– მით უმეტეს. თუ სიუჟეტმა დაგაინტერესათ, სახელები მაინც შეგეცვალათ მათთვის.
– ნუთუ მარტო მე ვერ ვხვდები ჩემს დანაშაულს? – მერე წამოვდექი და მოაჯირს ზურვით მივეყრდენი – სხვებიც სახელების შეუცვლელობას მაყვედრიდნენ. ყველა ასე მოიქცეოდაო. . . ამიტომაც არ შეეცვალა არაფერი.

– ყველა ასე მოიქცეოდაო?
– ჰო.
– მე პირიქით მგონია. ყველა ვერ გაიგებს მეთქი.
– მერე?
– მერე, მერე ათასნაირი განსჯა დაიწყო და ათასი ბაგე გაიმეორებს მათ სახელებს. ამაში ცუდი არაფერია მაგრამ თავისებური უხერხულობა ახლავს თან.

– მე მხოლოდ რამდენიმე სიტყვა მომწვდა იმ დღეს თქვენი და მზიას კამათიდან, – როგორც იქნა, მივაგენი სათქმელს და ჩამოვჯექი, – თქვენ ამტკიცებდით, რომ სისხლი ზედმეტი იყო . . .

– არა, მე ამას როდი ვამტკიცებდი, – თქვა და თაფლისფერი თვალები შემომანათა, – მე უბრალოდ ვერ ვიჯერებ, ყალბი მეჩვენება . . . არ უნდა ესროლა, არა, ვერ ესროლა . . . უყვარდა და ამიტომაც ვერ ესროლა . . .

– გყვარებიათ ვინმე?
გაკვირვებით შემომხედა. ერთბაშად წამოენთო და გაწითლდა.

– ამას არა აქვს მნიშვნელობა. – ეს ისეთი ტონით სთქვა, რომ ჩემი კითხვისგან მოგვრილი უხერხულობა და წყენა მაგრძნობინა.

– აქვს. მაპატიეთ ასეთი კითხვისთვის, მაგრამ ასეა: რაც უფრო მეტად გიყვარს, მით უფრო ძნელია მიტევა. ამის შემდეგ გასროლაც და სისხლიც ადვილი ასახსნელია.

– სიყვარულს მსხვერპლი სჭირდება. უდაბნოში გათხრილი საფლავი სიყვარულისთვის შეწირული მსხვერპლი იყო და მეტი არაფერი. აქედან უკვე მიტევაა ადვილად ასახსნელი. ადამიანები მანეკენები არ არიან და, რაც მთავარია, ქალზე, ამაში დამეთანხმეთ, ქალზე ყველაზე ძლიერად შეწირული მსხვერპლი მოქმედებს. შეწირულ მსხვერპლს ვერ გაექცევა, თუკი დარწმუნდა, რომ იგი მისი სიყვარულისთვისაა, მისი სიცოცხლისთვისაა შეწირული.

– მიტევაში სიყვარულია ყველაზე ღმობიერი, მაგრამ სასჯელშიც სიყვარულია ყველაზე მკაცრი. მე მგონია, ამ ნოველაში სიყვარული სრულებითაც არაა მთავარი. აქ სიყვარული კი არ ებრძვის სიძულვილს, არამედ ზნეობა უზნეობას.

– ზნეობასა და უზნეობას ყოველთვის მიზანი განიკითხავს . . . მე მგონია, არ მეთანხმებით. – მკითხა და ისევ შემომანათა თაფლისფერი თვალები. მე უკვე მისი ტყვე ვიყავი. თვალს ვერ ვაშორებდი. მინდოდა: დიდხანს გვესაუბრა, დიდხანს ვყოფილიყავი მის გვერდით, დიდხანს მეცქირა მისი თეთრი სახისა და საოცნებო ყელისთვის, მისი ქერა კულულებისა და თაფლისფერი თვალებისათვის, მინდოდა მისი ღიმილით სული ამვსებოდა, მისი გაუზზარავი, წკრიალა ხმა მესმინა.

– ყოველგვარ მოქმედებას მხოლოდ ერთი განმკითხველი ჰყავს, – ადამიანობა. შინაგანი ბრძოლა ყოველთვის ადამიანობისა და რომელიმე გრძნობის ბრძოლაა. გრძნობები არასოდეს არ ებრძვიან ერთმანეთს. ჩვენ ამოდ გვერდია ეს, ამოდ გვწამს და ამოდ ვიჯერებთ. გრძნობა არასდროს არაა განმკითხველი, განმკითხველი მხოლოდ ზნეობაა. მიტევა? მიტევების შემდეგ რაღა გვრჩება? საკუთარი უზნეობა და მეტი არაფერი. გოგონა მართალი იყო. შალვას მკვლელობა საკუთარი „მე“-სთვის გადაგებული ადამიანის გამომჟღავნებაა. კახამ არ იბრძოლა,

ბრძოლას გაექცა, ფონი მონახა, ქვიშაში გათხრილი საფლაგი ფონად აქცია, სიცოცხლის ნაპირისაკენ გამავალ ხილად გასდო. ხვალ იქნებ ნათელას სიცოცხლეს ქვეყლიყო ფონად მისთვის, ვინ იცის, რას მოიტანდნენ მომავლის დღეები. ესაა ყველაზე საზიზღარი ანგარება და აქ სიყვარული არაფერ შუაშია. იგი ზნეობამ არ დაინდო, ზნეობამ.

დაძაბული ყურადღებით მისმენდა. ვერ მივხვდი, მეთანხმებოდა თუ არა. მეჩვენებოდა, რომ ვერ ვამბობდი იმას, რის თქმაც მსურდა. მინდოდა ბოლომდე გადამეხსნა გული. ბოლომდე ჩავეყოლოდი ჩემს ნაოცნებარსა და ნაფიქრალს.

– ადამიანს სული არ უნდა გაეზაროს, მერე ყველაფერი იოლია. ბზარი სულმდაბლობის ბუდეა. კიდევ იბარტყებს. მეორედ უფრო ადვილია, მით უმეტეს, თუ მიტყვებასაც ელის, – და მერე ერთბაშად ვკითხე: – ახლაც ყალბია სისხლი?

– ვერ გეტყვით, – მხრები აიჩინა, – იქნებ თქვენ მართალიც იყოთ. იქნებ, მართლაც არ ებრძვიან გრძნობები ერთმანეთს. მოვალეობა? . . . – თქვა და დადუმდა.

– მოვალეობა ადამიანობაა, – შევეშველე მე– მოვალეობის შეცნობაა ჩვენი ერთადერთი დამსახურება. სხვა კი, სხვა არც ჩვენი სახიერებაა ჩვენი დამსახურება, რომლის გამოც გვინატრებენ და შეგვიყვარებენ, არც სიყვარულის უნარი. ყველას უყვარს და ყველას თავის სიყვარული ჰგონია ყველაზე დიდი. კახას მხოლოდ უყვარდა, სიყვარულისთვის კი, მხოლოდ სიყვარულისთვის, მიტყვება არ არსებობს. ქალიშვილი მასზე მაღლაა, რადგანაც იგი სიყვარულის იქითაც იხედება.

ორივენი დავდუმდით.

გუშინდელი ნაავდრალი ზღვა საოცრაად წყნარია. გემს თოლიები მოჰყვებიან. იისფერი ტალღები თვალს ასვენებენ და ათასგვარ ოცნებასა და ფიქრს შლიან.

– თქვენი მეგობარი სადაა?

– შეუძლოდაა, წევს.

– გაცივდა?

– არა, ახალი ნაავადმყოფარია და მალე იღლება.

– ოდესაში მიდიხართ?

– ოდესაში, შემდეგ კიევში, მუსიკოსთა ფორუმზე ვართ მიწვეულები.

– დიდხანს დარჩებით?

– არ ვიცი. ალბათ, ათიოდე დღე. მცირეფორმიანი ოპუსების კონკურსი სულ ბოლოსაა დანიშნული.

– კომპოზიტორის გაცნობის პატივი მქონია . . .

– არა, ჯერ ამაოა ამაზე ფიქრი, – თქვა და საუბრის თემა შეცვალა. კარგი იყო მზიასაც მოესმინა ჩვენი ბაასი. . . მას საერთოდ არ სწამს სიყვარულის და კახას მოქმედებაში მსხვერპლის დანახვა საერთოდ არ სურდა . . .

– არ სწამს? ეს როგორ?

– აქვს მიზეზი. უყვარდა და როცა მსხვერპლი გახდა საჭირო, მისთვის მსხვერპლი არ გაიდეს. პილატესავით დაიბანეს ხელები. ახლა სიყვარულის გზას მხოლოდ ამ გზას ეძახის და ყოველთვის მწარედ, გაბზარული ღიმილით ეღიმიება. კითხვას აყოლებს გულს. სამგზავროდ ორიოდე წიგნი წამოვიღეთ, ამ დილით უკანასკნელ გვერდამდე მიიყვანა. თქვენ ხომ არ წამოგეყოლიათ თან რამე?

ხელნაწერების მეტი თან არაფერი მაქვს. ნოველაზე საუბრის შემდეგ ჩემს სხვა ნაწერებზე ლაპარაკი აღარ მინდა, მეუხერხულება, ქერათმიან ქალიშვილთან განშორება კი . . .

– თუ ინებებთ გურამ გელოვანის ერთ ნოველასაც წაგიკითხავთ . . .

– ძალიან კარგი იქნება, – დაინტერესდა ნანა

. . . მზია კაიუტაში იწვა. ჩემს დანახვაზე წამოიწია.

– ვალს გვიხდის, – ღიმილით ეუბნება ქერათმიანი ქალიშვილი, – იმ დღეს ჩვენ გვისმენდა, ახლა . . .

– თქვენი თავი თქვენმა მეგობარმა გამაცნო, – ახლოს მივედი მზიასთან, – ახლა ისიც მოითხოვს თქვენგან ვალს . . .

– იცნობდეთ, ნანა მეტრეველი, – გაიღიმა მზიამ და თეთრ გოგონაზე მანიშნა.

ჩემს „შურისგებას“ ვკითხულობ . . .

თბილისში დიდხანს ვებნე „შურისგება.“ პერიოდულმა პრესამ იმედი გამიცრუა, ჩემს მეგობრებს შევნივლე და ბოლოს, ომის წინ გამოსული ერთ-ერთი აღმანახი მომიტანეს, რომელშიაც „შურისგებასთან“ ერთად გურამ გელოვანის „დიალოგებიც“ იყო დაბეჭდილი.

გურამ გელოვანი
შურისგება
ნოველა
ციკლიდან „ადამიანები“

სამი დღეა, ეს ფურცლები მაწამებს. ასგზის მაინც გადავიკითხე. ვკითხულობ და ჩემს თავს არ ვუჯერებ. სიმშვიდე დამეკარგა და ასე მეჩვენება, თითქოს ნაპრალები გაჩნდა სულში. მთელი ბუნება გამებზარა და დამერღვა, მზის თვალი სადღაც გამიქრა და საშინელი, გამოუთქმელი სიმრუმე დამეუფლა.

სამი დღეა ვწრიალებ. მამას თვალს ვარიდებ. მისი შეხედვა მზარავს. არ მინდა, მთელი ეს უცნაური ამბავი ვირწმუნო, მაგრამ გაბნეულ მზის თვალს ვეღარ ვაგნებ და სიბნელეში ვფათურობ.

ახლა ეს ფურცლები მამას უჭირავს ხელში. ვხედავ, სახე როგორ დაუგრძელდა, როგორ გაფითრდა, თითქოს ჩაიხარა, თვალის დახამხამებაში მოტყდა და მობერდა, ალბათ, მანაც დაჰკარგა მზის თვალი.

მაინც არაფერს ვეკითხები. მაინც ვდუმვარ. მინდა ბოლომდე ჩაიკითხოს, ბოლომდე მივიდეს, მერე თავი აიღოს, თვალი გამისწოროს და თვითონ გაიღოს პირველად ხმა, თვითონ მითხრას პირველი სიტყვა.

მე ხომ ვუთხარი. სამი დღის წამების შემდეგ მაინც ხომ შევუბედე. მინდა ყველაფერი ზმანებად, დამეულ მოჩვენებად იქცეს, ამოვისუნთქო, ისევ მოვტაცო სილალე სულში დავანებულ საშინელ სიბნელეს და ისევ გაბრწყინდეს მზის თვალი.

ამ თეთრმა ფურცლებმა ყველაფერი შემომამსხვრიეს, სული დამირბიეს და ჩემი ცხოვრება ფლატეზე დაკიდეს, ბნელმა ფიქრებმა და მრუმე ლანდებმა ამავესეს.

მამის ხელის შეხედვას ვეღარ ვუძლებ. ხელები მაწამებს. მამის საყვარელი ხელები, ასე ნაზად და თბილად რომ მიაღერებდნენ ბავშვობაში, სიხარულსა და სიამეს რომ მგერიდნენ, ჩემთვის საყვარელი ხელები, ჯოჯოხეთად მექცა.

ვეგრძნობ, რომ მამის ხელების დანახვისას მეც მიკანკალებს ხელი. მის სიახლოვეს ვერ ვჩერდები, ვერც გაქცევა მომიხერხებია და სახრჩობელაზე დაკიდებულივით ვქანაობ, მაინც ვერაფერს ვეჭიდები, მზის თვალი გამიქრა და გზაჯვარედინების ძახილმა შემარხია.

სამი დღეა, ვწრიალებ. თეთრი ფურცლების გამო მამას მაინც ვერაფერი შევუბედე. წედან, მამის შემოსვლისას ამ სავარძალში ვიჯექი, თავს ძალა დავატანე, თვალი გავუწვორე და ფურცლები შევაჩეხე . . .

– წაიკითხე და მერე ერთადერთ სიტყვას გეტყვი მხოლოდ, მხოლოდ ამას გკითხავ: – მართალია?

ეს ვუთხარი და თვალი მოვაშორე.

მამამ სათვალე მოჩხრიკა.

– რა არის?

– წაიკითხე.

ჩემმა ხმამ შეაკრთო.

ჩემს პირდაპირ ჩაჯდა სავარძელში. აღარაფერი უთქვამს. შევცქერი მის გადაფითრებულ, დაგრძელებულ სახეს, მის შეკრულ წარბებს, შევცქერი თეთრ ფურცლებს, რომლებიც ახლა მამას უპყრია ხელით, და ჩემში ხელახლა ხმიანდება ასგზის გადაკითხული სტრიქონები:

„დიდხანია გეძებ, სამოქალაქო ომის შემდეგ გეძებ და ძლივს მოვაკვლიე შენს ნაგზაურს . . . იმ დამით ვერ შევძელი ჩემი საყვარელი დაღამ გულბანის მკვლელობისათვის შური მეძია. რაც გინდა, ის უწოდე ამას, გინდა უმწეობა, გინდა სილაჩრე, გინდა შიში . . . ვერ შევძელი, შური ვერ ვიძიე, და იმ დამის შემდეგ გამუდმებით ვხედავ მის სისხლს, კარის ზღურბლთან ჩაკეცილ მის უსულო სხეულს, გამუდმებით მესმის ამაზრუნე ხმა და ჩემი სული მაწამებს იმდამინდელი მღუმარებისთვის, იმდამინდელი სილაჩრისა და შიშისთვის . . .“

მას შემდეგ ოცი წელი გავიდა, იქნებ ესეც ბედია, ამდენ ხანს რომ ვერ მოვაგენი შენს კვალს, იქნებ ამდენ ხანს შენც არ გყოფნოდა ძალა და ვერც შენ გეძია შური. ახლა კი გადაიკითხე ეს ფურცლები, მამას მოუხმე და უთხარი, რომ უკვე ყველაფერი იცი, რომ იგი შენი მამა როდია, არამედ მამაშენის მკვლელი . . .

გესმის?

ჯერ ნუ აწრიალდები, ჯერ ნუ აფეთქდები, ბოლომდე მისმინე და მაშინ, იქნებ, თქმასა და შეძახებას აღარ შესჯერდე . . .

ცხრაასთვრამეტი წელი იყო. დეკემბერი.

დიდთოვლიანი ზამთარი დადგა. ყველაფერი თოვლში ჩაეფლო. სიცოცხლე ჩაკვდა. ქარაშოტმა სახლში შეგვეყუა.

თეთრგვარდიელებმა უფა წინა ღამით დატოვეს. სადღაც, უფას გადაღმა კვლავ გრძელდებოდა ბრძოლა. ქალაქი კი უკვე წითლებს ეპყრათ. ომისგან აფორიაქებული, დამშეული და შეშინებული ადამიანები თანდათან მშვიდდებოდნენ.

გვიან დაგწეტი. ხმამაღლა კაკუნმა გამომაღვიძა. მივაყურე. უფაში ახლად ჩამოსახლებული, სულ მუდამ დაღონებული და წყნარად მოარული დაღამ გულბანის ხმა ვიცანი. არ გამკვირვებია, მეზობელთაგან ჩემთან ყველაზე ახლოს იყო, მე რაღაცნაირად უცნაურად შევეთვისე და მივენდე. იქნებ, ამ მინდობის საფანელი ისიც იყო, რომ არასდროს არაფერს ვეკითხებოდი მისი გამუდმებული დუმილისა და გულგაუხსნელობის გამო. რაღაც აწუხებდა და სტანჯავდა, არყისა და ჩემს გარდა არავის ეკარებოდა.

კარი შევხსენი და ოთახში თოვლმა და ბუქმა შემოასწრო.

– შემოდი, დადა, შემოდი. – ვუთხარი, მაგრამ ბიჯი აღარ გადმოუდგამს.

– არა, ვერ შემოვალ . . .

– შემოდი . . .

თავი გაიქნია.

– ბავშვი მიკვდება . . .

– ბავშვი? – შევაწყვეტინე სიტყვა – რა მოუვიდა?

– არ ვიცი, ცუდააა.

– სიცხე აქვს?

– ცოტა. მუცლის არეში უვლის. ტკივილები კრუნჩხავს.

– მოიცა, ახლავე. – ტყაპუჭისთვის გავტრიალდი.

– ექიმი მჭირდება, – დამადევნა სიტყვა, – გიმნაზიის შენობაში, მგონი, ჰოსპიტალი ჩადგა, არა?

– ჰო . . . – ტყაპუჭი მოვიცვი და კარი გამოვიგდე.

– გადადი, იქნებ, წამოგყვეს ვინმე

– ადრე სტკენია?

– არასდროს. დღესაც, შუადღემდე კარგად იყო, უეცრად წამოეძალა კრუნჩხვა.

– ძალიან აწუხებს?

– ვერ ინძრევა.

– მეც ვფიქრობდი, რატომ არ გადმოვიდა მეთქი.

– კიდევ კარგი, რომ არ გადმოვედი, მარტო რომ ყოფილიყო, შიშისგან შეიშლებოდა.

მოზღვავებულ თოვლში, როგორც იქნა, გზა გავიკვალე. იმ ღამით ჰოსპიტალში პირველად ვნახე გიორგი ჯანდიერი, პირველადაც და უკანასკნელადაც. ახალგაზრდა ლეიტენანტმა, როგორც კი ბავშვის ცუდად ყოფნე ვუსხენე, საქმე მიატოვა, ნებართვა აიღო, ჩანთაში მედიკამენტები და ხელსაწყოები ჩააღაგა და წამომყვა.

თოვას გადაეღო. მიწაზე დაფენილი თოვლი უცნაურად ქათქათებდა და დათალხულ შუქს გამოსცემდა. მე წინ მივაბიჯებდი, კარგა ხანს მივდიოდით მდუმარედ.

– ამალამ, ალბათ, მოყინავს, – ბოლოს ზურგსუკნიდან შემომესმა ხმა.

– ალბათ.

– ბავშვი რაა შენი?

– ჩემი არაფერი. ჩემს გარდა, აქ ერთი ქართველიც ცხოვრობს, ორი წლის წინ ჩამოვიდა, მისი ვაჟია.

– შენ დიდი ხანია აქა ხარ?

– საკმაოდ. მე და მამაჩემი ხეტყეზე ვმუშაობდით, მერე შევრჩი აქაურობას. ეულად და ტიალად შევრჩი ცხოვრებას.

– ცოლ-შვილი არა გყავს?

– არა. ვედარ მოვასწარი, ცხრაასთოთხმეტში უნდა დამეწერა ჯვარი და ფრონტზე მიკრეს თავი. მერე დამჭრეს, ჩამოვბრუნდი და საცოლე აღარ დამხვდა.

– გათხოვილა?

– ჰო, ვიღაცას გაჰყოლია, აღარ მიძებნია.

– ჭირს ცხოვრება. – თქვა და საუბარს ახალი ბილიკი გაუვლო.

– ჭირს. ამ ზამთარმაც წაიღო სული. – დამოკლებულ ფეხს ძლივს მივანხლათუნებ. – თეთრებმაც კინაღამ დამხვრიტეს.

– რას გერჩოდნენ?

– კომუნისტად შემრაცხეს.

– მერე?

– წითლების მხარეზე არ ვარ მეთქი . . .

– ჩამოსახრჩობი ყოფილხარ.

ერთბაშად მოვხედე. თავჩახრილი მომყვებოდა, მისი სახე ვერ დავინახე, მაგრამ ვიგრძენი, რომ ეს სიტყვები ღიმილით არ უთქვამს. ახირებულ კაცად მეჩვენა.

– რისთვის? – გავიციინე. ჩემი სიცილი მევე მეუხერხულა.

– არ გეხუმები, მართლა გეუბნები.

– რისთვის?

შემოვტრიალდი და თვითონაც შედგა.

– ცხოვრებაში ასეა: ან შენ უნდა მოგყვებოდნენ, ან შენ უნდა მიჰყვებოდე ვინმეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რაიმე თუ არ იწამე, ისე არ ღირს ცხოვრება.

აღარაფერი მითქვამს. დადაშის სახლში შევუძეხი. წინკარში შევაბიჯეთ და როცა სანთლით გამოგებებულმა გულბანმა და ლეიტენანტმა თვალი გაუსწორეს ერთმანეთს, მათმა ანაზღეულმა მოძრაობამ შემაკრთო.

– დადაშ.

უცნაური ხმით წამოიძახა ლეიტენანტმა და ნაბიჯი უკან წადგა..

– გიორგი.

გაკვირვება და შეშფოთება ერთად გამჟღავნდა გულბანის ხმაში. მერე ყველაფერი წამიერად მოხდა.

– მომიტყუე?

ნაღმივით აფეთქდა ჯანდიერის ეს სიტყვა და მის ხელში რევოლვერმა იელვა.

– გეძებდი, მე თვითონ გეძებდი. მომიტყუე? – ისევ გაიმეორა და წამოიწია. გულბანი გახევებული იდგა.

– ბავშვს რას ერჩი, რას? – უეცრად იყვირა და კარს აეკრა. სანთელი გაუვარდა. შეხსნილი კარიდან მოფენილ თოვლის შუქზე მაინც ვხედავდი, როგორ ცახცახებდა იგი. – ბავშვს რას ერჩი, რას? – კიდევ გაიმეორა, მაგრამ მე მივხვდი, რომ ჯანდიერს ეს სიტყვები აღარ გაუგონია.

– მომიტყუე?

ეს უკვე ადამიანს აღარ უთქვამს. ლეიტენანტმა ზედიზედ გაისროლა და მხოლოდ მაშინ გაიღო ხმა, როცა გულბანის სხეული უსულოდ ჩაიკეცა ზღურბლთან:

– სხვას რას ელოდი, რას ელოდი? . . .

მე გახევებული ვიდექი.

დადაშმა უკანასკნელად გაიბრძოლა წამოწევა სცადა, მაგრამ ძალა აღარ ეყო.

– ბავშვს რას ერჩი, ბავშვს? – ეს თქვა და გათავდა.

ლეიტენანტი მობრუნდა, გზიდან ხელისკვრით ჩამომიცილა და თოვლს მიმართა.

მე დადაშს ვადექი თავზე, წამიერად მომხდარი მკვლელობისგან თავზარდაცემული. გამეფებულ მღუმარებაში ბავშვის კვნესა შემომესმა და გამოვერკვიე. ჩემდაუნებურად გარეთ გამოვევარდი, ლეიტენანტს ჭიშკართან წამოვეწიე და მკლავში ვწვიდი.

– ბავშვი კვდება. – ვუთხარი.

შემომხვდა.

თოვლის შუქზე ვხედავდი, როგორი უაზრო ჰქონდა თვალები.

– ბავშვი კვდება. – შევყვირე. და შევანჯღღრიე.

მიბიძგა.

გავიმართე და ხელახლა მივწვიდი.

– არ შემიძლია, გესმის, არ შემიძლია, – უცნაური ხმით მითხრა და მიმატოვა.

სახლში შემოვბრუნდი, დადაშის ცხედარი გავსწიე და კარი შემოვადე. სიბნელეში შენი კვნესა მესმოდა. გამოვტრიალდი, სანთელი მოვქებნი და თავზე დავადექი. ფერდაკარგული

იყავი, შუბლზე სიმწრის ოფლი გადაგსკდომოდა. ტკივილისაგან საწყალობლად მოგქცეოდა სახე. აღარ ვიცოდი, რა მექნა და იმ წუთს შევიგრძენი, რომ ლეიტენენტი არ უნდა გამეშვა. „რამ შემაკრთო, რამ?“ – ვეკითხებოდი ჩემს თავს და პასუხისთვის ვერ მიმეგნო. „რამ დამადუმა, ხელი რამ გამიშეშა, როგორი გახევებული შევყურებდი გასროლას, რატომ არ მივევარდი, რატომ დაეანებე, მაჯა რატომ არ გავუკავე . . .“

ფეხის ხმა მომესმა და გამოვფხიზლდი, მობრუნებული ჯანდიერის დანახვაზე უკან დავიხიე. ახლაც ვერაფერი ვუთხარი, ისევ უმწეობად, შიშად და სილანრედ ვიქეცი . . .

სანთლის მკრთალ შუქზე დანახულმა მისმა სახემ დამატყვევა. წედანდელი უაზრო თვალები სადღაც დაკარგულიყვნენ, სახე დაოკებულ მღელვარებად ქცეოდა, უცნაურად დამიმორჩილა და გამახვეა.

შენთან მოვიდა და საბანი გადაგაძრო.

– მომინათე! – მითხრა და პერანგი ავიწია, მერე ისევ მე მომიბრუნდა – ახლოს მოდი, უფრო ახლოს! – მხარზე გადაკიდებული ჩანთიდან რაღაცეები ამოალაგა. დიდხანს გსინჯავდა. – ბრმა ნაწლავის მწვავე შეტევაა, – ჩემსკენ აღარ იხედებოდა, ისევ ლაპარაკობდა თავისთვის, – საკვირველია, ამ ასაკში საკვირველია. – მერე შემხედა, – გადაყვანა სახიფათოა, აქვე უნდა გავუკეთო ოპერაცია, ლამპები და აღუღებული წყალი დამჭირდება.

მომნუსხა. მომადუნა. ხმას ვერ ვიღებდი. ლამპები ვუშოვნე, აღუღებული წყალი გადმოვუტანე. დიდხანს მუშაობდა. ჭრილობა ამოკერა. მერე თავთან გეჯდა და შენს ძილს დარაჯობდა.

ორივენი ვღუმდით.

შევეყურებდი და მეჩვენებოდა, რომ ამ მცირე ხანში საოცრად შეიცვალა, ჩემს თვალწინ გადასხვაფერდა. თავჩახრილი იჯდა. ნერვიული, დაძაბული და შეძრწუნებული მეჩვენა.

ძლივს მოვერიე თავს.

– რატომ ესროლეთ? – ვკითხე, მაგრამ არაფერი მიპასუხა.

– რატომ ესროლეთ? – გავუმეორე და მხოლოდ მაშინ აიღო თავი.

– სიკვდილი ცოტა იყო. – ეს ისეთი ხმით მითხრა, რომ შესიტყვება ვეღარ შევბედე. ჩემს თავს შევეხიზნე. უეცრად საშინელმა ძრწოლამ ამიტანა, არ ვიცი, რა მაფორიაქებდა ასე. წინკარში მიტოვებული გულბანის ცხედარი, თუ ლეიტენენტის ცქერა . . .

წამოვიწიე. მინდოდა იქაურობას გავცლოდი. ბნელი შიში ყინულივით მეღვრებოდა სხეულში და იმ ოთახში ყოფნა აღარ შემეძლო.

წამოვდექი, მაგრამ მისმა ხმამ ისევ მომნუსხა.

– დაჯექი. – მითხრა და მერე ერთბაშად მკითხა: – შენ არ ესროდი? იქნებ მეტიც გექნა, იქნებ ცოცხლად დაგემარხა, იქნებ სიკვდილი სავედრებლადაც გაგეხადა . . .

გაოცებული შევეყურებდი.

მიზეზს არ ამბობდა და ისე მეკითხებოდა, მე კი ისე ვიყავი ძალაგამოცლილი, მიზეზის კითხვაც არ შემეძლო.

– არ ესროდი? საყვარელი მეუღლე მომიკლა, ერთადერთი ვაჟი მომიკლა. არ ესროდი? ოცნებები დამიმსხვრია, ადამიანებისადმი რწმენა შემირყია, არ ესროდი? ყველაფერი შემომაცალა. სიკვდილი მომანატრა, არ ესროდი? წლობით ვეძებდი და სად გადავეყარე, ასე მოულოდნელად, ასე შემთხვევით . . .

ვერაფერს ვამბობდი:

– არ ესროდი?

– არ ვიცი . . .

გაოგნებული, თვითონაც არ ვიცოდი რას ვამბობდი.

– ფუი, შენს კაცობას. – ზიზღით გამოეპასუხა ჩემს სიტყვებს – გადი, გადი, აღარ დამენახო, გადი, თორემ, შეიძლება, შენი ცოდვა დავიდვა . . .

სხეული ვერ ვზიდე. უცნაურმა შიშმა მუხლი მომიკვეთა.

თავზე წამომადგა.

– არ ესროდი?

ვღუმდი.

– ადამიანები ხანდახან ძაბუნები ვართ, თორემ არც შენ ხარ სიცოცხლის ღირსი!

მისმა ხმამ და წამოდგომამ შემაკრთო. არ შემეძლო არ დავმორჩილებოდი. წინკარში გამოვედი, გავეცალე და მივატოვე.

როცა ზურგსუკნიდან კარის შესხნის ხმა მომესმა, განათლებული იყო. ხელში აყვანე, შეფუთვნილი გულზე ჰყავდი მიკრული. ჩემთვის აღარ შემოუხედავს, უხმოდ ამიარა გვერდი და ზღურბლს გადააღაჯა.

წამოგვარდი და ხელახლა წამოგეწიე.

– ბავშვი . . . – ვუთხარი და გზა გადავუჭერი.

– მიმყავს.

ერთბაშად საშინელმა აზრმა გამიელვა თავში, სხვა მაინც ვერაფერი მოვახერხე და ჯანდიერს დადაშის წედანდელი სიტყვები დავადევნე:

– ბავშვს რას ერჩი, ბავშვს?

თავი გააქნია.

– მიმყავს. . . წედანდელ მღუმარებაში ჩემი ცხოვრების მიზანიც, ამოიზიდა. – გზა განაგრძო, მაგრამ მე აღარ ვეშვებოდი.

– ვიბნევი, ვერაფერი ვერ გამიგია, მაგრამ . . . შენი სიცოცხლის წამება მიგყავს თან. – ვუთხარი და შენზე ვანიშნე. აღარ მომისმინა. თოვლიან გზას გაჰყვა, გულზე ჰყავდი მიკრული და ფრთხილად მიაბიჯებდა. ისევ წამოგეწიე: – გაიზრდება და შურს იძიებს. – ამის გაგონებაზე შედგა, თავი გაიქნია და ერთადერთი სიტყვა მითხრა:

– არა.

მას შემდეგ გექებ. იმ ღამით ვერ შევძელი ჩემი საყვარელი დადაშ გულბანის მკვლელობისათვის შური მეძია. რაც გინდა, ის უწოდე ამას, გინდა სილაჩრე, გინდა შიში . . . მას შემდეგ ყოველთვის დადაშის ხმა მესმის და ჩემს თავს ვუტყდები, რომ ამოდ შევჯერდი იმ ღამით ლეიტენანტის ნათქვამს დაკარგულ მეუღლესა და ვაჟზე . . . არა, რაღაც სხვა იყო მიზეზი, ამოდ შევჯერდი და ამოდ შემეკრა ხელი.“

. . . სამი დღეა ეს თეთრი ფურცლები მაწამებს. სამი დღეა მიწისძვრასავით მარყევს რაღაც. მამის შეხედვას ვეღარ ვუძლებ.

ბნელმა ფიქრებმა გამიქრეს მზის თვალი. რაღაც მტანჯავდა და როცა ვფხიზლდებოდი, ათრთოლებულ ხელებს ვგრძნობდი, რომელთაც უნდოდათ ვიღაც ცოცხლად დაემარხათ, და ვიღაცისთვის სიცოცხლე სავედრებლად ექციათ.

ვიზამ, ცოცხლად დავმარხავ თუ ჩემს ერთადერთ სიტყვაზე თავი დამიქნია ვგრძნობ, რომ ყველაფერს ჩავიდენ, ახლა მეც მაწამებს სადღაც, უფაში, ზღურბლთან ჩაკეცილი ადამიანის ამაზრზენი ძახილი, ოცი წლის მანძილზე შემერთალი სულით რომ უტარებია ვიღაცას. ატარა და ჩემამდე მაინც მოიტანა.

მამამ კითხვა დაამთავრა. სათვალე მოიხსნა. ფურცელი ხელში შერჩენია და მიცქერის. ვთრთი, რა ესთქვა აღარ ვიცი. შევეყურებ და ახლა მეც მიგრძელდება სახე.

– მართალია? – ჩამორეკა გულმა, მაინც ვერ დავუცადე მის სიტყვას, თვალს არ ვაცილებდი.

– მართალია. – თავი დამიქნია, კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ აღარ დავაცალე.

– მართალია? – ჩურჩულით ვთქვი და წამოვიწიე.

– მომისმინე, ნოდარ, – მხოლოდ ეს სიტყვა მითხრა და მომწუსხა, – შენს ადგილზე ახლა მეც ასევე შემარყევდა სისხლი, მომისმინე და ბოლოს მეც ერთადერთ კითხვას დაგისვამ, – შენ არ ესროდი? მხოლოდ ასე გკითხავ და მერე შენ თვითონ განსაჯე . . .

– „მართალია, . . . მართალია, . . . მართალია“, – ჯერ მხოლოდ ხმას ვგრძნობ, მამაჩემის მკვლელია, . . . მამაჩემის მკვლელი“ – მერე ესეც მესმის, მაგრამ მისი ნათქვამი მაინც მომწუსხველად მაჯაჭავავს სავარძელს.

– მე თვითონ მინდოდა ეს ამბავი ოდესმე მეთქვა შენთვის, – მეუბნება და მბოჭავს, – მაგრამ ჯერ არა . . . ჯერ არ იყო იღუმალის გამჟღავნების ჟამი . . . მე შენ ზნეობის რეკვით გზრდიდი, მაგრამ ჯერ კიდევ ბოლომდე არ ვარ შეჯერებული, აღზრდის წლები მოთავდა თუ არა. როცა ამაზე შევაჯერებდი გულს, მაშინ გეტყოდი და უშიშრადაც გეტყოდი. არ იფიქრო, ნოდარ, შურისგების ან სიკვდილის მეშინოდეს. ამის თქმა შენ არ გჭირდება, მიცნობ და იცი, რომ ეს ასეა. არა, ამ შიშის გამო არა, უშიშრად გეტყოდი, იმიტომ, რომ შენი განსჯისა და განკითხვის წინაშე აღარ შეგკრთებოდი, ახლა სხვაგვარად მოხდა, ადრე მოგწვდნენ, თუმცა მე არასდროს არავის არ ვემაღლებოდი. ადრინადად დადგა იმის თქმის ჟამი, რაც ოდესმე უნდა მეთქვა. მისმენ? ხომ გჯერა, რომ გეტყოდი?

თავი დაეუქნია.

– გჯერა?

– მჯერა . . .

– ესეც ნუგეშია ჩემთვის . . . მე და გულბანი მეგობრები ვიყავით. ხედავ ელენეს სურათს, – მითხრა და ჩვენს სავარძლებს ზემოდ დაკიდებულ პორტრეტზე მანიშნა, – აქამდე დედა გეგონა . . . ვინ იცის, იქნებ სხვაგვარად არც აწ განიკითხო . . . ულამაზესი ქალი იყო . . . ძნელია

ჩემთვის ამ ამბის მოგონება, . . . შეკვარებოდა . . . სიყვარულის განკითხვა არ შეიძლება, მაგრამ აღამიანობა თავისებური გაგებით ასკეტობაცაა . . . ეს უნდა შევიგრძნოთ. ეს . . . განკერძოება კი არა, ვნებების ალაგმვაა, . . . ამ ალაგმვის გარეშე ზნეობა და დიდსულოვნება უსულო, ცარიელი სიტყვაა და მეტი არაფერი . . . როცა გვინდა და არ ვაკეთებთ, როცა ვნებებზე მადლა ვდგებით, მაშინ ვგრძნობთ მზის თვალს სულში . . . დადაშმა ვერ შეძლო გრძნობების ალაგმვა, მე კი ეს მაქვს ცხოვრების კანონად დადებული: უზნეობას არ უნდა მიუტევო, თორემ შენ თვითონ გაგიქრება მზის თვალი. ვნებათა აულაგმაობა უკვე წაშლილია საზღვრის იქით და გულბანი ამას იქითაც გადაჰყვამის ბნელ ბილიკებს . . .

ამოიოხრა და დადუმდა.

დიდხანს იყო მდუმარედ. არ იძვროდა.

გვიან აიღო თავი და ამოიოხრა.

– ასე მგონია, ხელახლა ვხედავ ყველაფერს, ასე მგონია, ხელახლა მობრუნებულია ის ღამე, ის საშინელი ღამე . . . მისმა გახელებამ მიიყვანა აქამდე . . . ელენე არ დანებებოდა და გაეწირა . . . ჩემი ვაჟი ხუთი წლის იყო მაშინ . . . ალბათ ხედავდა პატარა ბიჭუნა, როგორ გახელდა აულაგმავი ვნებები, როგორ შეშლილივით იბრძოდა დედა . . . ხედავდა და მიეცანა . . . გახელება კი, გახელება უცნაურად მშიშარაა, უცნაურად კანკალებს, გამუდავების ეშინია და ამ შიშმა ორივე სატვერის წერა გახადა: სილამაზეც და უმანკობაც . . . ამ დროს შემოვანგრეე კარი, მაგრამ გახელებამ ფანჯრიდან გამასწრო, გადაეყვი და მის მერე წლობით ვეძებდი . . . ახლაც მიკვირს, რომ არ შევიშალე . . .

ისევ დადუმდა. მე შეძრწუნებული ვიყავი.

– . . . ვეძებდი და გამიბოლდა. წამოვეწიე და მეგონა, შემიტყუეს . . . მერე, როცა აწრიალებულმა ბუნებამ საბოლოოდ გაუსწორა დაღვრილ სისხლს თვალი, მერე მომაგონდა მომაკვდავი ბავშვი . . . არ ვიცი, რატომ მოვბრუნდი . . . მახსოვს, როცა ის შემკრთალი და აწურული კაცი წყლისთვის და ღამიკებისთვის გავგზავნე და შენ საწოლთან მარტო დავრჩი . . . მოგონებაც ძნელია. . . არ დაფარავ, მაინც არ დაფარავ . . . ისე გახელდნენ ჩემი ვნებები, რომ მეგონა, ვეღარ ავლაგმავდი, შენც გაგიმეტებდი – . . .

– ბავშვს რას ერჩი, რას? – მესმოდა დადაშის ხმა. მივხვდი, ეგონა, რომ ასე გადავუხდიდი . . . ამას რომ არ შეეშფოთებინა, იქნებ თვითონ დაესწრო, გახევებული შეხვდა სიკვდილს, კარს აეკრა და გიფარავდა . . . ის წუთები განუმეორებელი იყო ჩემს ცხოვრებაში . . . შენს თავთან ვიჯექი და ჩემი ვაჟის ღანდს ვხედავდი, ღანდს კი არა ჩონჩხს . . . ეს იყო ყველაზე საშინელი . . . ჩონჩხს ვხედავდი . . . დანარჩენი იცი . . .

ანაზღად გაწყვიტა სიტყვა და წამოდგა. ოთახიდან გავიდა და მომეჩვენა, რომ დამინდო, ფიქრი მაცალა და ამიტომაც არ მკითხა არაფერი.

დიდხანს ვიყავი ასე.

ხელი აღარ მიკანკალებდა, თანდათან მიბრუნდებოდა სიმშვიდე და ვგრძნობდი, წამიც და მე თვითონ გავიდოდი მამასთან, მივეახლებოდი და ხმის გაღებას აღარ ვაცლიდი – ვესროდი, ვესროდი, ვესროდი, – შევძახებდი და მუხლებში ჩაუვარდებოდი – მაპატიე, მამა, ამ დღეებში ათრთოლებული ხელი, მაპატიე, მამა, ამ დღეების ბნელი, გახელებული ფიქრები, – ამასაც ვეტყოდი და სულში მზის თვალის ბრწყინვას ვიგრძნობდი.“

V

გურამ გელოვანის დღიურები

„23 მაისი, ოღესა,“

წუხელ „შურისგების“ კითხვა გვიან დავამთავრე. ქალიშვილებთან მეტხანს დაყოვნება მომეკრძალა და წამოვდექი.

– ხვალ უკვე ოღესაში ვიქნებით, – ვამბობ და თან ფურცლებს ვაღაგებ, – ვფიქრობ, ნახსადგური არ დაუსვამს ჩვენს მეგობრობას წერტილს . . . ნახვამდის – ვემშვიდობები ქალიშვილებს და კარის სახელურს ვეჭიდები.

– ნახვამდის, გმადლობთ, გმადლობთ – მომძახის მზია.

– თქვენ ვინდა გადაგიხდით ვალს? – ღიმილით მიცქერის ქერათმიანი გოგონა. ანაზღად ვერაფერი მოვიფიქრე და როცა ქალიშვილებს ჩემი ვინაობა გუთხარი, ნანამ ისევ აისხა თავისი ღიმილი და მეგობარს მოუბრუნდა: – თურმე ავტორისეული თავმოყვარეობა იცავდა უღაბოში დაღვრილ სისხლს.

- არა, ზნეობა, - ვიციანი მე.
- . . . ამ დილით მცირე ხანს ვიყავით ერთად.
- წუხელ დიდხანს ვფიქრობდი „შურისგებაზე“, - მითხრა ნანამ, - და იგი რაღაცნაირად პირველი ნოველის ანტითეზად მეჩვენა.
- ჰო, შეიძლება, მაგრამ აქაც არაა გრძნობების ბრძოლა, აქაც ზნეობა და უზნეობა პაექრობენ . . .

გრძელი საუბარი აღარ დაგვცაღდა. მათმა უკრაინელმა მასპინძლებმა ორივენი ანაზღაურებად მომტაცეს. აეროდრომაძე მივაციდლე, ახლა, ალბათ, ორივენი კიევში არიან, მე კი რევოლუციის მუზეუმში ვზივარ და არქივიდან გამოთხოვილ მასალებს ველოდები.

- მე გნახავ, ნანა. - მხოლოდ ეს ვუთხარი უკანასკნელად ქერათმიან ქალიშვილს.

26 მაისი, ოდესა

მარტოობა ასე ძლიერ არასოდეს მიგრძენია. უცნაურია ადამიანის ბუნება: შემთხვევით გავიცნობთ ვინმეს და მერე გვეჩვენება, რომ უმისოდ არასოდეს გვიცხოვრია. ვეღარავისთვის ვერ ვიმეტებთ, ჩვენთვის გვეოცნებება და როცა შემთხვევით შეყრილი გზები გზაჯვარედინზე ისევ გაიყრებიან, რაღაცნაირი ნაღველი გვრჩება, რაღაცნაირად სევდასა და სიცარიელეს გვგრძნობთ და გზებს მივტირით.

მეც გზებს მივტირი.

საოცარ მარტოობას განვიცდი. არა, მიუსაფრობასა და უმწეობას კი არა, ნატვრას.

ნატვრად ვიქეცი და გზებს მივტირი.

მწერლები ხშირად ვაზვიადებთ. სიყვარულის პირველი შეგრძნების ასახსნელად ათასნაირ ქსელს ვუხლართავთ ჩვენს გმირებს, შეხვედრებსა და საუბრებს ერთმანეთს ვუნაცვლებთ. არავინ იცის, რა შობს პირველ გრძნობას და თვით ეს იდუმალეაა რაღაცნაირად პოეტური. არავინ იცის, თვალთა მისი სადარბაზო კარი, გული თუ მთელი ჩვენი მეობა. არავინ იცის და დაე, ნურასოდეს დაიწყებენ ამის ჩხრეკას. ამას რომ მივაგნოთ, რაღაცნაირი იდუმალი თრთოლვა და სიხარული დააკლდებოდა ჩვენს ბედნიერებას.

უცნაურად მენატრება ნანა. ისე მეჩვენება, თითქოს მიხმობს და მეძახის მარტოობის განუცდელი გრძნობა მეუფლება, სული წრიალებს და გზებს მივტირი.

27 მაისი, ოდესა

ახლა თბილისში რომ ვიყო, მეგობრებს გავუვლიდი, ზედაზენსა და ნინოწმინდას მივაკითხავდი, საყვარელ ადგილებში ხეტიალს გადავაყოლებდი გულს. აქ არავის ვიცნობ და ეს უფრო მიმძაფრებს მარტოობასა და ნატვრას.

მუზეუმში ვერ დავდივარ. არქივის ქექვას გულს ვერ ვუდებ. ალბათ, ესაა სიყვარულის პირველი ნიშანი.

ზღვა მომენატრება, მივალ და მოვლემარე ტალღებთან დიდხანს ვერ ვჩერდები. პარკში ერთ ადგილას ჯდომა მბეზრდება. თბილისიდან წამოსვლისას ოდესის ოპერის თეატრზე ვოცნებობდი, აქა ვარ და ერთხელაც არ შევსუღვარ თეატრში. სადამოობით სანაპიროზე გამოვდივარ, პუშკინის ძეგლიდან ნავსადგურისაკენ მივუყვები გზას, მწუხრისას ნავსადგურში ვოცნებობ.

ისევ გზებს მივტირი.

წუხელაც, სანაპიროს მოაჯირზე დაყრდნობილი, ელექტროთი აჩახახებულ გზებს შევსცქეროდი, მერე თანდათან გაჰქრნენ გემებიცა და ნავსადგურიც, ვარდობისთვის მშვიდი ზღვის ჩქერალების წყნარი ხმიანობაც სადღაც ჩაიკარგა და ისევ ქერათმიანი ქალიშვილის სახეს ვხედავდი, ისევ მისი წკრიალა, გაუზარავი ხმა მესმოდა და უნებლიეთ აჩქურჩულდი:

ნეტავ სადა ხარ, ჩემი მოხმობა,
 ჩემი ძახილი თუ მოაქვთ ქარებს,
 მე უშენობა და უშენსმობა
 ზეგავად მექცა და ქვეშ დამიტანებს.

მთელი დამე ვჩქურჩულდები ამ სტრიქონებს. დღეს მოულოდნელად გაავდრდა. ქალაქში უცნაური ნისლი ჩამოწვა. მე ისევ სანაპიროზე მივაბიჯებ. დანისლულ ხეივანში ლანდებივით

ჩანან ადამიანები, ხეები, ქანდაკებები. ახლა აღარ ვჩურჩულებ წუხანდელ სტრიქონებს, ხმამაღლა ვამბობ, ნისლი მფარავს და ასე მეჩვენება, თითქოს ჩემი ხმა არავის ესმის.

28 მაისი, ოდესა

მთელი დღე ოთახში ვიჯექი. მწუხრისას ისევ ზღვას მივაკითხე.

ბნელა, ლამპიონებით განათებულ პავილიონებს გავერიდე. ლოდზე ვზივარ და უსაზღვრო სიბნელეს გავსცქერი. ზღვის უდრტვინველი სუნთქვა არ მწვდება. თითქოს არაფერი არ არსებობს წკვარამის გარდა. მოვლემარე სტიქიონი სიმრუმეს გაუთანგავს.

აღბათ, ახლა, ამ ბნელ ასპარეზზე, სადღაც შორს ირწევინან აჩახჩახებული გემები, მოაჯირს დაყრდნობილი ადამიანები წკვარამს შეჰყურებენ და გზებზე ფიქრობენ.

მე კი გზებს მივტირი. . .

გზებს მივტირი გზაჯვარედინზე გამქრალ ქერათმიან ქალიშვილზე ვფიქრობ.

რის სულში ფათური, რის შეხვედრები, რის დაახლოება, – მისი ღიმილი, ბროწეულის ყვავილის დარი მისი ნაზი ღიმილი მექცა ფიქრებისა და ოცნების სათავედ და ბროწეულის ყვავილები ფეთქავენ სულში.

ვფიქრობ და მეჩვენება, რომ ისიც მიგონებს. ვერ ვიჯერებ, რომ აღარ ვახსოვარ, რომ დავიწყების ჩრდილი გადაადგა ზღვის გზებს, ჩემთვის სიყვარულის გზებად გადაქცეულ გზებს, ქერათმიანი ქალიშვილი ჩემად მეოცნებება, რაღაცნაირად შემოიჭრა იგი ჩემში და ვერ მირწმუნებია, რომ. . .

ნუთუ მართლა რომ მივიდე, მოვნახო და ღიმილი ვთხოვო, გაუკვირდება და ზურგს შემექცევს . . .

ვერ ვიჯერებ, სადღაც მასაც სწამდეს სულში ფათურის, არა, მაშინ ბროწეულის ყვავილის დარად ვერასოდეს გამიღიმებდა, მაშინ „სიკვდილი უდაბნოში“ არ უნდა განეცადა, მაშინ ჩემი „შურისგებისათვის“ ვერ უნდა მოესმინა . . .

არა . . .

არა . . .

ჩემს თავს ვაჯერებ და ეს შევებას მგვრის . . .

„ღიმილი? იქნებ . . . იქნებ გული, მისი გული სხვას უხმობდეს ამ ბნელ ღამეში.“

ამან შემაკრთო და მერე წამიერმა შემფოთებამ თითქოს გამოსავალსა და თავდასაღწევს მიაგნო:

გადაწყდა: ხვალ კიევში უნდა გავეფრინდე. ჩავალ, რომელიმე სასტუმროში ნანას გადავაწყდები, სიხარულით ავივსები, მეშვიდე ზეცას მივწვდები, მის ხმას გავიგონებ, მისი ღიმილი შემომანათებს და მისი თვალები ბედნიერებას მაგრძნობინებენ.

აეროდრომზე ვარ და კიევის თვითმფრინავს ველოდები.

29 მაისი, კიევი

კიევში ჩამოსვლისთანავე კონფერენციის მონაწილეთა სასტუმრო გამოვიკითხე. როგორ მოვიჩქაროდი, როგორ მოვფრინავდი და ჩამოსვლისთანავე თითქოს რაღაცამ შემქრა.

ბროწეულის ყვავილები აღარ ფეთქავენ სულში, ახლა რაღაცნაირი ტანჯვით მაქვს მთელი ბუნება ავსებული.

ნანას „უკრაინის“ კიბეებზე გადავეყარე. საფეხურებს შევუყევი და ზემოდან ჩამომესმა სანატრელი, წკრიალა, გაუბზარავი ხმა.

– გურამ!

ავიხედე. კიბის თავში იდგა. გულმა დარეკა. არ ვიცი, იქნებ მომეჩვენა, მის თვალებში სიხარული კრთოდა, მოულოდნელობისაგან დაბნეული, ღიმილით მიცქერდა.

ჩამომეგება.

– როდის ჩამოდი?

– ეს-ესაა. ვშიშობდი, მეგონა ვეღარ ჩამოგისწრებდით. – ერთმანეთს მღუმარედ შევცქერით.

– ხომ არ გეწყინა ჩემი დანახვა?

თავი დახარა, მკლავში ხელი გამომდო.

– წამო, მზიას ეჩვენე. – მითხრა და ვესტიბულში შემძღვა, – მოათავე არქივის ქვევა?

– არა, არ გაგკარებივარ, ვოცნებობდი, – ვთქვი და ვიგრძენი, ერთბაშად ავიღეწე.

– ვიცოდი, რომ ოცნებობდი, – მერე წამიერად შემხედა და ანაზღად ამარიდა მზერა, – ისიც ვიცოდი, რომ მოხვიდოდი.

შეება ვიგრძენი.

– ნანა, სულ მცირე კმარა ზოგჯერ ადამიანისთვის. ზოგჯერ ჩვენ ვიღიმით, რადგან გველიძება, მერე ვივიწყებთ, მაგრამ სხვებს ეს ღიმილი ლანდად გაჰყვება, მიწისძვრასავით შეარყევს და მთელ სიცოცხლეს უმწარებს. მე შენი ღიმილის ძახილს მოვყვებოდი, ნანა, გახსოვს, რომ გითხარი, გნახავ მეთქი. ხომ არ გწყინს? უხერხულობა ხომ არ მოვიტანე ?

– მე . . . მე მინდოდა, რომ მოსულიყავი . . .

2 ივნისი, კიევი

ვესტიბიულში საუბრის შემდეგ ყველფერზე ვდუმვართ. თურმე აქაც ვაჭარბებთ მწერლები. მეტი რაღაა სათქმელი. ნეტავ ახლა ლიანა ალანია იყოს აქ, ერთხელ კიდევ მეტყოდა – „შენ ასეთი უცნაური ხარ ყოველთვის“, – კიდევ ერთხელ ვიგრძნობდი თავს გამარჯვებულად.

მე ჩვენი სიყვარულიც მიყვარს. ერთმანეთის სულში არ დაგვიწყია ფათური, ვინც იცის, სულის შეცნობა იქნებ თავისთავად ხდებოდეს. და იქნებ ასეც მოხდა.

არც განმარტობას ვეძებთ, მზიასთან ერთად განთიადიდან დნეპრზე ვართ, სადამოლობით კრემნატიკზე ვსეირნობთ. კიევში მზიანი გაზაფხული დგას და ჩვენ სულშიაც მზიანი გაზაფხული ყვავილობს.

გუშინ სადამოს მზია სადღაც გაგვებნა. ოპერის თეატრიდან ვლადიმირის პარკისკენ მიმავალ ქუჩას გავუყვით. ეს ადგილი ყველაზე მეტად მიყვარს. კიევში ჩემი სტუდენტობის დროს აქ თვეები გამიტარებია.

ნანა დაღონებული მეჩვენა.

– რაზე ფიქრობ, ნანა?

– არაფერზე.

– მაინც?

– არაფერზე . . . შენს გვერდითაც რომ ვარ, მაშინაც მენატრები და რაღაცნაირად მეშინია.

მე არაფერი ვთქვი. გამოუთქმელ ბედნიერებას ვგრძნობ და ხმის ამოღება არ მინდა.

– რატომ არაფერს ამბობ? – მეკითხება ნანა.

– მე მაკვირვებს . . .

– ჩემი შიში?

– არა. ამდენხანს რომ ერთმანეთს არ ვიცნობდით. თუ ვიცნობდით, ყოველთვის ვიცნობდით?!

ნანა თავს აქნევს, იცინის და მისი ეს სიცილი უცნაურ ჩქერალებად იღვრება ჩემს ბუნებაში.

ველოდით, ერთმანეთს ველოდით . . .

მე მიხარია, რომ შემთხვევით შეყრილი გზები აღარასოდეს გაიყრება, გზაჯვარედინები აღარასოდეს იქნება, გზებს აღარასოდეს გავტირებ, მარტოობა აღარ დამეუფლება. ქერათმიან ქალიშვილს ალტაცებით შევცქერი და მის წინაშე ოდესღაც ჩემს მიერ შექმნილი გმირები არარაობად მეჩვენებიან.

13 ივნისი, ოდესა

რამდენი ხანია დღიურს არ გავკარებოვარ.

არქივმა იმედები გამიმართლა. მთელი დღეები მუხეუმში ვზივარ, ვმუშაობ და ნანასთან გატარებულ დღეებს ვიგონებ . . .

დღეს ნანას პირველი წერილი მივიღე თბილისიდან და ელდა მეცა.

„დიდხანს ნუ ჩამოხვალ. დიდხანს ნუ ჩამოხვალ. – ორჯერ იმეორებს იგი ბარათის ბოლოს, – სანამ არ მოგწერ, ნუ ჩამოხვალ. ან თუ მაინც ჩამოხვალ, ნუ შემხვდები. მე გთხოვ. ეს საჭიროა, გეგმის, საჭიროა.“

შენი „დიდლოგები“ გადავიკითხე და მან დაბადა ეს სურვილი, ეს შთაგონებაც. დიდხანს ნუ ჩამოხვალ. შენი ნანა“.

გაოგნებული ვარ. არ ვიცი, რას უნდა ნიშნავდეს მისი ეს უცნაური სურვილი. ვერაფერი მომიფიქრებია და ვგრძნობ, როგორ წრიალებს ისევ ჩემი სული, ვგრძნობ თითქოს უფრო მეტად მენატრება მისი ხილვა, თითქოს ახლა უფრო მეტად მიმეჩქარება თბილისში“

VII

თბილისიდან წამოღებული ომის წინ გამოცემული ის კრებული მომხვდა ხელთ, გურამ გელოვანის „დიალოგები“ რომაა დაბჭდილი. კითხულობ ამ ნოველას.

გურამ გელოვანი
დიალოგები
ნოველა
ციკლიდან „ადამიანები“

- წახვედი?
- წავედი. არ შემეძლო მისი თხოვნის შემდეგ მშვიდად ვყოფილიყავი. მის წამებას ვერ გავეუძელი და წავედი.
- მე ვერ ვენდობოდი ჩემს თავს.
- ვერც მე ვენდობოდი. მიტომაც ვყოყმანობდი. მერე ტანჯვით მოვიპოვე რწმენა, ტანჯვით ჩაკალი ყოყმანი . . . ტანჯვის გზები იყო, ვარამის გზები . . .
- ზნეობის გზაც ყოფილა, მე არ მეყოფოდა სული . . .
- ჰო, შეიძლება . . . ზნეობის გზაც იყო . . . ნუ განიკითხავ ასე . . . პირველად კი, პირველად, როცა მყინვარებზე დავდგი ფეხი, ბოლო იმედის გზა იყო, გაურკვეველი, ბნელი იმედის გზა . . .
- იმედის გზა.
- ჰო, იმედის, იმედის . . . ბანაკიდან ნარიჟრაჟალზე გავედით. მთებში ჯერ კიდევ ნისლი იდგა და ძლივს მივიკვლევდით გზას. ნისლიანი სავალი გაურკვეველი იმედის სავალად მესახებოდა. – „ვერ მივაგნებთ, ვერ მივაგნებთ“, – თითქოს ჩემდაუნებურად, თითქოს თავისთავად რაღაც ხმინებდა ჩემს ბუნებაში. წვალებით მივიწვედი წინ, თანდათან ქრებოდა ნისლი და თანდათან უფრო ნათელი ხდებოდა იმედი. ნუ განიკითხავ, რა იყო ეს. მე სხვაზე არაფერზე ვფიქრობდი. სხვა არაფერი არ არსებობდა. მივყვებოდი ნისლიან გზებს. ხმამაღლა მესმოდა – „ვერ მივაგნებთ, ვერ მივაგნებთ.“ ჩემ თავს ვარწმუნებდი, თითქოს ამ გარკვეული იმედისაც მჯეროდა, მაგრამ სიხარული მაინც არ მიგრძენია. იმედი იყო, მაგრამ რაღაც უსიხარულო, უსიცოცხლო, უფრო, მტანჯველი იმედი.
- ნისლი დაიწმინდა, მყინვარებთან გავაღწიეთ და ოთხივე ერთმანეთს მაშველი თოკებით გადავებით. – წინ ივლი? – მკითხა რევაზ დაღვანმა და გამომარკვია.
- არაფერი მითქვამს. თოკი შევიბი და გავკვანძე. ახლა ყველაზე წინ ვიყავი და ჩემი გზა ყველას გზაც იყო. – „ვერ მივაგნებთ, ვერ მივაგნებთ“, – ისევ ხმინებდა რაღაც, მაგრამ ახლა უფრო მეტად ვგრძნობდი, რომ ეს გაურკვეველი იმედი მხუთავდა და მახრჩობდა.
- ძლივს მივდიოდი, მეჩვენებოდა, თითქოს ღონე გამოცლილი მქონდა. სუნთქვა მიჭირდა და წრიაპის ყოველ გადადგმაზე ვყოვნდებოდი, სულს ვითქვამდი.
- გივი, ცუდად ხომ არა ხარ? – ანაზღად მომწვდა ძახილი. დავითულიანის ხმა ვიცანი.
- დავითულიანიც გამოგყვით?
- გამოგყვით, არ ქნა, არ დარჩა. ოთარის გადაჩეხვის ამბავი ჩამოგვიტანა და მოვემზადეთ თუ არა, თვითონაც აისხა წრიაპები . . . მე ხელი ავუქნიე, რაღაც ვანიშნე. მეტი აღარ შემეძლო. გაურკვეველი, ნისლიანი იმედის კვალდაკვალ დალის ვედრებაც, მისი ხმაც მესმოდა და წონასწორობას ვკარგავდი.
- ბეწვის გზაც ყოფილა. მყინვარებში ფიქრი ბეწვის ბილიკზე სიარულს ნიშნავს . . .
- მეც მიკვირს, რომ არ გადავიჩეხე. ალბათ, ესაც ბეღია . . . ახლა ამ მოგონებისას, ვგრძნობ, რომ გზას არ ვუყურებდი, ყველაფერს ინსტინქტურად ვაკეთებდი, ძალაყინს რაღაც ანგარიშიუცემლად ვხმარობდი. დალის სახე მაგონდებოდა. სანიშნო მაშხალების შემდეგ იგი მტანჯველი მოლოდინით უცდიდა ვინმეს ჩამობრუნებას, დავითულიანის მოსვლის შემდეგ კი უკვე შეშლილს ჰგავდა. მე არ ველოდი მის მოსვლას. არ მეგონა, არაფრით არ მეგონა, თუ მომაკითხავდა. არც დავითულიანის დაბრუნება ვიცოდი, მოულოდნელად შემოვიდა და შევპრწუნდი. შეპრული მეჩვენა, აქვითინების ზღვარზე იყო.

გაკვირვებით შევხედე.

დალი ყოველთვის გამიბოძდა. მე იგი შეუსმინარი, უპასუხო სიყვარულით მიყვარდა და მისი შეხედვა მშვიდად არასდროს შემეძლო.

– დალი?! – ჩურჩულით ვთქვი და წამოვდექი.

კარვის კართან იდგა. ნაბიჯს არ ძრავდა, რაღაცნაირად გაქცევებული იყო.

– დავითულიანი მობრუნდა. . .

. . . სასაფრთხო მაშხალები გამახსენდა და ერთბაშად ყველაფერს მივხვდი.

– ყველანი?

– არა, მარტო ოთარი . . . თოკს უმტყუნია . . . მერე ვეღარ მიუვინიათ. . .

თავი დახარა. კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ . . . ვიგრძენი, რომ სიტყვას ეძებდა და მივეშველე.

– თეთნულდის შემდეგ?

– არა, თეთნულდამდე . . . წახვალ? – მკითხა და მერე ერთბაშად მომიახლოვდა დალი. დავიბენი და ჩემდა უნებურად დილით წასული ჯგუფი ვახსენე, – წავიდნენ, მაგრამ მათგან ვერავის ვენდობი, შენ უნდა წახვიდე და უნდა მომიყვანო, მეტს ვეღარ გავუძლებ მოწოლილ ვარამს. . . – დალიმ ჩემი ხელი ჩაბლუჯა და აქვითინდა – გთხოვ, უნდა მომიყვანო. . . მეტს ვეღარ გავუძლებ მოწოლილ ვარამს, – და აქვითინდა, – უნდა მომიყვანო. . .

არ ვიცი, რას განვიცდიდი იმ წუთში. მისი მოსვლა და თხოვნა რაღაცნაირ უტიფრობად მეჩვენა. სიყვარულს სტიროდა და სიყვარულსაც და სატირალსაც შეუსმინარ, ჩემს შეუსმინარ სიყვარულს ანდობდა.

– სხვას ვერავის ვენდობოდი . . . გამიგე . . . სხვა ვერავინ მომიყვანს. . .

დალის შევცქეროდი და ვდუმდი. არ ვიცი, მიხაროდა თუ მწყინდა მისი მოსმენა, მისი ნდობა, მისი ვედრება. ქვითინისაგან შეძრულ მის სახეს შევცქეროდი და არაფერს ვამბობდი.

თავს მოერიდა, ჩემს წინ ჩამოჯდა და ხელზე ხელი მომიკიდა.

– არ წახვალ?

– წავალ . . . – ვთქვი და წამოვდექი.

დალის სულში იმედი ყვაოდა. იგი გრძნობდა, ვიცი, გრძნობდა, რომ ეს გზები, მყინვარების ნისლიანი გზები ტანჯვისა და ვარამის გზებიც იყო. გრძნობდა, მაგრამ . . . მაინც ამ ტანჯვის გზებს ენდო, მაინც ეს ვარამის გზები იყო მისთვის იმედის გზები . . . უნდა მიმეყვანა, უნდა მომიძებნა, მის თვალზე ცრემლი უნდა შემემრო, თორემ ტანჯვის გზები . . . სხვა რომ ყოფილიყო, მარტო ძებნის გზები იქნებოდა . . . ჩემთვის კი ყველაფერი ერთად იყო: ძიების, ტანჯვის და ზნეობის გზებიც . . . არ მინდა დალი განვიკითხო, იქნებ მისი ვედრებაც არ იყო დიდსულოვნება, არ იყო, რადგანაც . . . მე მაინც არ შემეძლო მისი განკითხვა, ნისლიანი გზები ჩემთვისაც იმედის გზები იყო და ფეხის ყოველივე გადადგმაზე ისევ ხმიანებდა სულში – „ვერ მოვძებნით, ვერ მოვძებნით“.

ეს იყო ერთადერთი იმედი . . . იქნებ ამის შემდეგ ტანჯვის გზებისთვის ვეღარ დაერქმიათ დიდსულოვნების გზები . . . მივდიოდი, დალის ვედრება, მისი ხმა მესმოდა და წონასწორობას ვკარგავდი.

შუადღისას ძირითად ჯგუფს გადავაწყვი. გადაჩეხვის ადგილზე მომდგარი ნაპრალები და ხეები ამაოდ მოველოთ. სხვა გამოსავალი არ იყო და დავიშალეთ, შეყრის ადგილი დავთქვით და სათითაოდ გავეყვით მზისგან გაბრწყინებულ, მოსარკულ გზებს . . .

მწუსრამდე ვიარე. ნაპრალებში ვბორიალობდი, ვცოცავდი . . . ნაპრალებში ვბორიალებდი, ვცოცავდი, და ჟამიდან ჟამზე ხეობათა მდუმარებას ძახილით ვარღვევდი:

– ოთარ!

– ოთარ!

ტკივილით გამითენებია დამეები. ვოცნებობდი დალის ღიმილზე, დალის მოხვევაზე ვოცნებობდი და ახლა, როცა ჩემს სიყვარულს სიყვარული ხელიდან ეცლებოდა, მე ტანჯვის გზებზე ვეძებდი მის სიყვარულს და მყინვარები იმეორებდნენ:

– ოთარ!

– ოთარ!

ვერ მივაგნებ, ვერ მივაგნებ, – ისევ ხმიანებდა რაღაც ჩემს ბუნებაში. მაგრამ ამას იქით აღარ ვიხედებოდი. მეტზე აღარაფერზე ვფიქრობდი. არ მინდოდა მეფიქრა, რომ ეს მიუგნებლობა ჩემთვის მაინც არაფერს ნიშნავდა. დალი მაინც სხვისი იქნებოდა, სხვისი სიყვარულის, ცრემლისა და გლოვის იქნებოდა.

მწუხრისას ახალ ნაპრალს გადავადექი და შევეკრთი. სადღაც ძირს ვიღაც ეგლო, გულდაღმა გაუნძრევლად იწვა. სული შემიქანდა. „ისაა“ – გავიფიქრე და აღარ ვიცოდი რა მექნა . . . აღარ მახსოვს, როგორ ჩავიმუხლე.

– მომიყვან? – ისევ შესმოდა დალის ხმა, ზემოდან დავცქეროდი ნაპრალში მწოლიარის ზურგს და გახევებული ვიყავი, მეშინოდა არ გაგებრუნებულიყავი, მეშინოდა, არ მიმეტოვებინა.

– ოთარ! – ანაზღად რაღაცამ მიბიძგა და ნაპრალში ჩავძახე.

– ოთარ! – ისევ გავიმეორე. ნაპრალში მწოლიარე არ იძვროდა. მე ისევ მის ზურგს დავცქეროდი. მერე აღარ მიფიქრია, დავცოცდი, ნაპრალში ჩავდიოდი და ახლა უკვე სულ სხვა ხმა მესმოდა: – ვერ ჩავუსწრებ – ისევ იმედი იყო, იმედი, გაურკვეველი იმედი.

ახლოს მისვლა ვერ გავბედე. ვერ მივეკარე. ათიოდე ნაბიჯზე შევდექი და შევცქეროდი. ის იყო. შეშინებულმა უკან გადავდგი ბიჯი. ხელის ხლება არ შემეძლო. იმ წუთში რაღაცნაირად მძულდა იგი და მასთან მიახლების მეშინოდა. მისი სუნთქვა რომ მეგრძნო, დავახრჩობდი, ვგრძნობდი რომ ახლა მართლაც ბეწვზე ეკიდა ყველაფერი. „მკვდარია, – გამიელვა თავში, და ნაბიჯი წავდგი, – მკვდარია, მკვდარია და დალი ჩემი იქნება, ჩემი, – არ ვიცი, ვგრძნობ, ხმამაღლა ვთქვი ეს, – ჩემი იქნება, ჩემი იქნება, ჩემი იქნება, – ვიძახდი და უძრავი, მოკრუნჩხული, გათოშილი ზურგისკენ მივიწვედი, – ჩემი იქნება“. უკანასკნელად ვთქვი და მისი გაყინული სხეულის შესებამ გამომარკვია.

გათოშილი იყო. გადმოვაბრუნე. სახეზე მაინც ვერ შევხედე. „ჩემი იქნება, ჩემი, – ვიძახდი და მაჯას ვეძებდი. არ ვუყურებდი, ისე ფათურით ვეძებდი, ჩემი იქნება.“ – უკანასკნელად ვთქვი და გავიყინე. მაჯა ყრუდ, ძლივს, მაგრამ მაინც ფეთქავდა.

შიშისგან ხელი მოვაცილე: ვკანკალებდი. ელდანაცემივით ვიყავი ეს დიდხანს რომ გაგრძელებულიყო, აღბად შევიშლებოდი. აკანკალებული ხელი სახესთან მიუტანე და ერთბაშად ვიგრძენი რომ ვერ გავიმეტებდი.

სხვა არაფერი მიფიქრია. არც ის, თუ თვითონ რას იზამდა ჩემს ადგილზე. ამას მხოლოდ ახლა ვფიქრობ და რაღაცნაირი სიხარულით ვივსები, რომ იმ წუთში ეს არ მომგონებია . . . ასე რომ ყოფილიყო, მაშინ . . .

– ოთარ!

– ოთარ!

ჩავძახოდი და თოვლით სახეს ვუსრესდი. ტანსაცმელი შევუხსენი, ხელოვნური სუნთქვა დაეუწყე და ამხანაგებს მაშხლით მოვუხმე.

როცა ცნობიერება დაუბრუნდა და შემიცნო, მოძალებული სინათლისაგან ამწვარი თვალები დახუჭა და პირველად ეს მკითხა:

– მარტო ვართ?

– ჰო.

არაფერი უთქვამს. მხოლოდ ხელი მომიჭირა ხელზე. ეს იყო და ეს . . .

არ უნდა დაძრულიყავი, უმაღვე მოგაგნებდნენ. – ვუთხარი მე.

– ხმა ველარავის მივაწვდინე და აღარც ერთი აღარ მეგონა ცოცხალი . . . თქვენ ვინ შეგატყობინათ?

– დავითულიანი ჩამოვიდა . . .

ერთბაშად გამოერკვა და წამოწვეა სცადა.

– დალიმ იცის?

– იცის. დალიმ გამომგზავნა.

სხვას აღარ დავანებე. მთელი გზა მე მომყავდა. მობრუნების გზებიც ტანჯვის გზები იყო, მაგრამ უკვე აღარ იყო იმედი, ის გაურკვეველი და ბნელი იმედიც გამქრალიყო! ახლა სხვა გრძნობა დამუფლებოდა, უფრო შემძვრელი გრძნობა და რაღაცნაირად მიხაროდა, რომ ნაპრალში არ დავახრჩე ოთარი.

– დალი ნახე?

– ვნახე. მე თვითონ მიუყვანე. სიხარულისგან გაოგნებულს აღარ მოვგონებოვარ, თავთან ედგა და უხმოდ უაღერსებდა. მე მათ შევცქეროდი და ანაზღად ვიგრძენი, რომ ნაპრალში გათოშილი და ცნობადაკარგული ოთარი რომ გამემეტებინა, დალის მაინც ვერასდროს ვეღარ შევხედავდი, თვალს ვეღარ გავუმართავდი. მათი ცქერა აღარ შემეძლო, მაგრამ ვერც უხმოდ გამობრუნება შეძელი.

– მე წავალ, დალი, – ჩურჩულით უთხარი და მხარზე ფრთხილად შევეხე. მომიბრუნდა და რაღაც უჩვეულო ღიმილით გამიღიმა, რაღაც სევიანი, შეკრთალი ღიმილით.

– გივი !!! – მითხრა და სიტყვა პირზე შეაშრა.

„– მოგიყვანე . . . სხვას ნუღარაფერს მკითხავ, ტანჯვის გზები იყო . . . ნახვამდის. . ახლა წავალ . . . სულ წავალ . . .“

წამოვედი. ბანაკი მივატოვე. მთებში ველარ გავექელი, მოვდიოდი და გული სინანულით მქონდა სავსე. ახლაც ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, რომ დაღის „ტანჯვის გზები“ ვუხსენე.

VII

გურამ გელოვანის დღიურები

30 ივნისი, ოდესა

ორი კვირაა საავადმყოფოში ვწევარ.

ნანას თხოვნის მიუხედავად, თხუთმეტში თბილისში წასვლას ვაპირებდი. წინა საღამოს ზღვაზე გავცივდი და ანთებამ ყველაფერი არია.

ისევ მარტო ვარ და ისევ გზებს მივტირი. მთებში ვარ გაზრდილი. სიცივესა და თქემს, ქარსა და მერეს არასოდეს შეგპუებივარ, მუდამ თამამი ვიყავი, წამლის გემო არასოდეს გამისინჯავს. სიცხე, როგორც იყო, დაცხრა. სუსტად ვარ. საავადმყოფოში გატარებული ეს ორი კვირა საუკუნედ მეჩვენება. ნანას დეპეშა გაუგზავნე, ჩამოვალ მეთქი, ახლა ალბათ ჩემი ნათელი გოგონაც წუხს ჩემს ჩაუსვლელობას და დუმილს და მისი ეს მწუხარებაც არ მასვენებს.

ჩემმა ექთანმა ორიოდვე წიგნი მომიტანა, მაგრამ კითხვას გულს ვერ ვუდებ, არც შემიძლია. სისუსტისაგან თავი მიბრუის, თვალებს ვხუჭავ და ვოცნებობ. ამ მდუმარებასა და ოცნებაში ჩამესმის ნანას წკრიალა, გაუბზარავი ხმა და უცნაური სურვილით, ნატვრით და ძახილით ვივსები. უცნაურია ადამიანის ბუნება. სულ რამდენიმე დღე გავატარე მის სიახლოვეს და თითქოს მისი სიყვარულის ნათელი დაადგა ჩემში ყველაფერს. მისი ხმის, მისი სახისა და ღიმილის იქით ყველაფერი სადღაც ჩაიძირა და ჩემს ამოძრავებულ სისხლსაც, ჩემს სულში აყვავებულ გაზაფხულსაც, ჩემს ბუნებაში აღძრულ ჩქერალებსაც, ჩემს მარტოობასაც მისი ნატვრა და მოხმობა ჰქვია.

ამ დღეებში საოცარი ზმანებები დამჩემდა. მაგონდება, როგორ კითხულობდა გემბანზე ნანა „სიკვდილს უდაბნოში“, ფიქრის თვალთ ვხედავ, როგორ ჩაყურებდა იგი თბილისში ჩემი „ღიალოგების“ სტრიქონებს და გული მეკუმშება. იქნებ არავის არ აქვს უფლება სიყვარულის გზებზე წეროს, სანამ თვითონ არ გასტირებს ამ გზებს, სანამ თვითონ არ იგრძნობს მათ შემოტევას, სიყვარულისგან მოგვრილ სისხარულს და მისი დაკარგვის წინაშე დაუფლებულ მტანჯველ შიშს. იქნებ, გივიც გაიმეტებდა ნაპრალებში გადაჩეხილ ოთარს? იქნებ, მე არ ვიცოდი და ასე ხდებოდა, ასე იყო, იქნებ, ამოძრავებული სისხლი ყოველთვის ასე სჯიდა, ყოველთვის ამ გზას მიჰყვებოდა, ნატვრისა და მოხმობის გზას? ჩემსავე ფიქრებში ვიბნევი.

„გაიმეტებდი“? საიდანღაც ჩამესმის ლიანას ხმა და აღარ ვიცი რა ვუპასუხო.

9 ივლისი, თბილისი

ამ დღით ჩამოვფრინდი. ნანასთვის ხელახლა აღარ მიდებეშებია. მინდა, მოულოდნელად გამოვეცხადო, წინასწარვე ვხედავ მის გაკვირვებულ სახეს და მესმის გაბუტვით ნათქვამი:

– გურამ!

მისი ბინის კიბეებზე ავდივარ. ჩემივე გულის ფეთქვა მაკრთბს. ვიცი: მის თხოვნას შემახსენებს, მის პირველ თხოვნას. ვიცი, ვერაფერს ვუპასუხებ, მხოლოდ ხელებს გავშლი, მხრებს ავიჩეჩავ და ჩვენს შორის უხერხული დუმილი ჩადგება. არ ვეტყვი, რომ მისი თხოვნის შესრულება არ შემეძლო, არ ვეტყვი, რომ ნატვრად ვიქეცი, გამიღიმებს და ალბათ, არც თვითონ მეტყვის არაფერს. ესეც სიყვარულის დუმილი იქნება. უხერხული კი არა, მრავლის მოქმედი დუმილი . . .

ზარი დავრეკე და გულმაც დარეკა.

ჩემს მღელვარებას ცივი დუმილი გამოეპასუხა და ახლა უფრო მძლავრად დარეკა გულმა.

ხელახლა დავრეკე ზარი. გამობრუნებას ვაპირებდი და ვიღაცამ მოპირდაპირე კარი გამოაღო. ათიოდე წლის ბიჭუნა ბურთის კენწლაობით გამოვარდა, ჩემს დანახვაზე შედგა და გაუბედავად შემომხედა.

– სად არიან? – ვკითხე და მეტრეველების კარზე ვანიშნე.

– თბილისში არ უნდა იყვნენ, დედას ეცოდინება, მაგრამ არც დედაა შინ. – მითხრა და ალბათ ჩემს სახეზე გადავლილი ჩრდილი დაიჭირა, დაუმატა: დედა მალე მოვა . . .

ბავშვისათვის არაფერი მითქვამს, კიბეებს დავუყვი. როგორ მომიხაროდა და გამოკეტილი კარის დუმილმა ერთბაშად შემარცია.

მე მოველ შენთან და მდუმარებას,
ცივ მდუმარებას გადავეყარე . . .

ამეკვიბა საფეხურზე ჩამოსვლისას უნებურად ნათქვამი ეს სტრიქონები. უნივერსიტეტამდე მივედი. ვერ გადამეწყვიტა, რა მექნა. როგორი სიხარულით ვჯდებოდი ამ დილით თვითფრინავში, ფრთები მესხა და გული მოფრინავდა . . .

მე მოველ შენთან და მდუმარებას,
ცივ მდუმარებას გადავეყარე . . .

კვლავ ვიმეორებ ამ სტრიქონებს და ლენინის ქუჩისკენ მივეყვები გზას.

. . . კარი თვითონ მზიამ გამიღო.

– გურამ! შემოდი, შემოდი, გურამ! – მზიას სახე უცინის, ჩემი დანახვა უხარია, ხმის გაღებას აღარ მაცლის, ხელს მკიდებს და ოთახში შევყავარ . . .

– მე უფრო ადრე გელოდი. თხუთმეტში თვითმფრინავს დავხვდი. ალბათ გულმა გიგრძნო, რომ არ ჩამოხვედი. ნანას ვერ დაენახვებოდი. რომ იცოდე როგორ გაბრაზდა. შენი დეკემა რომ მიიღო. ვთხოვე, ჯერ არ ჩამოსულიყო და . . .

– რომ აღარ ჩამოვედი?

– ალბათ ზნეობამ გაჭრაო, – მეუბნება მზია, – დაჯექი, დაჯექი. სხვა, რა ამბებია ოდესაში არქივმა ხომ არ მოგხარა?

– ნანა თბილისშია?

მზია თავს აქნევს.

– არა.

ვიგრძენი რომ ხელახლა გადამიარა სახეზე ჩრდილმა,

– სადაა?

მზია უცნაური მოძრაობით მაღლა სწევს საჩვენებელ თითის, ტუჩთან მიაქვს, მერე კი პათეტიკური ტონით მეუბნება:

– ნაბრძანები მაქვს, ხმა არ გავიღო. ვერ დავარღვევ ბრძანებასა და დუმილს. – დიმილით შემომცქერის.

ერთხანს ვდუმდი. მერე თავი აიღე და წელან აკვიტებული სტრიქონები შევაგებე მზიას მდუმარებას:

– მე მოველ შენთან და მდუმარებას, ცივ მდუმარებას გადავეყარე . . .

– ვის სჭირდება ეს დუმილი, მზია? ვის სჭირდება, ვის? რატომ გამიბრბის?

– არ გაგიბრბის. თვითონ მოვა. უამი და მარტოობა კი ახლა მას ყველაზე მეტად სჭირდება.

– სადაა? – მე მაინც ჩემსას ვეძებ.

– ნაბრძანები მაქვს, მტკიცედ დავიცვა დუმილი. – წელანდელი პათეტიკური ტონით მეუბნება მზია.

გამეცინა. ახლა მეც მისივე ტონით ვეუბნები:

– ამის გამხელა არ იქნებდა ღალატი . . . საქართველოშია?

მზია თავს მიქნევს და ორაზროვნად იღიმება.

– მთელ საქართველოს მოვივლი და მოვნახავ, – მზია მთელი გულით იცინის.

– გახსოვს, ანტონ კათალიკოსი. „ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესე“. წამო, სადმე გავიაროთ, მხოლოდ ნანაზე არაფერი მკითხო . . .

რუსთაველის ძეგლთან ისევ წელანდელი სტრიქონები გამახსენდა და ისევ ვჩურჩულებ, ისევ გზებს მივტირი.

მე მოველ შენთან და მდუმარებას,

ცივ მდუმარებას გადავეყარე,

სადღაც გამეჩქეც, სადღაც გამეჩქეც

და ნატვრად იქცა ჩემთვის ქვეყანა . . .

13 ივლისი თბილისი,

მეტს ვედარ გაგუძლებ ამგვარად ყოფნას. ვერც ვკითხულობ, ვერც ვწერ, არავის ნახვა არ მინდა. ახლა მხოლოდ მოგზაურობა შემიძლია და საკუჭნაოში ჩემ ძველ ზურგჩანთას

ვეძებ. ჯვარზე უნდა ავიდე, ზედახენი უნდა მოვინახულო, მერე მატარებლით ბორჯომის ხეობაში გადავალ, ზარზმაში დამეს გავათევ და გოდერძის უღელტეხილით აჭარას გადავადგები.

ნანას არ ვეძებ, მაგრამ მაინც სიყვარულის გზებია ეს გზები.

ნატვრით აივსო სული და გეძებ. . .
შენი ხმა რეკს და მავსებს ოცნებით,
შენი ღიმილი მომაფრენს შენსკენ,
გამეჭვც, მაგრამ მაინც მოგწვდები. . .

25 აგვისტო, ზარზმა

ყოველდღე მინდა თბილისში გაბრუნება, ყოველდღე ვებრძვი ჩემს თავს. ისევ ცივი ღუმილი რომ შემომეგებოს, ხელახლა აწრიალდება სული და მაშინ, ალბათ, მოგზაურობაც ვეღარ დაედება მტლედ ჩემს ნატვრასა და ტკივილს.

ჯვარზე ვიყავი. საარაგვოს ლანდებს შევეხმიანე. ზედახენიდან მზით ავსებულ ქართლს გადავხედე და აქაურ ბნელ დამეში, ძველი ღმერთების სამყოფლოში, ისევ ვეძახდი ჩემს ქერათმიან ღმერთს. ისევ გრძელდებოდნენ ცივ მდუმარებასთან დაწყებული სტრიქონები. . . .

შენს ღიმილს ვეძებ და ბნელ დამეში
უმზეო ფიქრთა დამდგარა ჯერი,
და ჩემს იღუმალ სიმწუხარეში
გული ხევიან,
სევდა – ნამჭერი.

მოგზაურობა. . . მოგზაურობის თავდაპირველ გეგმას ვერ მივყევი. ბორჯომიდან გუდარეხის ხეობას შევეყევი, ძველი თორი ვნახე, ბაკურიანში ავედი და ცხრაწყაროდან მოშიშვლებულ, გადამხმარ და გადახრიოკებულ ჯავახეთს გადავადექი.

გაწამებული თვალებით შევეყურებ ყველაფერს. ნეტავ რას ნიშნავს მისი მდუმარება და გაქცევა? რატომ წავიდა, რატომ? ნეტავ, ჩავციებოდი მზიას, ნეტავ, არ ჩამოვხსნოდი, იქნებ მეთქმევიინებინა რამე. არც ის ვიცი, ეს ხეტიალი რას ნიშნავს. გულს რაიმეთი უნდა შეჯერება და ეს მოგზაურობაც მხოლოდ გულის შეჯერებაა და მეტი არაფერი. სადღაც კელაპტარივით ანთია ჩემს სულში მზიას სიტყვები:

„მოვა, თვითონ მოვა. უამი და მარტოობა კი ახლა მას ყველაზე მეტედ სჭირდება.“

ამ იალქნებს მივყევი. უამს ველი და მთვლემარე ფიქრით დავდივარ ხეობებში. იმედი ყველაფერში ასე მთვლემარეა, რომ არ მწამდეს, რომ თვითონ მოვა, მაშინ? მაშინ ალბათ ყველაფერს შევძრავდი, მაშინ მდუმარებისთვისაც მივუზღავდი მზიას.

უმზეო ფიქრები კი . . . არ მინდა მათ დავინებდე.

ზარზმის ეკლესიის გალავანში ვილაცის საფლავის ქვაზე მიდევს თავი და შუადღის უთეთრესი ღრუბლებით გადაპენტილ ზეცას შევეყურე.

გამეჭვც, მაგრამ შენი მწამს მაინც,
შენი სიწმინდის ნათლით ვივსები,
და ვიცი, როგორც მწვერვალი ხვამლის,
ჩემი გზა აღარ დაინისლება. . .

15 სექტემბერი, ბათუმი

ბათუმში ჩამოსვლისთანავე ლიანა აღანიასკენ გავწიე.

– მწვანე კონცხზე წავიდეთ? – ეს იყო მისალმების შემდეგ ჩემი პირველი სიტყვა.

– არა, დღეს არა, – მეუბნება ლიანა. დღეს ერთ მეგობარ ქალიშვილთან მივდივარ, სიტყვას ვერ გავტყებ. . . წამო, ხელი გადაიბანე, სუფრას ახლავე გავაწყო.

ლიანამ ახალი პირსახოცი მომაწოდა და თვითონ ისევ სასადილო ოთახს მიაშურა, – მამა ჯერ არ დაბრუნებულა, – ახლა სასადილო ოთახიდან მესმის მისი ხმა, – მაგრამ ნუ დავუცდით, – მოშიებული იქნები.

სუფრას შემოგუსხედით, ჭიქები ღვინით ავაკეთ და დავილოცეთ. ღიანამ ოდნავ მოსვა, დადგა და შემომხედა.

– ჰო, მართლა, შენი ქერათმიანი თანამგზავრი როგორაა?
ერთბაშად ავიბენი.

– დიდებული თანამგზავრი გყავდა, არა? – არ მეშვება ღიანა და ისევ ის გამომწვევი სიჯიუტე დავიჭირე მის გამოხედვაში, როგორც მწვანე კონცხზე, ვარდობისთვეში.

– დიდებული. – ღიმილს ვაგებებ ღიანას გამომწვევ გამოხედვას. – დიდებული. – მერე ერთბაშად მომეძალა უცნაური სურვილი, ღიანასათვის ყველაფერი მეტქვა: – დიდებული, მაგრამ მერე გადამეკარგა, გამექცა, სიყვარულის გზებს მივსდევ და... ეს შენი სადღეგრძელო იყოს... ვინ მეგობართან მიდიხარ ამ საღამოთი?

– არ დაგიწვია სულში ფათური? – ისევ ქერათმიან ქალიშვილს მაგონებს ღიანა.

– ისევ ვიკამათო?

– არა, ისე გეკითხები. არ დაგიწვია?

– თუ ჩემი ხათრი გაქვს ამას ნუდარასოდეს გამაგონებ. ასე არ ხდება, ღიანა, ასე არ ხდება... ჰო, მართლა, რა უნდა გაჩვენო, შენთვის სიურპრიზი მაქვს... – გულის ჯიბეში მოგზაურობისას ნაწყვეტ-ნაწყვეტად ნათქვამ ლექსს ვეძებ.

– სიურპრიზი?

– ჰო სიურპრიზი. პროზიდან პოეზიაზე გადავედი.

– ჰა, ჰა, ჰა, – იცინის ღიანა, – ესეც სიყვარულის გზაა, მაჩვენე, მაჩვენე... .

– გაჩვენებ, მაგრამ ჯერ მასაც არ წაუკითხავს, ვისაც ეკუთვნის. – უკან მიმაქვს გაწვდილი ხელი.

– მაჩვენე! – წამოდგა ღიანა – არა, მე ისე გადავიკითხავ, კრიტიკოსის თვალთ. – იცინის და ფურცელს მართმევს. –

– მოიცა – მაგ ლექსის ისტორიას გეტყვი. პირველი სტრიქონები თბილისში ითქვა, მომდევნო ზედაზენზე, შემდეგ ზარზმაში და ბოლოს ბათუმისკენ მომავალ ავტობუსში დამთავრდა... – კიდევ რაღაც მინდოდა მეტქვა, მაგრამ ღიანამ აღარ მაცადა.

– მაცაღე, წაგიკითხო. – ღიანა ხმამაღლა კითხულობს და გამოკეტილი კარები, პატარა ბიჭუნა, ზედაზნის ღამე, ცხრაწყაროდან დანახული ჯავახეთი, ზარზმის ეკლესია, შუადღის მოსარკული ზეცა და გოდერძის გადასასვლელი მაგონდება.

მე მოვალ შენთან და მდუმარებას,
ცივ მდუმარებას გადავეყარე,
სადღაც გამექეცე,
სადღაც გამექეცე
და ნატვრად იქცა ჩემთვის ქვეყანა... .
ნატვრით აივსო სული და გეძებ,
შენი ხმა რეკს და მავსებს ოცნებით,
შენი ღიმილი მომაფრენს შენსკენ,
გამექეცე,
მაგრამ მაინც მოგწვდები.
შენს ღიმილს ვეძებ და ბნელ ღამეში
უმზეო ფიქრთა დამდგარა ჯერი,
და ჩემს იღუმალ სიმწუხარეში
გული ხევი,
სევდა – ნამქერი.
გამექეცე, მაგრამ შენი მწამს მაინც,
შენი სიწმინდის ნათლით ვივსები
და ვიცი, როგორც მწვერვალი ხვამლის,
ჩემი გზა აღარ დაინისლება,
მე გზებს მოვყვები, გიხმობ და გეძებ,
შენი ხმა რეკს და მავსებს ოცნებით,
შენი ღიმილი მომაფრენს შენსკენ,
გამექეცე, მაგრამ მაინც მოგწვდები.

ღიანამ კითხვა დაასრულა. მე მას აღარ ვუცქერი. ჭიქებს ვავსებ.

- ეს დაუნისლაგი გზების სადღეგრძელო იყოს, - ვამბობ და ლიანას მის ჭიქაზე ვანიშნებ.

ლიანამ ხელახლა გადაიკითხა ლექსი. მერე უხმოდ დამიბრუნა. ლექსზე აღარაფერი უთქვამს.

- რამდენ ხანს დარჩები ბათუმში? - მკითხა და ახალი კერძი გადმომაწოდა.

- არ ვიცი, შეიძლება, ხვალ წავიდე.

- გურამ, დილით მოდი. - მერე ისევ ჩვეული ორღესული ღიმილი აისხეს ლიანას თვალებმა - მეც მაქვს შენთვის სიურპრიზი. . .

წამოვედი. მთელი საღამო მარტო გავატარე. მწყინდა, რომ ლიანამ ლექსის გამო არაფერი მითხრა. არა, ლექსი არც მე მომწონს, მწყინდა, რომ ნანაზე მეტი არაფერი თქვა. ლექსიც იმიტომ ვუჩვენე. მინდოდა რამე ეკითხა. მე ვუამბობდი გემბანზე წაკითხული ნოველისა და კიევიში გატარებული დღეების შესახებ. ყველაფერს ვუამბობდი. ვუამბობდი და ესეც შეეხებოდა ჩემთვის.

ზღვის პირას ვდგავარ. სექტემბრის მშვიდ ლაინისფერ ზღვას გავსცქერი, მზე სადღაც დასაღიერში იძირება და ზღვისპირა პარკში უკუღმა ტრიალებენ ჩრდილები. აჭარის მთებიდან აღრეული მწუხრი ეშვება.

25 სექტემბერი, ბათუმი

მე და ლიანა მწვანე კონცხზე მივდივართ. მეორე დღესვე ვაპირებდი ბათუმიდან გამგზავრებას, მაგრამ ლიანამ არ დამანება. მზიას დავურეკე. ქერათმიანი ქალიშვილი ჯერ კიდევ არ იყო თბილისში მიბრუნებული. ამ ამბის გაგებამ გაურკვეველი შიში მომგვარა. უკვე აღარ ვიცოდი, რა მექნა, ლიანას აყვები და ბათუმში დავრჩი.

მე და ლიანა ყოველდღე ერთად ვართ.

- იქნებ სიზმარი იყო, ლიანა, ყველაფერი? იქნებ არ ვუყვარვარ და. . .

- პროზიდან პოეზიამდე ავმადლდით, ახლა კი სექსპტიციზმი იწყება?

- მაშ რას ნიშნავს ეს გადაკარგვა?

- ალბათ, ესეც სიყვარულის გზებია.

მწვანე კონცხზე ავადწიეთ თუ არა, ლიანა შედგა.

- ოდესის შემდეგ იყავი დედასთან?

გამიკვირდა.

- რატომ მეკითხები?

- არა, იყავი?

- არ ვყოფილვარ. რატომ მეკითხები?

- გახსოვს, რომ გითხარი, მეც მაქვს მეთქი შენთვის სიურპრიზი. ჯერ შემპირდი, რომ ხვალ წახვალ ლეჩხუმში.

ვერაფერი გაეუბე.

- დედა და ლეჩხუმი რა შუაშია?

- წახვალ? ისე არ იქნება სიურპრიზი.

უნებურად ავენთე.

- არ იქნება და. . .

- ნუ იქნება არა? მერე არ ინანო.

ახლა უკვე დავინტერესდი.

- გარკვევით მითხარი, ლიანა.

- წახვალ?

გამეცინა.

- წავალ, წავალ ოღონდ მითხარი.

- იცოდე, სიტყვა არ უნდა გატყდეს. ჩვენს ძელსკამთან დამხვდი, მე ახლავე მოვალ. - მითხრა ლიანამ და ზვისპირზე გადამდგარი ტევრისკენ მიმავალი გზაზე დამტოვა. ერთხანს გაუნძრევლად ვიდექი, ფერდობზე ჩამავალ ლიანას ზურგს შევეყურებდი. შემობრუნდა. დამინახა და ხელი დამიქნია.

- წადი, ახლავე მოვალ.

გაოგნებული ვიყავ. ვერაფერი გამერკვია. რაღაც უცნაურად დაიხლართა ყველაფერი ჩემს ირგვლივ.

შორიდანვე დავინახე: ჩვენს ძელსკამზე ვიღაც იჯდა. გამობრუნება დავაპირე და სწორედ ამ დროს ვიცანი. ის იყო, ის. მისი ქერა თმები ვიცანი და მერე აღარ მახსოვს ძელსკამთან როგორ გავჩნდი.

– ნანა!

ერთბაშად და მოულოდნელად აფეთქებული სიხარული სხვას ვერაფერს ამბობდა:

– ნანა! ნანა! – თავისი ნათელი ღიმილით გამიღიმა. შევცქერი და ვერაფერს თქმას ვერ ვახერხებ. მისი თეთრი, თეთრი ხელი მიპყრია ხელში და ჩემივე გულისძგერას ვგრძნობ, ისევე, როგორც მაშინ, როცა მისი ბინის ზარი ჩამოვრეკე.

– იცი, გურამ, მე ერთი ლექსი მითხრეს და ასე გადავაკეთე. – ბუნდოვნად მესმის მისი ხმა და მერე ვერკვევი:

შენ მოხველ ჩემთან და მდუმარებას,
ცივ მდუმარებას გადაეყარე,
მე გაგექცეო,
მე გაგექცეო,
და ნატვრად იქცა შენთვის ქვეყანა.

– ესაა ლიანას სიურპრიზი? – ვეკითხები და მის გვერდით ვჯდები. ჩემს საყვარელ თმებზე ვეფერები და მიხარია, ისევ მის ახლოს რომ ვარ, ისევ რომ შემომცქერიან მისი თაფლისფერი თვალები, ისევ რომ მიღიმის ჩემი სიცოცხლე.

– ესაა. ახლაც უმზეოა ფიქრები?

– სად გადაიკარგე. რას ნიშნავდა ყველაფერი ეს, რას ნიშნავდა კითხვის ნიშანი?

გაგექცე, მაგრამ ეს გწამდეს მაინც,
შენი სიწმინდის ნათლით ვივსები.
და ვიცი, როგორც მწვერვალი ხვამლის,
შენი გზა აღარ დაინისლება.

მითხრა და წამოდგა.

– არა, ახლა ამაოდ არ გიბრუნებ შენსავე სტრიქონებს. მართლაც მავსებდა შენი სიწმინდის ნათელი. მაგრამ მეტს მაინც ნურაფერს მკითხავ. მე მითხრეს, რომ ლექსებში მიღიხარ. მზიას დეპრესიას მიიღებ და მერე ყველა იდუმალეობა ერთბაშად გაიხსნება.

– ეს შეხვედრა რაღას ნიშნავდა?

– აღარც მე შემეძლო უშენობა. მაგრამ მცირე ხნის მარტოობა კვლავაც მჭირდება. – მითხრა და ისევ გამიღიმა, – წამო, გავიაროთ.

მივდივართ. ლიანა აღარც მახსოვს. მიყვებით უზარმაზარი ხეების ჩრდილებით დაბურულ გზას და, ასე მგონია, ყველაფერი ჩემს ბედნიერებას შეხარის ამ წუთში. ეს ტევრებიც, ეს ზღვაც, დაბურულ შტოებში დანახული იისფერი ზეცაც, ეს ადამიანებიც, გზადაგზა რომ გვხვდებიან.

– გენატრებოდი? – ვეკითხები და წამიერად ვაჩერებ. არაფერი მითხრა. შემომხედა და ისევ გააგრძელა გზა. ახლა უკვე მზიანი ფიქრები მივსებენ სულს და მინდა ეს ბილიკი სულ ასე გაგრძელდეს.

– მეტი აღარაფერი გკითხო?

– აღარაფერი. თუნდაც მომიტევე, თუნდაც მაპატიე, მაგრამ მაინც აღარაფერი მკითხო. ხვალ კი, ხვალ მაინც წადი, წადი. . .

„– იყავნ ნება შენი“ – ხმადაბლა ვუთხარი, ისევ შევაჩერე წამიერად და ჩემ საყვარელ თმებზე ვაკოცე.

– ლიანა აღანია სად გაიცანი?

– შემთხვევით. ქუჩაში მოეკრა ჩემთვის თვალი და შენი გამგზავრების სადამო მოპგონებია. ვუცვნივარ. წამომეწია და მერე როცა უშენობა აღარ შემეძლო, შენზე ვსაუბრობდით, ლიანა უცნაურად მოჭუტავდა თვალებს და საუბარს ყოველთვის ასე ამთავრებდა: – „ეხლა გურამი

აღბათ არქივებს ქქავს“ იტყოდა და მერე დაუმატებდა: „ვინ იცის, იქნებ შენს შემდეგ აღარც შეუხედავს მუზეუმში . . .“

მწუსრისას გამოვბრუნდით. ბოტანიკური ბაღის კარებთან ლიანა ალანის გადგეყარეთ.

– რამდენი ხანია გელოდებით. – განგებისად განაწყენებული კილოთი მეუბნება ლიანა.

– გვაპატიე, ძვირფასო მეგობარო, – თავს ვიდრეც ლიანას წინაშე, – ამ ერთხელ შეგვინდე, სულგრძელად შეგვინდე.

გვიან, ღამით, როცა ნანას დავემშვიდობე, გზადაგზა დაწერილი ლექსი დაგუტოვე და ლექსებში წასვლა აღვუთქვი, ლიანამ მკლავში ხელი გამომდო და მეუბნება: – დიდებული თანამგზავრია, არა? – მიუტევებდი?

ერთბაშად ვერ მივხვდი რას მეუბნებოდა.

– მიუტევებდი?

ვერაფერი ვუპასუხე.

– ასეა, ესეც სიყვარულის გზებია. ჩუ . . . მეტი არაფერი სთქვა, – ტუნზე ხელი მომაფარა ლიანამ და ვარდობის თვის ის საღამო გამახსენდა, როცა პირველად დამანახა ნავსადგურში მღვარი ქერათმიანი ქალიშვილი და პირველად მკითხა. – „მიუტევებდი?“

28 ნოემბერი, თბილისი

მე და ნანა კონსერვატორიიდან გამოვედით. რუსთაველის პროსპექტისაკენ დავეშვით და ფეხით გაეუყევით გზას.

უკვე ღამის 12 საათი სრულდება. დაცარიელებულ პროსპექტს მივყვებით და ვსაუბრობთ.

– მატარებელმა სამი საათი დააგვიანა. შუადღისას ჩამოვედი, სახლში წუთით შევირბინე და უმაღვე მზიასკენ გავიქეცი. უნდა გენახა როგორი აღელვებული დამხვდა მზია. – ვეუბნები ნანას და თან ელექტროს მიმქრალ შუქზე მის სახეს შევცქერო. ოდნავ ცივა, ნანა მისმენს და მე მიხარია, ამ ღამეში მარტო რომ ვართ, ერთმანეთს რომ შევცქერით და ვსაუბრობთ, – მზიამ დამინახა თუ არა დაგვიანება მისაყვედურა, შენთან ვაპირებდი წამოსვლასო, მერე ორი ბილეთი შემომამჩნია.

გავეოცდი.

„– სად მივდივართ მზია?“

„კონსერვატორიაში. ჩქარა, თორემ ექვსისთვის საღამოც იწყება. ნანა გველოდება. აღბათ დელავს.“

– დელავდი?

– ვდელავდი. არა რაღაც უფრო მეტი იყო. მეექვსე თვეა ამ დღეს ველი, მიტომ განვმარტოვდი, გავიქეცი და ცივი მდუმარება შეგატოვე. უკვე ყველაფერი უნდა დასრულებულიყო და შენ არსად სჩანდი. სხვა ვერავინ ვერ გამიგებდა . . . არა ასე არ მინდოდა მეთქვა. სხვა ასე ვერ გამიგებდა, ასე ღრმად. რას ფიქრობდი? მზიას რომ მოჰყავდი?

– არაფერს. მთელს ჩემს მარტოობაში შენი მცირე ფორმიანი პიესები ერთხელაც არ მომგონებია. ვერ გამეგო, რისთვის მომიყვანა მზიამ კონსერვატორიის დიდ დარბაზში. პროგრამაშიც არ ჩამახვდა და ვლდასავით შემომესმა კონფერანსიეს ხმა. რაღაცნაირად დამარცვლა იმ გოგონამ: ნანა მეტრეველი, სიმფონიური პოემა „ადამიანები“, და უმაღვე ცისკრის ზარების რეკვა ვიგრძენი.

– იცი გურამ, ჩემს ბუნებაში რაღაცნაირად გადაექსოვა ერთმანეთს „სიკვდილი უდაბნოში“, „შურისგება“ და „ღიალოგები.“ მერე ყველაფერი ამოძრავდა. უსაზღვრო ენერგიას ვგრძნობდი და გამუდმებით რაღაც ჟღერდა, ხმები, ათასგვარი ხმები. მე ველოლიავებოდი ამ შთაგონებას და გაგექეცი. მარტოობა მინდოდა. ეს ხმები არ უნდა გამფანტვოდა, არ უნდა გამბნეოდა. ახლა ადვილია ყრუ მდუმარების მოტევა?

– ნანა, კიდევ სთქვი რამე, კიდევ . . .

– უცნაურმა სიწმინდემ შემძრა და . . .

– წელან ვიჯექი, ვუსმენდი შენს მუსიკას და თითქოს კავკასიონის მწვერვალებს ვხედავდი, ჩემი საყვარელი კავკასიონის მწვერვალებს, თეთრ, ქათქათა მწვერვალებს. მერე კი, ბოლოს, როცა გმირული ტონებით აჟღერდა მთავარი თემა, ისევე ვიგრძენი ცისკრის ზარების რეკვა. მე ტაში მაინც არ დამიკრავს არ შემეძლო, შენ გეძებდი, შენ მინდოდი და გახსოვს. . . მაინც ხომ მოგწვდი. . . და ან. . .

შევდექი.

ნანაც შედგა

– გცივა?

– არა. განმარტოება აღარ დაგვჭირდება. მე მადლობელი ვარ შენი, ნანა. არა, ცუდად ნუ გამიგებ. რაღაცნაირად ამადლებულად ვარ შენი მადლობელი.

– მადლობელი? რისთვის?

– შენი სიწმინდისათვის, შენი „ადამიანებისთვის“.

– სიწმინდისათვის?

ვიგრძენი, რომ ჩემი ნათქვამი ვერ გაიგო.

– ჰო, როგორც გაიგებ, სულერთია. სიწმინდისთვის. შენი სულისთვის და . . . – მეტი ვერაფერი ვთქვი. ნელა მოვდიოდით. მერე გვიან დაგპარი სიტყვა და გზადაგზა დაწერილი ლექსის სტრიქონები გავიხსენე:

გამეჩქვც, მაგრამ ხომ მოგწვდი მაინც,

შენი სიწმინდის ნათლით ვივსები,

და ვიცი როგორც მწვერვალი ხვამლის,

ჩემი გზა აღარ დაინისლება.

– არა გურამ არ გაგპკვევივარ. შენთან ვიყავი, შენით და შენი ვნებებით, შენი სიწმინდით ავსებულდი.

IX

ორბელიდან უთენია წამოგვდი და გეოლოგებს ველზე გასვლამდე ჩამოგუსწარი. წინა საღამოს ბიძაჩემისგან დეპეშა მივღეთ. მამაჩემის ავადობას მატყობინებდა და სასწრაფოდ თბილისში ჩასვლას მოხოვდა. წინა საღამოს მობრუნებული დავითი გამოძევა და დილის ცხრა საათისათვის უკვე ქუთაისისკენ მივდივართ მანქანით.

მანქანა ნელა მოძრაობს. ჰესისა და დაბის მშენებლობისათვის დატვირთული მანქანების მთელი ქარავანი მოდის ქვევიდან და გვერდს ძლივს ვუქცევთ.

დაღვრემილი ვარ და დავითი ჩემს გახალისებას ცდილობს, საუბარში მითრევს.

– ხვამლი მაინც ვერ ნახე, არა? „ბედია მაყივნებელი“, ვნახავთ. ქვეყანას იქიდანაც გადავხედავთ. ორბელის უღელტეხილი მოგეწონა? – მეკითხება და თვითონვე განაგრძობს – ორბელი საქართველოს არც ერთ ზეკარს არა ჰგავს. ჯვარზე ნაქარი, ერთფეროვანი ტინები დღის თვალს, სურამზე უთვალავი მწვერვალი ხმავს მზერას, ორბელი კი საგანგებოდაა შეჭრილი ხეობების შესაყარში. მანქანის ყველა მობრუნებაზე ახალი სანახები ჩნდებიან, მწვერვალებიდან კი ერთბაშად ყოველ მხრით იშლება სამზერი.

– მე არ ველოდი ასეთ სილამაზეს. მბორგავი ლაჯანური სადღაც ძირს დარჩა, მერე თანდათან უფსკრულში ჩაეშენენ ნარინჯისფერი ბექობები, ანაზდად სადღაც შორს ხვამლმა წამოყო თავი, მერე საირმემ, მერე სვანეთის მთებმა. ცხენისწყლის ხეობას გადავადექით და მოვიხიბლეთ: ზურმუხტისფერი მთები, გორმახებზე მზისფერი, ქარვისფერი ვაზები, ლაჯანასა და ცხენის წყლის ვერცხლის ზოლები, სადღაც ხეობებში ჩაკარგული სოფლები . . . ცაგერის თავზე კი სვანეთის კარიბჭე და მურის ციხის ნაცრისფერი ნანგრევები.

დავითი წინაღამის წვიმისაგან ჩამორეცხილ ბექობებსა და ატალახებულ გზას გაჰყურებს.

– წუხანდელ წვიმას, მთლად გადაურეცხავს ყველაფერი. ჰო, მართლა, შენ სად მოგისწრო წვიმამ?

– ორბელში.

– ორბელში? დამე სად გაათიე?

– გელოვანების ოჯახში

დავითი ერთბაშად მომიბრუნდა.

– ქეთევანთან?

მე წუხელ უსიტყვო და მწუხარე ქალისთვის სახელი არ მიკითხავს. დავითს მისი გარეგნობის ნიშნებს ვუთვლი და ვეკითხები:

– იცნობ?

– ვიცნობდი. გურამ გელოვანის დედაა. ახლაც მეღის, ვეღარ ავდივარ. ვაჟის ამბავს ვერასოდეს გავუმხელ. გული არ მეყოფა. ელოდოს. იმედსა და მოლოდინს ვერ წავართმევ.

– გურამს ომამდეც იცნობდი?

– არა. ომის მეორე წელს შემოგვიერთდა. ეჰ, რა ვაჟკაცები შეიწირეს ომის წლებმა. სიცოცხლეს შეჰხაროდნენ, ნათელს შეჰხაროდნენ და სადღაც მოუსაველეთში ჩაუქრათ სუნთქვა.

მე შეძრული ვიყავ. წუხელ გადაკითხული დღიურები და დავითის ნათქვამი უცნაურად ებმოდნენ ერთმანეთს.

- მისი წაგიკითხავს რამე? - ფიქრი გამაწვევტინა დავითმა.
- ცოტა რამ.
- თითონ მის ნოველებზე დიდი იყო. მისი ზოგიერთი ფრონტული ჩანაწერი დამრჩა. მერე გიჩვენებ. გასაოცარი ბუნება ჰქონდა. უცნაურად შურისმგებელი და უცნაურად დამნდობი.
- დამნდობი და შურისმგებელი?
- ჰო, რად გიკვირს, შურისმგებელსა და დამნდობ სულს გადაატანა თავი.
- მე მგონია, დიდი სულის შურისგებამ აღარ იცის დანდობა.
- აღარ გედავები. შენ გჯეროდეს შენი, მაგრამ ეს შენი სიტყაბუკე ამბობს ამას. ადამიანები გვიან ვგებულობთ, რომ ცრემლი ყოველთვის სილაჩრე არაა, არამედ ზნეობაცაა და დიდსულოვნებაც. . . დიდი სულის შურისგება ხშირად ყველაზე მეტად დამნდობია, რადგანაც იგი ყველაზე მეტად გრძნობს, განიცდის და ყველაზე ღრმად განიკითხავს. არ ვიცი, შეიძლება მამაშენსაც ეამბოს ეს ამბავი შენთვის. მე მაინც გავიხსენებ, მე რომ მწერალი ვიყო, გურამ გელოვანის ამ ეპიზოდზე ნოველას შევქმნიდი და სახელად „ცრემლსა და სიკვდილის ფერს“ დავარქმევდი . . .

ფრონტის დღეებიდან ბევრი რამ დაინისლა სულში, დავიწყების ჩრდილი გადაეფარა. ალბათ ესეც ცხოვრების ამბავია, მოგონებას მხოლოდ ის რჩება ცხოვლად, რაც თავის დროზე ყოველდღიურობიდან ამოვარდნილი, უჩვეულო და მოულოდნელი ყოფილა.

გურამ გელოვანი ორმოცდაორი წლის მიწურულში მოვიდა ჩემს ოცეულში. ჩემთან რამდენიმე ქართველი კიდევ იყო და მისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია . . .

მე ფანქარი მოვიმარჯვე. აღარ გადავალ დავითის სიტყვას და ამ ჩანაწერს მის მიერ შერქმეულ სახელს შეუნარჩუნებ.

ცრემლი და სიკვდილის ფერი

გაზაფხულზე დონისპირეთის რომელიღაც სოფელში შევედით.

გაზაფხულს ყუმბარების გრიალისაგან დასამარებული, ჩამკვდარი სიცოცხლე დახვდა.ირგვლივ ყველაფერი ნაცრისფერი იყო.ყველაფერი ფერფლად იყო ქცეული.სანგრები,დათხრილი სანგრები, წყლით სავსე სანგრები, ტალახი, ჭვარტი,დამძიმებული ჩამოძონძილი ხეცა და ჩონჩხად ქცეული ნასოფლარი, ნასოფლარის ტრამაღი,ნასოფლარის სევდა...

ყველაფერს მაინც გაზაფხული ერქვა. . .

ნასოფლარში ერთი კვირა დავყავი. დონის გადაღმა გერმანელების გამაგრებული პუნქტი იყო და მაშველს ველოდით. იერიშზე გადასვლის წინ ოცეული მთელი დამე ფხიზლობდა. რძისფერ რიჟრაჟზე უკანასკნელად ჩამოვუარე ჩემს ბიჭებს და ბლინდაჟისკენ გავსწიე.ასეულის უფროსისათვის უკანასკნელი პატაკი უნდა გადამეცა.

ახლა არ მახსოვს: გელოვანს პირდაპირ წავადექი თავზე თუ პირველად მისი ხმა შემომესმა. მე ცოტა პოეტური ბუნების კაცი ვარ. მაგრამ იმ წუთში, იმ რძისფერ რიჟრაჟზე პოეზია სადღაც შორს იყო, იმ დიდი ომის მიღმა. იმ ღრმა და შენიღბული სანგრების მიღმა, იმ ნაცრისფერი და უსიცოცხლო გაზაფხულის მიღმა.

ყურს არ დავუჯერე.

შორიახლოდან ხავერდოვანი ხმით დარხეული ლექსის სტრიქონები შემომესმა. ვიღაც გაზაფხულს უხმობდა,იისფრად და მარჯნისფრად აფეთქებულ გაზაფხულს,მაღალ უძირო ხეცას,მშვიდ ზღვას უხმობდა,სიცოცხლესა და შემძვრელ სიყვარულს უმღეროდა.

ხმას მივყევი და რძისფერი რიჟრაჟის შუქზე ძლივს გავარჩიე გურამ გელოვანის სახე.

სველ მიწაზე იწვა. თავქვეშ აირწინალი ამოედგა. ცალი ხელით მკერდზე გადაწვენილი შამხანა ჩაებღუჯა. ჩემს დანახვაზე წამოიწია. წამოდგომა არ დავანებე.ხელით ვანიშნე. წამიერდ ჩავიმუხლე. დადუმდა. მერე, ეტყობა წამიერ მდუმარებაში რაღაცას გადააბიჯა და ლექსი განაგრძო.

შემდეგ დიდხანს ვიყავით ასე ორივენი. უხმოდ-გაუნძრევლად. ვგრძნობდი: უნდა მეთქვა რაღაც, მაგრამ სიტყვა ვერ მოვინახე. თვითონ კი არც მიცქერდა. ობისფერ ზეცას შეჰყურებდა. უცნაურად ნაღვლიანი მეჩვენა.

–მალე საარტილერიო ცეცხლი გაიხსნება. –ვთქვი და თვითონვე მეუცნაურა ჩემი ნათქვამი. ნათქვამიცა და ხმაც.

გურამი წამოჯდა.

– გეუცნაურა ლექსი? – რაღაც ჯიუტად მკითხა და გამომწვევადაც. ვერაფერი ვუპასუხე.

– ლექსი. თან არც ერთი წიგნი არ ჩამომყოლია. ახლა ვნანობ.მეგონა; შაშხანის სიახლოვე პოეზიაზე ფიქრს ჩაკლავდა. ახლა კი-ხელი ჩაიქნია-ახლა კი. . . უცნაურად, ერთბაშად დამეუფლა რაღაცნაირი სინაზე. . . რაღაცნაირად მძიმე მაქვს ბუნება, ფერებს ეძახის სული. . . გინახავს რიონის ხეობის გაზაფხული, როგორ ერთბაშად აფეთქდება მარჯნისფრად და ლურჯად. . . ფერებს ეძახის სული და ირგვლივ უფერული სევდაა, ჩონჩხად ქცეული ველის სევდა... მაღალი ზეცა მენატრება, ამ ფერფლმა და ნისლმა დამანელა...

მეტი არ გვაცალეს. სადღაც დამიძახეს. მივატოვე, მაგრამ ცნობიერებიდან მის სახეს ვერ ვიშორებდი. სივრცეებს უხმობდა და შენიღბულ ხანდაკში იხუთებოდა.

ღონის გადაღმა კვლავ უცნაურად გადავეყარე გელოვანს.

. . . განთიადისას დაიწყო საარტილერიო შეტევა. ჯერ შორეული და ყრუ იყო ქვემეხების ქუხილი. ჩვენს თავზე შუილით გადადიოდნენ ყუმბარები..დასალიერში ილეწებოდა ყველაფერი. სქელი და ზანტი ნისლი ეფინებოდა მიწას. ჰორიზონტი იწვოდა. ბოლოს ამოძრავდნენ ტანკები, მავთულხლართებსა და დანადგურ ველზე გაიკვალეს გზები, ბობღვით თესავდნენ სიკვდილს.

ქალაქი შუადღისას ავიდეთ. ირგვლივ ყველაფერი ხრჩოლაგდა. სადღაც ისევ გრძელდებოდა ბრძოლა. ჩვენს ასეულს აღებული პოზიციების გამაგრება უბრძანეს. ასეულის მეთაურმა ნახევრად დანგრეული სამსართულიანი სახლი ჩამაბარა.გვიან გავიგეთ, ამ შენობაში თურმე გერმანელთა კომენდატურა ყოფილა. გაქცევის წინ ტყვეები ერთიანად ამოეხოცათ. სისხლი და სიკვდილი იდგა სარდაფებში. ლანდებად ქცეული ადამიანები შემოგვცქეროდნენ ნახევრად ბნელში.მეორე სართულზე პირველსავე ოთახში გადავეყარე გელოვანს.

კარი შევადე და შევცბი. ოთახში ყველაფერი ერთმანეთზე იყო მიხერგილი და დახვავებული. დამსხვრეული თეფშებითა და ბოთლებით სავსე მაგიდის იქით გელოვანის ზურგი დავლანდე. სახეზე არ შემიხედავს. ზურგით ვიცანი. დაჩოქილი იყო. მაგიდას გვერდი ავუარე და თვალი შევასწარი: წინ გოგონას ცხედარი ესვენა. გოგონას ქერა თმები აშლილი ჰქონდა, სახე ჩაშავებოდა, ტანსაცმელი შემოხეოდა.

გურამმა ანახდად მოიხედა. და მომეჩვენა: სახე დაგრძელებოდა. თვალეში ცრემლი კიაფობდა. ახლოს მივედი. გოგონას დავხედე. ღიად დარჩენილი თვალეები უაზრო გახდომოდა. შეშუაპებულმა და ჩაყვითლებულმა სახემ შემზარა, სახემ კი არა სიყვითლემ. შავ-ლურჯი ტალეების ფონზე ეს სიყვითლე უფრო თვალსაჩინო ხდებოდა. რაღაც გამოუთქმელი ფერი იყო, სიკვდილის ფერი . . .

გურამს მხარზე ხელი დავადევი. ახლაც მინდოდა რაღაც მეთქვა მისთვის და ახლაც ვერ დავძარი სიტყვა. იქნებ სიკვდილის ფერზე მეტად გელოვანის ცრემლით ვიყავი შეძრული და ამიტომაც ვერაფერი ვუთხარი. თვალეები დახუჭა. მე ხელი არ მომიცილებია. წამიერად ასე ვიყავით. მერე წამოდგა.

–დავით, – ხელზე ხელი მომიჭირა, – ხედავ. ფერებს ვეძახდი და სიკვდილის ფერს გადავაწყდი. სიკვდილის წინაშე პირველად ვდგავარ ასე ახლოს. პირველად განვიცდი მას ასე ხელშესახებად.

სახე შეძრული შეძრული ჰქონდა. გოგონას თვალი ვეღარ გაუსწორა. უკან წადგა ნაბიჯი. დამსხვრეული ჭურჭლით სავსე მაგიდას გადააწყდა.

– სიყვითლე და მუქი ტალეები. თვალეები კი უფერო, უფერო . . . – ეს სთქვა ბოლოს და ოთახიდან გავიდა.

საღამოს დერეფანში შემეჩეხა. გოგონას ჩამოხეული ჟილეტის ჯიბეში ნაპოვნი ბარათი გავუწოდე.

წერილი მოკლე იყო. სულ რამდენიმე სტრიქონი.

„ჩემო ძვირფასო.

მივდივარ. ეს ბარათი შენს ოთახში დავხვდება. მივდივარ და მწამს: ისევ მოვა გაზაფხული, ისევ შევხვდებით წყალდიდობას ღონზე, მანამდე კი, იმ გაზაფხულამდე, შენი სიყვარული იქნება ჩემი მფარველი.“ შემდეგი სტრიქონები მთლად გადაშლილი იყო დაცრეცილ ფურცელზე.

მისი ამოკითხვა ვერ შეეძლო. სულ ბოლოს რამდენიმე სიტყვაც ეწერა: „რაც მიფორიაქებს სულს. შენ გეძახი, ჩემო ძვირფასო.“

გადაიკითხა და კითხვით შემომაცქერდა.

– ეს იმ გოგონას ვუპოვნე.

– ჰო, – ყრუდ სთქვა და იატაკს დააცქერდა. მერე გადმოიხარა, ყურთან მოიტანა ბაგე:

– სიკვდილის ფერმა შემძრა. ის ცრემლი ჩემი უკანასკნელი ცრემლი იყო, რაღაცნაირად დავიცალე. აწი დანდობა აღარ იქნება, იცოდე.

უცნაურად აღეწილი იყო. ეს ჩურჩულით მითხრა, საიდუმლოს განდობასავით. გაცრეცილი წერილი ხელში შერჩენოდა.

მერე თავზეხელაღებული იბრძოდა. ერთი თვის შემდეგ მძიმედ დაიჭრა. კარგახანს არაფერი მსმენია მისგან. ბოლოს, პრუსიაში კვლავ ჩემს ოცეულში მოხვდა.

გამოცვლილიყო. მარცხენა ყვრიმალზე მოუშორებელ კვალად დარჩენოდა ნაიარევი, მეწამულ კვალად გაღიმებისას ნაჭრილობევი უცნაურად იკვროდა, სახეზე პაწაწინა ღარები უჩნდებოდა. ყბის ძვალი დაღეწილი ჰქონდა.

– ფერების პოეზიას აზიარე სული? – ვკითხე, როცა ჰოსპიტალსა და ზურგში გატარებული დღეების მოგონება მოათავა.

ხელი ჩაიქნია.

არ ვიცი, რატომ არ მოვეშვი:

– რძისფერ რიჟრაჟისას ნათქვამი ლექსი გახსოვს?

– არა, ლექსი აღარ მახსოვს, დავით, იმ გოგონას სახეს ვერ ვიშორებ, მისი სახის ფერს, სიკვდილის უცნაურ ფერს...

მერე პრუსიის ზეცასაც გადაეკრა ის ნისლისფერობა, დონის ტრამალებში რომ წეწავდა გურამის სულს. ირგვლივ ისევ უფერო გაზაფხული იდგა. ისევ ხანდაკები, ღრმა და შენიღბული ხანდაკები, ისევ ჩამკვდარი სიცოცხლე, ისევ ნასოფლარების სევდა, სიკვდილის სევდა.

კენიგსბერგთან უკანსკნელი ბრძოლის წინა ღამე იყო. არ მეძინა. მარტოობას ვეღარ გაუძელი და გურამს ვუხმე. მიწურში ჩამოვიდა. ჩამოჯდა. თუთუნის შეხვევა დაიწყო. მერე მაგიდაზე გადაშლილ რუკაზე კენიგსბერგი მოძებნა, კვამლის ბოლქვებს ამოაყოლა სიტყვა.

– ხვალ დასრულდება.

– უნდა დასრულდეს.

არაფი დაუესხი. ხელი არ ახლო.

– თქვი რამე.

– რა ვთქვა

მე დავლიე, დავდგი და არ ვიცი ხელახლა რატომ გავიხსენე, ალბათ იმიტომ, რომ საუბრის გაგრძელება მინდოდა, ვკვიდხე:

– გახსოვს ხანდაკის ლექსი.

უცებ აიღეწა. არ ვიცი, რატომ ეწყინა, მეც დავიბენი. მერე თვითონ მოერია თავს.

– იცი, ასე მგონია სადღაც მიქრება სინაზე. ახლა მრისხანება მგონია სიწმინდე. მრისხანება და დაუნდობლობა, – და შემდეგ დაუმატა – სიწმინდეცა და ზნეობაც.

ყველა დიდი ბრძოლიდან რაღაც რჩება ცნობიერებაში კენიგსბერგი ზანზარებდა. ქალაქი ირყეოდა თითქოს თავის სხეულიდან ამოხტომას ღამობდა. რომელიღაც შენობაში გავმაგრდით, ნავსადგურისაკენ გაჭრა გვიბრძანეს. ერთადერთი გზა ჩვენი შენობის გვერდით ჩამავალი ვიწრო ქუჩა იყო. რამდენჯერმე გაიჭრენ ჩვენები, მოპირისპირე სახლიდან განუწყვეტლივ გვიშენდნენ ტყვიამფრქვევს. ერთხელ ვცადეთ, მეორედ, მესამედ. . . ისევ კაკანებდა ტყვიამფრქვევი. სიკვდილის დერეფნად იქცა შენობებს შუა გამოსრესილი ქუჩა.

პირველად ჩემი ოცეული შეიჭრა სახლში, რევოლვერ შეწკიპული შეყვევი მეორე სართულის კიბეებს. ჩვენი მეომრებისა და შეღეწილი კარის ზღურბლს გადავაბიჯე და დავიბენი: ფანჯრის რაფას მოხუცი გერმანელი მიჰკროდა, მის გვერდით ახალგაზრდა გოგონა იდგა. მეტი არავინ იყო.

– ვინ ისროდა. – არ ვიცი რატომ, მაგრამ ეს ვიკითხე პირველად. იქნებ ჩემ კითხვაში ჩემი გაკვირვება გამჟღავნდა.

– მე ვისროდი.

ვიგრძენი, რომ გოგონა გადათეთრებული მოხუცის სიცოცხლეს იცავდა იმ წუთში. მე გაცეცხლებული ვიყავ. . . ბრძანების შესრულება გვიანდებოდა. ვიწრო ქუჩამ და ფანჯრიდან ტუჩგაშვერილმა ტყვიამფრქვევმა შეიწირა დრო, დროცა და მრავალი სიცოცხლეც.

– დახვრიტეთ – ვბრძანე და შემოვბრუნდი. არ ვიცი, რატომ, იქნებ პირველად გელოვანს შეეჩება თვალი, იქნებ ყველაზე წინაც იდგა, ახლა მას მივმართე-გაიყვანე.

გელოვანმა ბიჯი წინ წადგა. წადგა და უმაღლ მოეშვა. თავი გაიქნია. სადღაც ჩაიკარგა ჩემი გაცეცხლება. გაცეცხება გადაეფარა ყველაფერს. შევბრუნდი, გოგონას შევხედე. იგი ისევ მოხუცის წინ იდგა და მე შემომცქეროდა. არ ვიცი ჩემი ბრძანება გაიგო თუ არა, საოცრად თეთრისასე ჰქონდა, ქერა თმა და თაფლისფერი თვალები, გახევებული იდგა, მხოლოდ ნიკაპი უთრთოდა . . .

ჩემი მეგობრები გურამს გაცეცხლებული შესცქეროდნენ. მე აგენთე. . . ჩემი ბრძანების შეუსრულებლობა იმ წუთში გელოვანის დახვრეტას ნიშნავდა, სამხედრო ბრძანების შეუსრულებლობა და ისიც სად, ცეცხლის ხაზზე, საჯაროდ, მეომართა წინაშე.

მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როცა ხელში რევოლვერის სიცივე ვიგრძენ, დავიბენი. გურამი არ მიცქერდა, არც ჩემს დაბნევას ამჩნევდა, მერე წამიერად ასწია თავი, შემომხედა და მივხვდი: მეტი აღარ შეეძლო.

– ვერ ვესვრი. – რაღაც მუდარასავით გაისმა ჩურჩული.

ანზღეულმა ხმაურმა გაჰყარა ჩვენი თვალები. გოგონას მხოლოდ ფანჯრის რაფაზე წავატანე მზერა. მერე გადაეშვა. მე შვებით ამოვისუნთქე მოხუცი გერმანელი აკანკალდა. გელოვანი ერთბაშად მიაწყდა ფანჯარას . . . აღბათ იქაც სიკვდილის ფერი იყო იმ წუთში. როცა თავი შემოუბრუნა, შევნიშნე: ის ცრემლი კიაფობდა მის თვალში, ცრემლი, იქ რომ ვნახე, იმ გოგონას გვამთან, გაზაფხულსა და წყალდიდობას რომ უნდა დალოდებოდა.

ახლაც არ ვიცი: გოგონა რომ ფანჯრიდან არ გადაშვებულყო, რას ვიზამდი. ნუთუ ხელს ხელს აღვმართავდი გელოვანზე. იქნებ ეს კითხვაა, იმ დღის მოგონებას ცხოვლად რომ ინახავს.

– ასეა, – თქვა ბოლოს დავითმა, – დიდი სული ღრმად გრძნობს. ამიტომაც იგი ხშირად ყველაზე მეტად დამნდობია. იქნებ მეც იმიტომ არ ვესროლე გურამს. მისი გახსენებისას პირველად ყოველთვის ხანდაკში ნათქვამი ლექსი მაგონდება. ის რძისფერი რიჟრაჟი რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის იქნებ მესროლა კიდევ.

– მოხუცი გერმანელი იმ გოგონას მამა ხომ არ გამოდგა? – ვკითხე დავითს. – ჰო. გოგონა თურმე მართლა თვითონ ისროდა, უკან დახეულ გერმანელებს იარაღიანად მიუტოვებიათ მათი ხალხი. მერე მამამისმა გვიამბო. გოგონა თურმე დაჭრილ სატრფოს მაღავდა სარდაფში. ამიტომაც ვერ გაჰყოლია ლტოლვილებს. . . ორიოდე თვის შემდეგ გელოვანმა სიკვდილის წინ გაიხსენა ფანჯრიდან გადამხტარი ქერა გოგონა. კვდებოდა და უცნაურად გულახდილი იყო. მაგრამ ამას შემდეგ გვიამბო ოდესმე

მამაჩემი გამომჯობინდა თუ არა, დავითს შენაპირები ჩანაწერებისთვის მივაკითხე – დაგპირდი? აღარ მახსოვს. – დიმილთ მითხრა დავითმა, საწერი მაგიდის ქვედა უჯრა გამოადო, – შენ რაღაც ძლიერ დაინტერესდი გელოვანის ბედით.

– შემთხვევით. ორბელის ბრალია. იმ დამით მისი დღიურები გადავიკითხე. ცრემლისა და სიკვდილის ფერის ამბავი თქვენ მიამბეთ და . . . დავითმა გადაყვითლებული რვეული ამოიღო, დიდხანს ფურცლაგდა, ბოლოს ჩანიშნული გვერდი მონახა და თვალი გამისწორა.

– დათქმული მქონდა, არავისთვის მეჩვენებინა. თვითონ კი მთხოვა, დედაჩემს აჩვენეო, მთხოვა, მაგრამ მე გულმა არ მომცა – შვილის სიკვდილი ვერ ვუთხარი დედას, ვერ გავუმხილე. ომის შემდეგ მხოლოდ ერთხელ შევიარე მასთან – სულ რამდენიმე წუთით. ხელახლა მისვლას დაგპირდი და აღარ ავსულვარ. რადგან ეს ჩანაწერები ქეთევანსაც ვერ ვუჩვენე, დავთქვი, არავისთვის მენახებინა. ახლა აღარ ვნანობ, რომ შენ შეგპირდი. ამ გადაყვითლებულ ფურცლებს დავიწყების ფერფლი არ უნდა წაეყაროს. არის აქ ისეთი რამ, რაც ბევრს ეყოფა შეგონებად და ფიქრად.

რადგან გვიჩვენე, ახლა იმასაც გთხოვ, რაიმე დაწერო გურამზე, ადამიანურად, თბილად. დაე ყველამ იცოდეს ჩრდილო კავკასიაში ერთ ბნელ დამეს გაჩენილი ხანძრის ნამდვილი მიზეზი.

. . . კენიგსბერგთან ბრძოლის ერთი კვირის შემდეგ ორივე დაგვჭრეს. სავლელე ჰოსპიტლიდან ბელორუსიაში გაგვზავნეს. იქაც ერთად მოვხვდით. მე მალე გამოვჯანსაღდი. გურამს კი ფილტვი დაუზიანა ტყვიამ. დიდხანს იწვალა, სისხლის ღებინება ვერა და ვერ შეუწყვიტეს.

სულ მალე გარდაიცვალა.

სიკვდილამდე ორი დღით ადრე დამიძახა. მე უკვე დავდიოდი, მითხრეს, გიხმობსო და მყისვე მის პალატას მივაშურე შემომხედა და ვიგრძენი, რომ დიდხნის სიცოცხლე აღარ ეწერა.

– მალე გავთავდები, არა? – მითხრა, თითქოს ჩემი ფიქრი დაიჭირა. – ნუ გეშინია.

მე ხმა ვერ გავეცი.

რითი მენუგეშებიანა.

– დავით, წადი, ვინმეს სთხოვე, სადმე, ცალკე ოთახში გადამიყვანე. გაკვირვებით შევხედე, გაოცება შემატყო და დაუმატა, შენთან მინდა განმარტოება, მერე რაღაცნაირად კვიმატად დაასრულა, – წადი. ხომ არ გერიდება ვისმესთვის თხოვა.

უარი მითხრეს. ამ ამბებისთვის ვის ეცალა. ბოლოს ჰოსპიტლის უფროსთანაც შევედი და გურამის ბელეტრისტობაც მოვიშველიე.

ძალიან ცუდადაა? – მკითხა მოხუცებულმა დასტაქარმა, რომელიც ომს პოლკოვნიკად ექცია.

– ცუდად. ალბათ ვერ გაითენებს.

– იცით, მე მწერლებს შორის ბევრი მეგობარი მყავს და ამ მეგობრობიდან ეს სიბრძნე შევიძინე: მათ ზოგჯერ უცნაური ახირებაც უნდა მივუტყეო, რადგან ამ ახირებასაც მათი ფაქიზი სული უდევს საფენელად. არ უნდათ ვინმეს წინაშე სიკვდილი. მარტოობას ქმნიან, მარტოობას ეჩვევიან და აქედანაა მათი ახირებული თვისებებიც.

არ ვიცი, საიდან შეექმნა პოლკოვნიკს მწერლებზე ასეთი უცნაური შეხედულება, ეს კია, რომ გურამს პატარა ოთახი გამოუყვეს.

– დაჯექი – გურამმა სკამზე მანიშნა, – შენ შემრჩი სააღსარებოდ. გეტყვი, ყველაფერს გეტყვი და ოდესმე დედაჩემსაც უამბე, ჩემს თმათეთრა დედას, ორბელში რომ მეღის, ღამეებს თეთრად რომ ტყხავს, გამუდმებით ჩემზე რომ ფიქრობს.

რატომღაც მგონია, რომ შენ გამიგებ. შეიძლება მეჩვენება, რადგანაც მახლობელთაგან სხვა არავინ მეგულება და თავს ვაჯერებ. მაგრამ მინდა მწამდეს, რომ გამიგებ, ბოლომდე გამიგებ, ყველაფერს გამიგებ, რადგანაც რაც მე უნდა გითხრა, თუ სულს არ შეგიძრავს, მაშინ . . . – მეტი ვეღარ შეძლო. ხველება აუვარდა. წყალი მივაწოდე. ვიცოდი, რომ ლაპარაკი აკრძალული ჰქონდა, მაგრამ ამ წუთში არ შემეძლო მისთვის ეს შემეხსენებინა. ახლაც მგონია, ამ შეხსენებისთვის შემეკურთხებდა და ამით მეტყოდა – „სულერთია, სიკვდილი მაინც კარზე აკაკუნებს.“ წყალი მოსვა. აჩქარებული სუნთქვა დაიცხრო და ისე შემომხედა დაშრეტილი თვალებით. – იმ გოგონას ფერი მადევს, არა? გაზაფხულსა და წყალდიდობას რომ უნდა დალოდებოდა.

მე მაინც ვერაფერი ვუთხარი. თავზე ვადექი და პირდაპირ ვერ ვუცქერდი.

– დაჯექი, – ისევ სკამზე დამსვა, – ხანდაკის ლექსი გახსოვს? იმ ღამის შემდეგ მწამს შენი. ჩემთვის ცოტა კმარა. იმ ღამით ლექსი ბოლომდე რომ ვერ მოგესმინა, შენსკენ არასდროს გამოვიხედავდი, ამ ამბებსაც არასდროს გაგიმხედი.

გახსოვს, იმ გერმანელ გოგონას რომ ვერ ვესროლე. შენ დამინდე. არ ვიცი, გოგონა ფანჯრიდან რომ არ გადამხტარიყო, დამინდობდი თუ არა. მაგრამ მაინც დამინდე. არ ვიცი, იმ წუთში რომ მობრუნებულიყავი და გეკითხა, რატომ ვერ წავდგი მისკენ ნაბიჯი, რას გეტყოდი. ყოველ შემთხვევაში სიმართლეს ვერ გაგიმხედი. ახლა ვკვდები და, რაც გინდა, ის დაარქვი ჩემ დღევანდელ ნაუბარს. მხოლოდ ერთს გთხოვ: დედაჩემსაც მოუთხრე ჩემი მონაყოლი, მოუთხრე და იქნებ ისე ძლიერად აღარ მიდარდოს.

მე რომ ამ ომს გადავრჩენოდი, ალბათ თვითონვე დავწერდი ამის შესახებ რამეს. დავწერდი და ეს იქნებოდა ყველაზე დიდი ქმნილება ჩემთვის. მიკვირს, რომ არ შევიშალე. მე ბევრს ვფიქრობდი და მიკვირს, რომ არ გავვიყდი იმ ღამის შემდეგ. ვფიქრობდი და გადაწყვეტილი მქონდა მისთვის „გზები“ მეწოდებინა. გულახდილად გეუბნები, დავწერდი და მერე კალამს ხელს აღარასდროს ვახლებდი. ახლა ვკვდები. „გზები“ დაუწერელი მრჩება, მაგრამ იმდენად ვეღარ ვნანობ, ხომ შევძელი, ხომ გავაკეთე და ეს იყო მთავარი . . . ბევრი ვერ შეძლებდა. გაბზარული სული ვერ შეძლებდა.

ნანა მეტრეველი გსმენია? ომის წინ საკმაოდ გახმაურებული იყო მისი მიღწევები მუსიკაში. – ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა . . .

დავითის რვეულიდან დანარჩენი სიტყვა-სიტყვით გადმოვიწერე. გელოვანის მიერ მოფიქრებულ სათაურსაც უცვლელად ვტოვებ.

გზები

„ერთმანეთს შემთხვევით შევხვდით და მერე სიყვარულმა თავისი გზით იარა. სიყვარული? არა, ის სიყვარულზე მეტი იყო ჩემთვის. რწმენა. სიცოცხლის რწმენა. სიხარული და შთაგონება. მე ნანახე ოცნებით ვხვდებოდი რიჟრაჟებს. მთელი მისი ბუნება ჩემთვის რაღაც იდუმალი სიწმინდით იყო ავსებული და ამ სიწმინდეს ვეფერებოდი, ვუფროთხილდებოდი და ვინახავდი. მე მას შევფერვინებოდი და ფარვანასავით ვეფლებოდი. ფიქრის და ოცნების სათავეს ვეძახდი და მის სიახლოვეს სიცოცხლესა და სიმაღლეებს ვწვდებოდი.

ნათელი სულისთვის შევიყვარე და მეგონა ჩვენი გზა ყოველთვის ასეთი ნათლით მოსილი იქნებოდა . . .

. . . ფრონტზე 41-ის ივნისშივე წავიდი. დამჭრეს და ტუაფსეს ჰოსპიტალში გამაგზავნეს.

არ შემეძლო ნანას ხმის, წკრიალა და გაუბზარავი ხმის გარეშე, მისი სახის, მისი თმების, მისი საუბრის და მისი ალერსის გარეშე გაძლება. არ შემეძლო და ჰოსპიტლიდან დეპეშა გავუგზავნე, თუ კი როგორმე მოახერხებდა, ტუაფსეში ჩამოსულიყო.

არ უნდა შემეთვალა. სხვის თვალში ეს შეიძლება ასეც იყოს, შეიძლება ზედმეტ სენტიმენტალობად ჩანდეს, მაგრამ მე არ შემეძლო მის გარეშე. მე მიხლოდა, მჭირდებოდა იგი, მისი სინაზე, მისით მოგვრილი სიხარული. მჭირდებოდა და შევუთვალე.

დიდხანს ველოდი.

მაშინ ფეხში ვიყავი დაჭრილი. ჯერ განგრენა ეგონათ, მოკვეთა უნდოდათ. ბოლოს აღარ მომჭრეს, მაგრამ ამასობაში საკმაო დრო გავიდა. გერმანელები უკვე ნოვოროსისკს გამოსცდნენ. მტრის მიერ დანგრეული რკინიგზის აღდგენა მთავრდებოდა და ჩვენი ევაკუაცია დღე დღეზე იყო მოსალოდნელი.

ვიწექი ტკივილისაგან შეძრული, თვალებს დავხუჭავდი და ჩურჩულებდი:

ნეტავ სადა ხარ, ჩემ მოხმობა
ჩემი ძახილი თუ მოქვთ ქარებს,
მე უშენობა და უშენხმობა
ზვავად მექცა და ქვეშ დამიტანებს.

უკანასკნელად რომ გამიყვანეს კიონსილიუმზე, სწორედ იმ დღეს დაბომბეს გერმანელებმა ტუაფსე პირველად. პალატაში მობრუნებისთანავე კი, რომელიღაც ავადმყოფი მომვარდა და ნანას ჩამოსვლა მახარა. ტანჯვის გზებით ველო. სოხუმიდან საევაკუაციო გემს სონამდე ამოჰყოლოდა, მერე შემთხვევით ფრონტზე მიმავალ ჩემს მეგობარს გურამ ბარქაიას გადაჰყროდა, მანქანით ველო ფრონტზე მიმავალ მებრძოლებთან ერთად.

ეს იყო უბედნიერესი დღეები ჩემს ცხოვრებაში. მე მას დიდხანს ველოდი. მთელი თვე. ჩემს ჭრილობაზე მეტად მღელვებდა მისი დუმილი და იგი უკვე ჩემთან იყო.

ერთმანეთს დიდხანს შევცქეროდით მდუმარედ. ვგრძნობდი, რომ იგი ჩემს წამოდგომასა და მიგებებას ელოდა, მერე ერთბაშად მიხვდა ყველაფერს, სახეზე ჩრდილმა გადაურბინა და თვალეებზე ცრემლები აბრწყინდნენ.

– გურამ, – ხმადაბლა თქვა და ჩემთან მოვიდა. მე ბედნიერი ვიყავი, ჩემთან იყო ჩემი რწმენა, ჩემი სიცოცხლე და უკვე აღარ მახსოვდა ფეხი და ჭრილობა. საალერსო და თბილი მაინც ვერაფერი ვუთხარი.

- დიდხანს გელოდი.
- მე სიკვდილს ჩავხედე თვალეებში. ასე მეგონა, დაგკარგე.
- ჩემი დეპეშა.

– ათი დღის წინ მომცეს. თურმე მიმაღავდნენ. იცოდნენ, რომ წამოვიდოდი. მეგონა დაგკარგე და ჩემთვის აღარაფერი აღარ არსებობდა. – იგი ტიროდა, გადატანილი მწუხარებისაგან და სიხარულისაგან ტიროდა, მისი მღელვარება მეც გადმომედო. პალატაში ვისაც სიარული შეეძლო, ჩემს საწოლთან მოგროვდნენ.

იმავე საღამოს გერმანელებმა ხელახლა დაბომბეს ტუაფსე. ყველაფერი აირია. ევაკუაცია დაიწყო. ჰოსპიტალსაც შუალამისთვის უბრძანეს მზადყოფნა.

– ხანმოკლე გამოდგა თქვენი პაემანი, – სინანულით მითხრა მთავარმა ქირურგმა – თქვენი სტუმარი მოქალაქეთა ეშელონს უნდა გაჰყვეს ახლავე, ჯერ არ ვიცით, რომელი ეშელონი წავა წინ.

– ვერ წავაღ. – ისეთი ხმით მითხრა ნანამ, მივხვდი, რომ შეგონება ამაო იქნებოდა. მაინც ვცადე:

- ნანა, უნდა წახვიდე. ყველასთვის ასე ჯობს. ჩემთვისაც. გული მოსვენებული მექნება.
- ვერ წავაღ.

– წახვალ. მე რომ გთხოვ, წახვალ.

თავი აიღო, საყვედურთან ერთად რაღაც სხვაც იყო მის გამოხედვაში.

– შენ წახვიდლოდი?

დავიბენი. თვითონ კი მეტი აღარ მაცალა.

– წახვიდლოდი? მითხარი, მითხარი, წახვიდლოდი?

რა უნდა მეტქვა

– შენ სულ სხვას ამბობ, ნანა.

– შენ უფრო გიყვარვარ?

გამეცინა, თავი დაუქნიე.

– ჰო, წახვალ?

თავი მკერდზე მომადო და ატირდა.

– არა, არა, – თავზე ხელი გადაუხსვი – შენ მეტად გიყვარვარ. მე არ მიყვარხარ, სულ არ მიყვარხარ და შენთან ყოფნა არ მინდა. კმარა საბუთად?

– არ წავალ. ნუღარაფერს მეტყვი. გახსოვს, ოდესღაც გზების შესახებ ვსაუბრობდით. ახლა ერთად ვართ და ისევ გავაოროთ გზა? მე არ შემიძლია უშენობა, გესმის?

არ წავიდა. ვერ მიმატოვა. მწყინდა და მიხაროდა მისი სიჯიუტე. ბედნიერებით ვიყავი ავსებულნი. იგი კვლავ ჩემთან იქნებოდა, კვლავ გავიგონებდი მის წკრიალა ხმას, კვლავ სიყვარულით შემხედვავდა და კვლავ ვისაუბრებდით ჩვენი თბილი, წყნარი საუბრით, რომლის დროსაც თითქოს ერთმანეთს ვექსოვებოდით.

. . . ეშელონი ტუაფსედან შუალამისას გავიდა. არასდროს დამავიწყდება ის დამე. ბომბადმშენები განუწყვეტლივ ზუზუნებდნენ. კუნაპეტში ყოველ წუთს ჩნდებოდნენ ცეცხლის ენები და აფეთქების ხმა ყველაფერს ძრავდა. ბომბები ჭადრაკულად მოჰყვებოდნენ მატარებელს. ბეწვის გზაზე მივიღოდი. არავის მოუხუჭავს თვალი. მძიმედ დაჭრილები და ისინი, რომელთაც სიარული არ შეეძლოთ, სხვადასხვა ვაგონში ვიყავით განაწილებულნი, რათა მატარებლის, აფეთქების შემთხვევაში უმწეოდ არ აღმოვჩენილიყავით. საჭიროებისას ფეხზე მოსიარულე ავადმყოფეიც უნდა მოგვეშველებოდნენ.

მე ვაგონის ბოლო კუპეში ვიჯექი. ნანა თავთან მეჯდა. აფეთქების ხმა აკრთობდა, ხელს ნერვიულად მიჭერდა.

– გეშინია? – ვკითხე და ჩამოწოლილ სიბნელეში ვაკოცე.

– მეშინია.

– უნდა დაგეჯერებინა.

– რა?

– უნდა წასულიყავი.

– მაშინ აღარ აფეთქდებოდნენ ბომბები?

– შენ გაასწრებდი.

– შენ?

ხელი მოვხვიე.

– დაწვეები ჩემს გვერდით?

– არა, ასე ვიყოთ.

– მე ცოტას მივიწევი. დაწექი, იქნებ დაგეძინოს.

– არ მინდა დაძინება. შენ ჩაიძინე. მე ასე ვიქნები.

– არ შეიძლება. თქვი რამე.

– რა ვთქვა?

– გახსოვს, ჩვენი პირველი შეხვედრა. რა მზე იყო, რა ნათელი დღე, რა წყნარი ზღვა . . .

– გახსოვს ჩემთან და მზიასთან რომ მოხვედი. „სიკვდილი უდაბნოში“ მინდა მოვისმინო . . .

. თურმე . . .

– თურმე ქერათმიანი გოგონასთვის მინდოდა მეცქირა. მე იმ საღამოსაც შენზე ვსაუბრობდი ლიანა აღანიასთან. იმ საღამოს ლიანამ გამომაცილა. მთელი დღე ერთად ვიყავით. ზუსტად მახსოვს ჩვენი იმდღევანდელი საუბარი.

„როცა ვინმე შეგიყვარდება, მერე მისი ზნეობრივი მანკი ყოველთვის მიტევებულია, – მეუბნებოდა ლიანა – გულს კი, გულს, ბზარი უჩნდება და მერე საიდანღაც მოდის სევდაც და გაბზარული ღიმილიც.“

მე არ ვეთანხმებოდი.

„ – მანკის მიტევებაშიც არის რაღაც უზნეობის მსგავსი, ხოლო ზნეობა ვერც სიყვარულმა ვერ უნდა დასჯაბნოს – მეტქი.“

„შენ არ მიუტყევი?“

„უაღამიანობას არასოდეს.“

„შენ მუდამ ასეთი ახირებული იყავი“. – მითხრა ლიანამ და მე გამეხარდა. მისი ეს სიტყვები მუდამ ჩემს გამარჯვებას ნიშნავდა.

იმ საღამოს ნავსადგურში დაგინახეთ. მზია დედამისს ესაუბრებოდა. შენ მათ თავზე ადექი და ხალხს შესცქეროდი.

„ხედავ, რა რა მშვენიერი გოგონაა? – მითხრა ლიანამ.“

„მეც შევამჩნიე. დიდებული თანამგზავრი მეყოლება – მეტქი“ – მივუგე და რას ვიფიქრებდი, თუ მართლა ასე მოხდებოდა. არა შენ, მხოლოდ შენ უნდა შემყვარებოდი. – ვუთხარი ჩემს მკერდზე მოყრდნობილ ნანას, ვაკოცე და მერე დავეუმატე: – მე მაშინვე, ნავსადგურშივე მივხვდი, რომ ეს ასე იქნებოდა.

ვერ ვხედავდი, მაგრამ ვგრძნობდი, როგორ გაელიმა ამ სიტყვებზე.

– მერე?

– მერე . . . ლიანას თვალები გაუბრწყინდა. პირდაპირ შემომხედა და იმდღევანდელი ჩვენი საუბარი მომაგონა:

„არც ამას მიუტყევი? – მკითხა და შენზე მანიშნა.

მე არაფერი ვსთქვი.

„მიუტყევი?“ – ჩამაცვიდა ლიანა.

„ოცნებისდარი ქალიშვილია, მისატყეველად . . .“

„არ ექნება საქმე, არა? რომ გაუხდეს?“

– წუხელ საღამოსაც რატომღაც ლიანას ნათქვამი მომაგონდა. მე დაგიჟინე, მაგრამ შენ მაინც რომ წასულიყავი, პირველ ეშელონს რომ გაჰყოლოდი . . .

– არ მომიტყევი?

– არა, ამას ვერ გეტყვი. რაღაცნაირად დამწყდებოდა გული. მე არ წავიდოდი.

– მე შენით ვსუნთქავ, იცოდე. – მითხრა ნანამ და მერე ორივენი დავდუმდით. ახლა ლაპარაკი აღარ იყო საჭირო, ახლა უხმოდ ვექსოვებოდით ერთმანეთს.

. . . ყურთახმენის წაღებმა ხმაურმა გამომარკვია. ჩამძინებოდა. მომეჩვენა, თითქოს თავში რაღაც დამკრეს. ერთბაშად წამოვიწიე. ყველაფერი ზანზარებდა. ყვირილი, ხმაური, კენესა ერთმანეთში იყო არეული. ყველა გასასვლელისკენ ისწრაფოდა და ერთმანეთს აწყდებოდა.

– მოგვარტყეს? – ძლივს მოვისაზრე.

ნანას ვიღაც მიეშველა. კართან საშინელი ვიწროობა იყო. სიჩქარესა და ვიწროობაში ჭრილობა რაღაცას გაგვარი და გონი დაგვარგე. როცა ცნობიერება დამიბრუნდა, ცეცხლწაიკიდებული ეშელონიდან შორს ვიყავი, სიბნელეში ძლივს მივიკვლევდით გზას. მე და ნანას გენადი მოგვყვებოდა, ჟურავლოვი, ჟურავლოვს დაჭრილი მკლავი ბოლომდე მორჩენილი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც ვერ მიგვატოვა.

ახლა უკვე ვნანობდი, რომ ნანამ არ დამიჯერა და არ წავიდა. ჩემს წვლანდელ სიტყვებსაც ვნანობდი. სიხარულმა და ბედნიერებამ, მისი სიახლოვით გამოწვეულმა ბედნიერებამ მათქმევინა, თორემ მის წასვლაში რა იყო მიუტყეველები და განსაკითხავი. გული მაინც საგულეს მექნებოდა, სამშვიდობოს მეყოლებოდა, ახლა ჩემი თავიც უნდა მეჯავრა და ჩემი სიყვარულიც.

მთელი ღამე უკვალოდ ვიარეთ ტყეში. გარიჟრაჟზე უკვე შორიდან გვესმოდა თვითმფრინავების ზუზუნის და აფეთქებების ხმა. ამ ხმის მიყოლებით ვცადეთ გზის გაკავება, მაგრამ მხარი მაინც გვექცა. ოთხი დღე ტყე-ტყე მათრიეს ნანამ და გენადი ჟურავლიოვმა. ჟურავლიოვს ზურგით მივყავდი და მრისხანე და მღუმარე ტყეში ერთად ვებრძოდით შიმშილს, ტანჯვასა და უგზობას.

მესუთე დღეს გენადიც დავარდა. უზარმაზარი თელის ძირში დამაწვინეს. ჟურავლიოვმა უკანასკნელ პაპიროსს მოუკიდა.

– გავაღწევთ? – ვკითხე მე.

– გავაღწევთ, გურამ, გავაღწევთ, – ნაღვლიანად მიპასუხა – მაგრამ, იქნებ, ცეცხლიდან კი არ გავრბივართ, ცეცხლისკენ მივდივართ.

– ნუ აპყვები. სხვა რამეზე იფიქრე . . . ნანას შევხედე, აღარც მას შეეძლო მეტი, მაგრამ მაინც მიდიმოდა. თელების ჩრდილში სახე უცნაური ფერის გახდომოდა და მე ვეღარ ვიცანი მისი ღიმილი.

– ახლოს მოდი, – ვუთხარი მას.

– ნუ შემომწყრები. რაღაცნაირი გრძნობა დამეუფლა, მეც მეშინია...

– ნუ გეშინია, გავაღწევთ.

- არა, გაღწევის არა . . . „სიკვდილი უდაბნოში“ მომაგონდა...
- ტყე არ ჰგავს უდაბნოს.
- გუშინდელს მერე უდაბნოში გათხრილი საფლაავი არ მცოდნება, შენ გჯერა?
- ვისი?
- გენადის.
- რატომ მეკითხები?
- მეშინია, არ მიგვატოვოს... სული მწარეა... - ასე არ უნდა თქვა.
- შემატყო, რომ მეწყინა.
- არა, გეხუმრე. ჩემზე გეხუმრე... ხელის აღმართვას არ დაგანებებ, მაგრამ არ მიგვატოვოს.
- არც ასე უნდა იფიქრო...

ნანა დადუმდა. მე თელეების ერთმანეთში გადახლართულ რტოებს შევეყურებდი ზეცა არ ჩანდა. ჩვენს თავზე ნაცრისფერი ნათელი იდგა. ნანას ხმამ გამომარკვია.

- ჩემთვის ვფიქრობდი და... კახას ხომ შეეძლო, მოუკვლელად მიეტოვებინა მეგობარი, წასულიყო...

- ახლაც მეხუმრები?
- არა, მართლა გეკითხები.
- მერე, ნათელა? ქალი არ გაჰყვებოდა. სიყვარულის მიტოვება კი არ შეეძლო. . .ნუ ფიქრობ

ამაზე...
- ნუ მიწყენ, ისე ვფიქრობდი ჩემთვის... გენადის ტყეში გათხრილი საფლაავი არ სჭირდება, არც ინდომებს, არავის თანხმობა არ უნდა, მიგვატოვებს!

- ნანა!...
- შემომხედა.

- არ გრცხვენია?

იმ დამით ისევ უგზოდ მივდიოდით. არც თვითმფრინავების ხმა გვესმოდა, აღარც აფეთქების ხმა. ვგრძნობდი, რომ გენადის უჭირდა ჩემი ტარება. რამდენჯერმე შევახსენე დასვენება, მაგრამ ნებას არ დამევა, ბოლოს შემომწყრა:

- მოიცა, თუ გავაღწევთ, ბარემ გავაღწიოთ.

ჟურავლიოვის ზურგზე ჩამთვლემოდა. შეუღამისას ანაზღად გამომეღვიძა სადღაც ვიწექი. ტყის შრიალი აღარ შემომსმენია და უეცრად აზრზე ვერ მოვედი.

- ცეცხლია? ვკითხე გენადის.

- არ ვიცი, ტყიდან გამოვედით, მაგრამ სიბნელეა, ჯერ არც ცეცხლია, არც უცეცხლობა, იქნებ გზა გავიკვლიოთ.

სოფელში პირველსავე სახლს მივადექით.

გენადიმ ფრთხილად დაზვერა ირგვლივ ყველაფერი.

- ვნახოთ, ვის გავაბედნიერებთ! - მივხვდი, რომ ამის თქმაზე გაიღიმა.

- რაც უნდა მოხდეს, ხმა არ გაიღო, იწექი - მითხრა და ჩაბნელებული სახლისკენ გასწია, მაგრამ სწორედ ამ დროს ვიღაცის ღანდი წამოგვადგა თავზე.

მომეჩვენა, რომ ღანდი სახლის წინ აღმართულ ხეებს გამოეყო. გენადიმ უკან დაიხია და სწორედ ამ დროს იკითხა ღანდმა.

- რომელი ხარ, - ეტყობოდა სიბნელეში მხოლოდ გენადის ჰკიდა თვალი, მე და ნანა არ შეუძინევივართ. ხმა მოხუცის იყო, ჩახლენილი და გაბზარული

გენადი მიეახლა.

- ს ს ს - წაისისინა ჟურავლიოვმა.

ეგგენი ხარ? - ისევ იკითხა, - წაიყვანეს? ამოდი. - სთქვა და სახლისკენ წავიდა. გენადი გაჰყვა.

სიბნელეში ვიწექი და არაფერზე ვფიქრობდი. ფეხი საშინლად მტკიოდა, ვგრძნობდი, რომ აქამდე ძლივს მოვიტანე სული, რაც უნდა მომხდარიყო, წამოდგომა და ისევ ბნელი გზებისთვის თავის შეფარება აღარ შემეძლო.

- ჩამიჩუმი არ ისმის. მეჩვენება, რომ დიდი ხანი გავიდა, - მომესმა ნანას ჩურჩული.

- ამაღამ მაინც დავიძინებთ.

- ვინ იცის...

- გტკივა ფეხი? - წაიჩურჩულა ნანამ.

- ცოტათი.

საუბარი ჩქამმა გაგვაწყვეტინა.

თავი წამოვწიე.

- ცეცხლია? - შევაგებე გენადის.

- ცეცხლია...

- ესაა დაჭრილი? - თავზე დაგვადგა მოსუცი.

- დილაძე მაინც დარჩით. ხვალ რამე მოვიფიქროთ, - მოკლედ მოჭრა და მხარში ამომიდგა. ჟურავლიოვმა ჩემი მარცხენა გადაიდო ბეჭზე და წელზე ხელი მომხვია.

- ოთხი დღე როგორ გაძელით ტყე-ტყე?

- გაგძელით - ამოიოხრა გენადიმ.

მოსუცმა ბნელ, ნესტიან სარდაფში ჩაგვიყვანა.

- მე პანტელეი ლევიჩის მეძახიან, - მხოლოდ ეს გვითხრა, მერე მხრჩოლავი ჭრაქი მოგვანათა. ჭრილობაზე სახვევი შემიცვალეს - დაძრწიან, მაგრამ, ვფიქრობ, ამაღამ უკვე დამთავრდა წანწალი. თუ ვინმემ მოაკაკუნოს, არ შეკრთეთ, ერთს ველი, აქამდეც უნდა მოსულიყო...

ცივი კარტოფილით გაგვიმასპინძლდა, მერე თივა ჩამოგვიმატა, ჭრაქი ჩაგვიქრო და გაბჰვეცალა.

- იქნებ წასვლა სჯობდა? - მეუბნება გენადი.

- შესძლებდი?

- გადავიქანცე, თუ კეთილად გაგვითენდა... რამეს მოვიფიქრებთ, ახლა კი უკვე მძინავს და ისე ვლაპარაკობ.

მეც წავთვლიმე. არ ვიცი, რამდენხანს ვიყავი ასენანას ჩურჩულმა გამიმთავსებდა.

- კარგია სიკვდილის წინაშეც რომ ერთად ვართ. შორს მაინც უფრო მშვიდად ვიქნებოდი. ამ დროს ალბათ მეძინებოდა და ვერ წარმოვიდგენდი, რომ შენ სადღაც ბნელ სარდაფში ხარ და ყოველ წუთს მტერსა და სიკვდილს მოელი.

ხელი მოვხვიე და ვაკოცე.

- მე მალე შევძლებ სიარულს.

- მერე?

- გავაღწევთ, პანტელეი გაგვიყვანს...

- საფრთხილოა.

- ეს სარდაფიც ვერ დაგვიფარავს დიდხანს.

- შიშა და სარდაფს ნუ ახსენებ, არ მინდა.

მე ისევ ვაკოცე და არაფერი ვუთხარი.

- იცი, ზმანებამ გამომადვიდა.. მესიზმრა, ვითომ თბილისში ვიყავი, ვითომ ისევ ჩემს სიმფონიას ვუკრავდი.

- შინაგანად ვერაფრით ვერ შევეგუე, რომ ირგვლივ, ბრძოლაა, სიკვდილის ფერი ადევს ყველაფერს, სიკვდილი დადის შორიახლოს, ხანდახან ისევ ძველი ოცნება წამოჰყოფს თავს. ფერები და სიმშვიდე მომენატრება, ძლიერ, ძლიერ მომენატრება და წონასწორობას ვკარგავ.

- შენ ყველაფერში ზნეობას ეძებ, ამ ბრძოლისთანა ვრცელი ასპარეზი არასოდეს არ ჰქონია ზნეობისა და სულმდაბლობის შეხლას...

- არა, ეს სულმდაბლობაზე უფრო მეტია, ეს რაღაცნაირი ისტერიაა, გახელება, რაღაც გიჟური ლტოლვა, სიწმინდის ზიზღი. აქვეა ყველაფრის დასასრულიც. ზნეობას ეს გახელებაც ვერ გასწვდება.

- იქნება მშვიდი ზეცა?

- იქნება, ხელახლა დადგება სიმფონიების ჟამი.

- იარაღი მაინც მოგვცა, - თავი წამოჰყო სარდაფის მეორე ბოლოში თივაზე მწოლმა ჟურავლიოვმა, - ბედი გეწყალობს, მაგრამ ბოლომდე ვინ დაუნდვია ბედს?

გენადის სიტყვა ფრთხილმა კაკუნმა გააწყვეტინა. ჩემს გვერდით მწოლი ნანა გაირინდა.

- მოვიდნენ, - მითხრა და სიბნელეში ჩემი ხელი მოქებნა.

- მე მგონი, გერმანელები არ არიან, ფრთხილი კაკუნია.

ეს ვთქვი და ზემოდან პანტელეის ხმა შემოგვესმა.

- რომელი ხარ?

- კარი გამიღე - აჩქარებით უპასუხა ვიდაცამ.

- რომელი ხარ? ახლა უფრო ხმაძალდა იკითხა პანტელეიმ.

- პანტელეევიჩი, მე ვარ, მე...

ამოვისუნთქე.

- ვინ შენ? - მაინც არ აღებდა კარებს პანტელეი.

- გამიღე კარი, - უცნობი ცუდად დაფარული მოუთმენლობით მოაწვა კარს.

ურდულის შეხსნის ხმა გავიგონე.

– შემოდი.

– ასანთი არ გაჰკრა – ახლა ოთახიდან ჩამოგვესმა უცხო ხმა.

– რომელი ხარ?–

– ალექსეი ვარ, ნიკიტინი, გახსოვარ?

– ღმერთო ჩემო, – აღმოხდა პანტელეის – საიდან?, როგორ?

– მარტო ხარ?

– საიდან მოდიხარ?–ანაზღად დადინჯდა პანტელეი.

– მეძებენ, უნდა დამშალო. მარტო ხარ?

– აქ როგორ მოხვდი?

–წუხელ საღამოს თვითმფრინავი აგვიფეთქეს. გადავრჩი, მაგრამ ვეღარ გავაღწიე. გზები შეკრულია. ვერავისთან მისვლა ვერ გავბედე. ცუდი დროა. უნდა შემიხიზნო...

– დაგმაღავ, მაგრამ...

– მარტო ხარ?

– არა, კიდევ არიან... ალექსეი, ცოდვას არ გადამკიდლო... ცუდი დროა.

– პანტელეი...

– ჰო, კარგი, კარგი, რას ბრაზობ, ჩავიდეთ სარდაფში.

პანტელეიმ სარქველი ახსნა და ნიკიტინს შემოუძღვა.

– ხიზანი უნდა შემოგიმატოთ, ჩვენთანია, უშიშარი.

ალექსეი სარდაფში ჩამავალ კიბეზე შედგა. სარდაფს ჯიბის ფარნის შუქი მოავლო.

– პანტელეი, წავალ, ასე სჯობია, კვალს რომ მოაგნონ, ამათი ცოდვაც ჩემს კისერზე იქნება.

– რა თქვი?

– წავალ.

– ჩამოდი. – ხელი ნერვიულად აუქნია პანტელეიმ – ვერ გახვალ. გეძებენ

– მეძებენ.

– ჩამოდი. რამე მოვიფიქროთ.

პანტელეიმ ნიკიტინი გაგვაცნო. თივაზე ჩამოჯდა, ალექსეიც წინ დაისვა. ერთხანს მღუმარედ შესცქეროდა, მერე, ამოიოხრა და ჰკითხა:

– საიდან მოდიხარ?

– მისმინე, რაკი ერთად ვართ, დაე, ყველამ იცოდეს, ვინმე მაინც გააღწევს და გაიტანს ამბავს . . . პანტელეი, გახსოვს ვოლინსკაიას ტყეებში ოდესღაც სარდაფებს ვაშენებდით, ადრე, 35 – ში, . . . – ალექსიმ ისევ მოგვაგლო ყველას თვალი, – მე მინდა თქვენი მწამდეს, ყველასი მჯეროდეს . . . იმ სარდაფებში იარაღის მარაგი დარჩა, ჩვენებმა უკან დახვევის დროს გამოტანა ვერ მოახერხეს. ხომ გახსოვს, რკინიგზაზე რა ამბავი იყო, ყველაფერი მიწისქვეშ დარჩა.

– სამთავასთან? – იკითხა პანტელეიმ.

– ჰო, სამთავასთან. მიწისქვეშა გვირაბები შორს გადის, ვოლინსკაიას ტყეებში კი კუზნეცოვის პარტიზანებია. ამ საღამოს თვითმფრინავი აგვიფეთქდა, სამნი ვიყავით. აფრენიდან ნახევარი საათის შემდეგ რადიოგრამა მივიღეთ. ვიღაცას ბნელი ხელია. გაცემული ვიყავით. თვითმფრინავის დანიშნულება გვიან იყო. აგვაფეთქეს. მე გადავრჩი, მაგრამ ვერც ერთს ვეღარ გადავაწყდი. მწუხრის შემდეგ მოვდივარ, მოვხობაგ, მეც მიკვირს, როგორ გამოვაღწიე. ირგვლივ ყველაფერი შეკრულია, ბეწვზე ვეკიდე, მაგრამ . . . პანტელეი, ეს რუკა მაინც უნდა მივიღეს კუზნეცოვამდე, – და ჯიბიდან დაკეცილი რუკა ამოიღო, – იარაღის და ამის გარდა ყველაფერი დაგვარგე. ჰო, ეს ფარანიც შემომჩნა. ამ რუკაზე ყველაფერი დაწვრილებითაა, – ისევ დაკეცა რუკა, პანტელეი, ტანსაცმელი მინდა, ძველი, გლეხური, და . . .

მოულოდნელმა ხმაურმა ალექსის სიტყვა გაუყინა. კიბის ხარისხზე მძიმე ლანჩების ხმა გაისმა, მერე ვიღაცა კარს მოაწვა და უხეშად დაიძახა – კარი გააღეთ.

ნიკიტინმა რევოლვერი იძრო.

– გადააგდე, – მიძახა პანტელეიმ. რუკა ხელიდან გამოგლიჯა და ირგვლივ უძწოდ მიმოიხედა.

„მოვიდნენ“– გამიელვა გულში და წამიერად ვეღარ მოვისაზრე რა უნდა მექნა.

პანტელეიმ მეტი ვეღარაფერი მოახერხა, რუკა თივაში შეტენა და დაბნეულად მოავლო სარდაფს თვალი. მხრჩოლაგ ჭრაქს ხელი დააფარა, ჩააქრო და ხელახლა გაისმა ხმაც.

– კარი გააღეთ! – ზედიზედ მოხვდა კონდახი დაგმანულ კარებს.

პანტელეი სუნთქვადაკარგული ავიდა ზევით. სარქველი წყნარად ჩამოხურა და მერე ყრუდ შემოგვესმა მისი ხმა.

– ვინ ბრძანდებით?

– რას იზღაზნები, ძაღლიშვილო! – ჩემი გერმანული გამომაღვა, – ჩქარა! – ოთახში ხმაურით შემოვიდნენ.

– შენს მეტი ვინაა სახლში, მოხუცო? – წყნარად იკითხა ვილაცის ხმამ.

ჩვენ განაბულები ვიყავით. ნანა შიშისაგან თრთოდა. მისი გულის ხმა მესმოდა. ნიკიტინსა და გენადის ვერ ვხედავდი. ისინი თითქოს აღარ სუნთქავდნენ.

– არავენ, – პანტელეის ხმა გვიან გაისმა. მივხვდი, რომ იგი წელში გასწორდა და მოულოდნელ სტუმრებს პირდაპირ შეხვდა.

– ტყუილისთვის ხვრეტენ.

პანტელეიმ ამ ხმამაღალ და აწეული ტონით ნათქვამ სიტყვებს რაღაც უპასუხა, მაგრამ გარკვევით ვერ გავიგონე.

– მოხუცო, სახლში ხიზანი გყავს, ნუ მაღავე, – ისევ დაიწყნარა ხმა ვილაცამ. მე ვიგრძენი რომ პანტელეი დააბნია ამ ნათქვამმა და უკვე აღარ იცოდა, რა ეპასუხა. შეიძლება მეჩვენებოდა. რადგანაც თვითონ ვიყავი დაბნეული და პასუხისათვის ვერ მიმეგნო.

– გაჩხრიკეთ.

ჩვენს ზემოთ ლანჩები ახმაურდნენ. მე ვილაც ვიგრძენი ჩემს გვერდით, ალექსეი მომჩოჩებოდა.

– თქვენ იქეთ მიდექით, თუ ჩამოვლენ სანამ ტყვია გამწვდება . . .

– არ ისროლოთ, მაინც ვერ გაგწვდებით, შევიცადოთ. – წაიჩურჩულა გენადიმ.

ამასობაში ზემოთ მეორე ოთახსაც მოედო ლანჩების ხმა:

– ობერლეიტენანტ, სარდაფის სარკველია!

– ჩადით.

ჯერ შუქმა ჩამოანათა. მერე ჯარისკაცული მძიმე ჩექმები გამოჩნდა. სარდაფში ჩამოვიდნენ. ნანა მოვიცილეთ. წამოვჯექი. წინა ჯარისკაცმა ფარანი მოავლო ირგვლივ.

– ობერლეიტენანტ, აქ ვილაცები არიან.

– მოხუცო, ტყუილისათვის ხვრეტენ.

– მე სიმართლე ვთქვი.

პანტელეის უბიძგეს, ობერლეიტენანტი თან ჩამოყვა მოხუცს. ფარნების შუქზე გამეხებული სიმშვიდით მოგვათვალიერა, მერე ერთბაშად შებრუნდა და პანტელეის ქეჩოში წამოცხო. . .

– ვინ არიან?

პანტელეის მუხლი მოეკვეთა, რაღაცას გადააწყდა, მაგრამ არ დაცემულა.

– შვილია, – თქვა და გენადიზე მიუთითა – ეს რძალია, . . . და ესენიც . . .

– ესენი?

– ესენი მეგობრებია . . . შვილის მეგობრები . . . მე სიმართლე ვთქვი.

ობერლეიტენანტი ჯარისკაცებს მიუბრუნდა.

– ყველანი გაჩხრიკეთ.

– ანაზღად ნიკიტინს გავხედეთ. წელან გენადიმ დაუშალა ახლა კი გასროლა მართლაც უაზრობა იყო. ალექსეიმ ჩემი წამიერი მზერა დაიჭირა. მშვიდად მივიდა ობერლეიტენანტთან და რეგოლვერი გაუწოდა.

– ესაა, გასაჩხრეკი მეტი არაფერია . . .

ობერლეიტენანტმა აფუსფუსებულ ჯარისკაცებს ზურგი შეაქცია და ისევ პანტელეის მიუბრუნდა.

– შენ შვილს რას ეძახიან მოხუცო?

– გენადის.

– ეს რას ნიშნავს მოხუცო? – თავად ზემოთ ხარ განცხრომაში, შვილი კი რძლიანად და მეგობრებიანად სარდაფისათვის შეგიხიზნია. ალბათ ჰოსპიტლიდან გამოქცევისათვის შეგიხიზნავს – ეს თქვა ობერლეიტენანტმა და ჩვენს ლაზარეთულ სამოს დაადგა თვალი, – ალბათ არ ელოდი ჩვენ სტუმრობას, არა? – მერე სახელოზე ჩაავლო ხელი პანტელეის – ვინ არიან?

პანტელეიმ არაფერი სთქვა.

– ვინ არიან? – გაუმეორა და შეანჯღღრია.

– მე უკვე ვთქვი.

– შვილია, არა? – უეცრად დაცხრა ობერლეიტენანტი – კეთილი, კეთილი, ეი, მაქს, – მიუბრუნდა მის გვერდით მღვარ ჯარისკაცს, – იმ რუსს მოუხმე.

სარდაფში სიჩუმე იდგა. პანტელეის თავი ჩაექინდრა. ჟურავლიოვი ისევ კუთხეში მიყრილ თივაზე იჯდა და ობერლეიტენანტის ზურგს მისჩერებოდა. ალექსეი არც ერთს არ გვიცქერდა, ეტყობოდა, ფიქრობდა და გამოსავალს ეძებდა. ობერლეიტენანტი დინჯად ათამაშებდა ხელში ნიკიტინის რევოლვერს და თითოეულ ჩვენთაგანზე სათითაოდ გადაჰქონდა მზერა. მაქსის დაბრუნებამდე არავის ხმა არ ამოუღია. მაქსს ჩასუქებული თეთრწვერა მოხუცი ჩამოჰყვა.

– იცნობ? – მზერა პანტელეიზე შეაჩერა ობერლეიტენანტმა და ახლად მოსულზე ანიშნა.

პანტელეიმ თავი დაუქნია.

– მეზობელია. . . ბოლოტნიკოვია, მიხეილი.

ობერლეიტენანტი თეთრწვერას მიუბრუნდა.

– რომელია ამ მოხუცის შვილი? – ჰკითხა და ფარანი მიანათა. – მიხეილი აილეწა და დაიბნა, – თქვი, მეზობლის შვილს რა გამოცნობა უნდა.

მე ვიგრძენი, რომ წამიც და ბოლოტნიკოვს თავშეკავებისათვის ძალა აღარ ეყოფოდა. დავიძაბე, მოხუცს თვალს არ ვაშორებდი.

– თქვი. – გაიმეორა ობერლეიტენანტმა.

– თქვი, მიხეილ, თქვი, – მოულოდნელად წამოიმართა ჟურავლიოვი, – თქვი, მე არ მეძებენ, ჩემზე ნუ დარდობ . . .

– ხმა! – იყვირა ობერლეიტენანტმა, – ამისთვისაც ხვრეტენ.

მე მგონია ჩემს მეტი არავის არ შეუმჩნევია თუ როგორი შევებით ამოისუნთქა მიხეილმა. გენადისკენ არც მიბრუნებულა. მარჯვენა ხელით ზურგს უკან მიანიშნა ობერლეიტენანტს.

– ესაა.

– სახელი? – ელდასავით მეცა ობერლეიტენანტის ნათქვამი, უკუსაქცევი გზები აღარ ჩანდა.

ბოლოტნიკოვმა იაზრა, რომ ამას იქით მხოლოდ სიკვდილი იყო. მერე ვხედავდი, როგორ მოიკუნტა იგი, მაინც მოერია თავის თავს, სარდაფის ნესტიან ბნელ კედელს მიეყრდნო.

– სახელი, – ობერლეიტენანტმა მისკენ ბიჯი წარსდგა, – სახელი!

– რა გინდათ, რა . . . – გამოუვალი მდგომარეობის სიმწარემ ერთბაშად ააყვირა ბოლოტნიკოვი. – რა გინდათ, შვილს ეძებთ. შვილია. ესაა, მორჩა და გათავდა.

– სახელი! – ობერლეიტენანტი უფრო ახლოს მივიდა.

– შვილია! – მივხვდი, რომ მიხეილი უკვე ანგარიშს აღარ უწევდა თავის თავს, – შვილია! – ისტერიული ხმით იყვირა და თვითონაც წინ წასდგა ბიჯი.

– სახელი! – გაიმეორა ობერლეიტენანტმა და მოეწყვტით მოქნეული ხელი ბოლოტნიკოვს სახეში შემოჰკრა.

– შვილია. – მოხუცმა სისხლს უაზროდ გამოაყოლა სიტყვა.

ლეიტენანტმა ბოლოტნიკოვს ზურგი შეაქცია. წამიერად ისევ სარდაფს მოავლო მზერა, საოცრად ინდიფერენტული პოზა მიიღო და ყველაზე წინ მდგომ ჯარისკაცს უბრძანა.

– დახვრიტე.

უბრძანა და უმაღვე ისევ ბოლოტნიკოვს მიუბრუნდა. მე მივხვდი, რომ მან ეს სცენა თავისებური არტისტიზმით გაითამაშა. დასასრული აინტერესებდა, ადამიანის დანახვას ელოდებოდა. მაგრამ ბოლოტნიკოვი ადგილიდან არ დაძრულა, არც ხმა გაუღია. გასროლისთანავე უცნაურად შეინძრა, წინ წამოიწია, მაგრამ რაღაცამ სძლია და მერე სარდაფის ნესტიან კედელს ზურგით ჩამოჰყვა. სისხლი ამოარწყია და გათავდა.

ნანას შეკვივლებამ შემაკრთო. სახეზე ხელები აეფარებინა. ნანას ხელებიდან ისევ ცხედარზე გადავიტანე მზერა და ჩემს თავს გამოვუტყდი, რომ ობერლეიტენანტის შემოსვლის შემდეგ ნანასკენ არც ერთხელ არ მიმიხედავს.

ლეიტენანტმა ზიზღით შეხედა ნანას და უცნაური ცინიზმით სთქვა:

– დამშვიდდი, მშვენიერო მადონა, ეს ალბათ პირველია. პირობას ვდებ, რომ შეეჩვევით. ასეა . . . ეჩვევიან და აღარ ცახცახებენ. – ესა სთქვა და ისევ პანტელეის მიუბრუნდა.

– მოხუცო, უკანასკნელად გეკითხები: ვინ არიან?

პანტელეი ბოლოტნიკოვის გვამს დასცქეროდა. თავი აუღია. ობერლეიტენანტი აენტო.

– ყველანი დახვრიტეთ. ჯერ ეს მოხუცი. – ერთბაშად მოსჭრა მან. აცახცახებულმა ნანამ თვალი გამისწორა და მე შევამჩნიე, რომ გერმანელმა ეს წამიერი მზერა დაიჭირა, – ჯერ ეს მოხუცი, მერე . . . – ლეიტენანტი ნანას მზერას გამოჰყვა, – მერე ის, – ხელი ჩემსკენ გამოიშვირა . . .

პანტელეიმ თავი აიღო.

– თქვენ ვის ეძებთ?

– დახვრიტეთ. – პასუხი არ გასცა ლეიტენანტმა და ხელი აიქნია. პანტელეის ზურგიდან ესროლეს. კევა გაუხვრიტეს. შემდეგ აღარაფერი დამინახავს. ნანა მთელ სხეულზე გადამეფარა, მერე აცახცახებული ობერლეიტენანტს მუხლებში ჩაუვარდა და . . .

გაოცებისაგან დაემუნჯდი. ვერ მივხვდი რას აპირებდა.

– ნანა.

ყურადღება არ მომაქცია.

– მე მკითხეთ, მე ყველაფერს გეტყვით, ყველაფერს, ოღონდ, ოღონდ . . . ობერ – ლეიტენანტმა პანტელეის გვამს გადააბიჯა და ჩამოჯდა.

– ოჰ, თქვენ გერმანულიც გცოდნიათ, მადონა. – ბოროტად გაიღიმა ლეიტენანტმა. – სამაგიეროდ ვისი თავი უნდა მთხოვოთ, ხომ მივხვდი . . . ენის წილ თავი უნდა მთხოვო, ალბათ, „მეუღლის“ არა, – ესა სთქვა და ჟურავლიოვზე ანიშნა, – მე წელან თქვენი მზერა დავიჭირე – ლეიტენანტმა ნიკიტინის რეკლავერის ტუჩი მკერდზე მომადო, აგრძნობინა, რომ მისი შეფარული და უთქმელი თხოვნა უწყოდა, – ვნახოთ . . .

ნანას მოქმედებით გაოცებული ჟურავლიოვი და ალექსეი მე მომჩერებოდნენ. მივხვდი, რომ ლეიტენანტისა და ნანას გერმანული საუბარი არც ერთს არ ესმოდა. თავში სისხლი ამივარდა.

– ნანა! – ვიყვირე და წამოვიწიე მაგრამ წამოდგომა ვერ შევძელი.

– ნანა!

– ყველანი გაიყვანეთ. – ბრძანა ლეიტენანტმა და როცა ჯარისკაცები მოგვეახლნენ, ხელი აუქნია – არა, ეს დარჩეს, ჩემზე ანიშნა – დარჩეს, მხოლოდ მეტს ნულარ შეგვაწუხებს. – მერე ისევ ნანაზე გადაიტანა მზერა და ბრძანება ხელახლა შესცვალა – არა, ყველანი გაიყვანეთ, ყველანი.

მე ამქვეყნად აღარ ვიყავი. დაჭრილი ფეხი არც მომგონებია. წამოვიჭერი. მინდოდა ნანას მივსწვდომოდი. ობერ-ლეიტენანტმა მკერდზე მიბიძგა. არ ვიცი, რას გავაკეთებდი, ნანას რას ვეტყვოდი, მაგრამ აღარ დამაცალეს. შემერეს. მაინც არ ვნებდებოდი. ყველანაირად ვიბრძოდი და უაზროდ ვხრივალვოდი. ბოლოს ვიგრძენი, რომ რაღაც მომხვდა თავში და ირგვლივ დაბნელდა.

არ ვიცი, რამდენხანს ვიყავი ასე. როცა გამოვფხიზლდი, სიბნელეში ვერაფერი გავარჩიე. უცრად ველარ გავარკვიე, სად ვიყავი. ხელი მოვაფათურე. თივა ვიგრძენი და აზრზე მოვედი.

„წასულან“ გამიელვა თავში. ერთბაშად ყველაფერი მომაგონდა. „ნანა, ნანა“ – ანაზღად აფორიაქდა სული და მერე ხმამაღლა ვიყვირე.

– ნანა!

ხმა არავის გაუღია.

– ნანა! – ისევ ვიყვირე და წამოწევა ვცადე. თავი ვერ ავიტანე. უცნაურად დამძიმებული და გაბრუებული მქონდა.

არავინ მიპასუხა. ტანჯვით წამოვჯექი. ისევ მოვაგლე სიბნელეს თვალი.

– ნანა!

სიბნელეში კედელს გავეყვი. მეშინოდა, ბოლოტნიკოვის ან პანტელეის ცხედრებს არ შევხებოდი. სარდაფის კუთხემდე მივხოსდი და კუნაპეტში ვიღაცას გადავაწყყდი.

– ნანა.

ერთბაშად ავტირდი. ჩემდაუნებურად ხელი მოვხვიე.

– წავიდნენ?

– წავიდნენ.

– მარტო ვართ? – ვკითხე, მაგრამ არ ვიცოდი, რატომ. მისი ცრემლი მაკრთობდა და სხვა ვერაფრის კითხვა მომხერხებინა.

– ჰო . . .

დავდუმდი. თავი მიბრუნოდა. წელანდელი, ობერლეიტენანტის მუხლებში ჩავარდნილი ნანას მოგონება ცეცხლს მიკიდებდა, მაგრამ ქალიშვილს მაინც ვერაფერს ვეუბნებოდი. იგი ტიროდა და ეს ცრემლები ჩემთვის უკვე ყველაფერს ნიშნავდა. მე მაინც მეტი მსურდა გამეგო, უფრო დაწვრილებით, ისე, როგორც მოხდა. ერთბაშად მოვიკრიბე ძალა.

– ვის ეძებდნენ?

– ალექსის.

– გენადიც წაიყვანეს?

– გენადიც.

ვიგრძენი, რომ გენადი ისე ვკითხე. ვიგრძენი, რომ რაღაცას ვერ გადავაბიჯე. ალექსეიზე ხელახლა ველარ დავძარი სიტყვა. მოკუმშულ მარჯვენაში თივა ვიგრძენი და რუკა მომაგონდა.

– რუკა?

– წაიღეს.

ახლა უკვე მთელი ხმით ტიროდა.

– მესროლეს, მაგრამ რუკასთან ერთად სამხედრო ტანსაცმელსაც წააწყდნენ და...

– რატომ შენი არ ეგონათ? – ვკითხე, მაგრამ პასუხისთვის აღარ მიცდია – რუკა? – ვიყვირე და შევანძრიე. – რუკაც წაიღეს?

– წაიღეს!

წონასწორობა დაგვარგე. ატირებულ ქალიშვილს მხრებში ჩავავლე ხელი.

– შენ . . . შენ თქვი?

არაფერს ამბობდა. ქვითინებდა. თავი ჩაეხარა. ხელები სახეზე უკანკალებდა. მხრები უტოკდა. საზარელი გრძნობით მოვაშორე ხელები. არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი. ფეხი და ტკივილი აღარ მახსოვდა. როცა კიბეებზე აეხოხდი, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ მის სიახლოვეს ყოფნა არ შემეძლო.

იატაკზე გავხოხდი. ხელის გულებზე დაძველებული ფიცრების ხაოსა და მტვერს ვგრძნობდი და ანაზღად ჩემი თავის გამიკვირდა, რომ კიდევ შემეძლო ამისთვის ყურადღება მიმექცია. სიბნელეში რაღაცას წავაწყდი, ყრუ ხმაურით წაიქცა და ყნოსვას ნავთის მძაფრი სუნი შემოენთო.

კვნესა მომესმა. მეგონა, რომ სარდაფიდან ამოდიოდა ხმა. შევრძწუნდი, კიდევ მინდოდა გახოხება, მინდოდა აქაურობას გავცლოდი, მაგრამ კვნესა ისევ განმეორდა და მივხვდი, რომ ვიღაც ჩემს გვერდით კვნესოდა, სულ ახლოს, იქვე კარის ზღურბლთან. . . გადმოვბრუნდი და გავხოხდი . . . კვნესა ისევ განმეორდა, მეორედაც, მესამედაც. . . რაღაცნაირი სრიალი შემომესმა . . . მიუახლოვდი, იატაკზე გაწოლილს ხელით შევეხე და არ შემიცვნია, ვიგრძენი რომ კვნესოდა ვიღაც მომაკვდავის კვნესით.

– ნუ გეშინია! – ჩავძახე და ჩემი ხმა მეუცხოვა. მომეჩვენა, რომ მეც ვხრიალებდი.

– ნუ გეშინია!

– ვკვდები – ძლივს მოიბრუნა ენა ნანამ. – მიშველე, მიშველე . . . მიშველე! – მერე უცნაურად, ისტერიულად, წვლანდელის მსგავსად იმეორებდა ამ სიტყვას. – მიშველე . . . მიშველე . . . მიშველე. . .

ხელი იღლიაში შევუყავი და ქვემოდან მხრებზე მოვეხვიე. ვცდილობდი მისი სხეულიც გამეხოხებინა, მაგრამ არ ვიცოდი, რატომ ვაკეთებდი ამას. ალბათ მის „მიშველეს“ ვერ ვუძლებდი და რაღაც უნდა მექნა. კარის ზღურბლს მივუახლოვდით. ის მაინც კვნესოდა და გამუდმებით მთხოვდა შეველას. ძალამიღეული შევედექი და მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ვაწამებდი. მე ახლა იმ სახლში გაჩერება არ შემეძლო. გაქცევა მინდოდა და ამიტომაც გავრბოდი, ამიტომაც მივხოხავდი. . . ანაზღად ვიგრძენი, რომ ნანას ხმას გამოვექეცი, არა, ხმას კი არა, მის პასუხს. ვიცოდი, რასაც მეტყოდა და სწორედ ამას გამოვექეცი . . .

– შენთვის, შენი სიყვარულისთვის. – ჰო, ასე მეტყოდა და სიბნელეში მომძებნიდა, მომეხვეოდა. ამასაც მეტყოდა და მკითხავდა: – მიმატოვებ? ამ სიტყვამ ამაფორიაქა და უცნაური მღელვარება წამიკიდა.

– მიშველე! – კვნესოდა ნანა.

– ნუ გეშინია! – ჩავძახე. ახლაც გავრბოდი საკუთარი ფიქრებიდან.

– ნუ გეშინია!

წამით დაუბრუნდა ცნობიერება

– ვინ ხარ? – მკითხა. ვიგრძენი რომ თვალები გაახილა,

– მე ვარ, ნუ გეშინია.

– არ მეშინია, მე ვიცი, რომ ახლავე მოგკვდები.

იგი თითქოს დამშვიდდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ სწორედ ახლა იწყებოდა სასოწარკვეთა.

– ნუ ამბობ ასე.

– ვიცი, რომ მოგკვდები. სიკვდილის წინ წამით მოდიან გონზე.

მე ვცახცახებდი

– გურამ!

– ნუ გეშინია . . .

– გურამ! – გამეორდა. მომეჩვენა, რომ ვიღაც შემომიწერა. წვალებით შევბრუნდი. ვცდილობდი გამეგო, სად ჰქონდა ტყვია მოხვედრილი, მაგრამ ჭრილობა ვერ მოვუნახე. – ჰო რაღაც უნდა მეთქვა . . .

– ნანა – და მეტი ვეღარაფერი მოვახერხე, ჯერ კიდევ სუნთქავდა, მაგრამ მე ვგრძნობდი, რომ მას უკვე ვერაფერი ვერ უშველიდა. ყურში მისი უკანასკნელი სიტყვები მიწოდდა: – „ნანა“.

. . . წიოდა ეს სიტყვა, „ნანა“ ყველაფერი ამ სიტყვამ დააყრუა, „ნანა“, ახლა მხოლოდ ეს სიტყვა მძვინვარებდა.

და მე ერთბაშად ვიგრძენი რომ მთელი სიცოცხლე ამ ერთი ღამისთვის ვცხოვრობდი, ვიგრძენი, რომ ყველაფერი სასწორზე ეკიდა, ჩემი სული ეკიდა სასწორზე. ყველაფერი ამ სიტყვამ დააყრუა. „ნანა“ ახლა მხოლოდ ეს სიტყვა მძვინვარებდა.

„ნანა“ ისევ წიოდა ეს სიტყვა.

„ნანა“ მეორდებოდა ეს სიტყვა.

„ნანა“ მძვინვარებდა ეს სიტყვა.

უზარმაზარი სასწორი ქანაობდა და მერე სასწორის თევშები ზარებად იქცნენ და ასე მეგონა, ღიანა აღანია მეძახდა შორიდან:

– მიუტევებდი?

– მიუტევებდი?

– მიუტევებდი?

ახლა ეს სიტყვა წიოდა, ახლა ეს სიტყვა მაყრუებდა, ახლა ეს ზარის რეკვა მძვინვარებდა და მივხვდი, რომ მთელი სიცოცხლე ამ ღამისთვის ვცხოვრობდი.

საოცარი სიმშვიდე ვიგრძენი, მე უკვე ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა და დავმშვიდდი. მერე აღარ მიფიქრია არც ფეხზე და არც ჭრილობაზე. ქალს ხელი გავუშვი. უკან წავდგი ბიჯი. ფეხს ძლივს ვადგამდი, კარებთან მივადწიე. საფეხურებს ხელი ჩავჭიდე. სისველე ვიგრძენი. უცბად მომეჩვენა რომ კიბეზე სისხლი იყო დაქცეული და აფფორიაქდი, ნავთის სუნი მეცა და წელანდელი წაქცეული ბიდონი მომაგონდა. წამიერად ნავთის სუნად იქცა ყველაფერი. ორიოდ საფეხური კიდევ ჩავიარე და მერე კვლავ ვეღარ შევძელი. დავეშვი.

წელან ვიცოდი რა უნდა მექნა, მაგრამ ახლა ხელი მიკანკალებდა . . . მივხვდი, რომ ამას ვერ შევძლებდი და კიბეზე ჩავფორთხივალდი, მერე კი ყველაფერი ერთმანეთში აირია.

– გარბიხარ? – სისინებდა ვიღაცის ხმა.

– გარბიხარ? – მაყრუებდა ვიღაცის ხმა.

– გარბიხარ? – ახლა მხოლოდ ეს ხმა მძვინვარებდა.

მე ვდუმდი.

– დუმხარ? – წიოდა ვიღაც, – ასეა, როცა უყვართ, ყოველთვის ასეა . . .

თვალებში ჩამომბნებელდა და მერე ვხედავდი, ნამდვილად და ხელშესახებად ვხედავდი, როგორ ახელდა უღაბნოში დაცემულ კარავში შალვა დამძიმებულ თვალებს და როგორ ჩურჩულებდა:

– კახა!

ჩურჩულებდა მაგრამ მე მაინც მესმოდა. . .

– კახა!

– კახა!

ხმას არავინ სცემდა. უღაბნო სდუმდა. საძილე ტომარაში ავადმყოფმა იძალა, გადმობრუნდა. კარავი ცარიელი იყო, თავს ძალა დაატანა, გადმოიწია, კარვის კალთებს მიწვდა, ასწია და თვალები გაუფართოვდა, კარვის კართან იწყებოდა ნაფეხურები და სადღაც შორს, შორს, სიცოცხლისაკენ, ოაზისებისაკენ, მიდიოდნენ ნაფეხურები, მიდიოდნენ მძიმედ, დაჟინებით, იმედით და უკან მოუხედავად . . .

. . . ირწეოდა უზარმაზარი სასწორი და რეკავდნენ უცნაური ზარები . . .

– ასეა, როცა უყვართ! – ჟრიალებდნენ ზარები.

– ასე, როცა უყვართ! – კიოდნენ ზარები.

– ასეა, როცა უყვართ! – მძვინვარებდნენ ზარები . . .

. . . ქარი ბორიალობდა ზღვისპირეთის ტყეებში და პარტიზანთა შენაერთს ერეოდა ცეცხლი . . . ცეცხლი ადნობდა ყინვას, ცეცხლი ძვრებოდა ბლინდაჟებში, ცეცხლი სუნთქვას უხუთავდა ადამიანებს, ცეცხლი ედებოდა ყველაფერს . . . შორს კი სადღაც, მძიმე ნაბიჯებით ამოდიოდნენ კიბეებზე ადამიანები და მერე ისევ ჩადიოდნენ სიცოცხლისაკენ მიმავალი ნაფეხურები . . .

. . . ირწეოდა დიდი, უზარმაზარი სასწორი და რეკავდნენ უცნაური ზარები.

– ასეა. . . თქვა ვიღაცის ხმამ, მაგრამ მე აღარავისთვის აღარ დამიგდია ყური. გაოგნებული ვიყავი და ვგრძნობდი, როგორ მეზარებოდა სული. კიდევ ჩამოვჩონჩდი ერთ საფეხურზე და. . . ახლა სადღაც ვოლიანსკის ტყეებში გაჩნდა ცეცხლი. ცეცხლი ედებოდა დაჭრილებს, ცეცხლი ედებოდათ ტყეში დაბანაკებულ პარტიზანებს. იწვოდა ტყეები, ხანძარი მძვინვარებდა ყველგან და ისევ შემლილივით კიოდნენ ზარები. .

სისხლი თავში ამივარდა. ერთი ამოსუნთქვით სახლის კართან გაგნდი და სწორედ ამ დროს მომესმა ხმა.

– გურამ!

ნანა მეძებდა. იგი სარდაფიდან ამოსულიყო და ახლა, ალბათ, სიბნელეში მეძებდა.

– გურამ!

– არ მომეკარო! – ეს კი არ ვთქვი, ვიყვირე, ვიღრიალე და სადღაც გაქრნენ სასწორიც, ზარებიც. . . ყველაფერი დამშვიდდა. . . კარის ურდულს მივწვი, გარედან გადავრაზე, ჯიბიდან ამოღებული ასანთი დასველებულ კიბეებზე მოვატარე და ყველაფერს გავერიდე.

მე ვკანკალებდი და ვხედავდი, როგორ კანკალებდა ნანა შიშისგან, როგორ მძვინვარებდა სასოწარკვეთა კვამლისაგან სულშეხუთულ სახეში. მე ვხედავდი ფართო თვალებს, მაგრამ ნაბიჯს არ ვძრავდი.

უცნობის ცხედართან წამით შევედექი და მერე დიდხანს აღარ გამიხედია უკან. გვიან ვიგრძენი, რომ ხანძარი მთელ სახლს მოედო, რადგან მისგან წამოსულმა შუქმა გადამისწრო და გზა გამინათა.

----- . -----

– გურამმა დაასრულა და წყალი მთხოვა, – თქვა დავითმა, როცა ხელნაწერები ჩავათავეთ. – წყალი მოსვა. გაჩერდა და ბოლო ნათქვამს ესლა დაუმატა:

– მეტს ნულარ მკითხავ. ხანდახან მე მეჩვენება, რომ . . . მაგრამ არ ღირს ამაზე ლაპარაკი. . . ახლაც მგონია, რომ სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდი. . . მიყვარდა, გესმის, მიყვარდა, – იყვირა გურამმა. – ჰო, ერთსაც გეტყვი, გახსოვს იმ გერმანელ გოგოს რომ ვერ ვესროლე . . . იცი, საოცრად ჰგავდა ქერათმიან ქალიშვილს და მე მომეჩვენა, რომ მეორეჯერ უნდა მიმეზღო მისთვის. ეს კი უკვე . . . – სხვა არაფერი აღარ უთქვამს, მთელი ღამე წვალობდა, დილით – გათავდა.

.
.

ავტორისაგან:

– არაფერს არ იტყვი? – მკითხა დავითმა.

– არა. – თავი დავეუქნიე და წამოვდექი. დავითი რაღაცას მეუბნებოდა, მაგრამ მე არ ვუსმენდი. ფანჯარასთან მივედი და თბილისის გაჩახახებულ ღამეს ვაფხედე.

1962 წელი
თბილისი